

ISSN 1512-2530

საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა
სახელმწიფო აკადემია

Georgian social academy of
young scientists

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი
International Scientific Journal

ინტელექტუალი
INTELLECTUAL



№18
2012



საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა
საზოგადოებრივი აკადემია

GEORGIAN SOCIAL ACADEMY OF
YOUNG SCIENTISTS

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

• ინტელექტუალი •

International Scientific Journal

Intellectual

№18

თბილისი
TBILISI

2012



მთავარი რედაქტორი
გიორგი მადუაშვილი

EDITOR-IN-CHIEF
GIORGI MADUASHVILI

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР
ГИОРГИ МАДУАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია
EDITORIAL BOARD

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

თამაზ გამყრელიძე	Tamaz Gamkrelidze	Тамаз Гамквелидзе
რალფ ილნერი	Ralph Illner	Ральф Ильнер
ვაჟა პაპასკირი	Vaja Papaskiri	Важа Папаскири
თემურ ჯაგოდნიშვილი	Temur Jagodnishvili	Темур Джагоднишвили
მარინა ხარატიშვილი	Marina Kharatishvili	Марина Харатишвили
ზიგფრიდ კრაინერი	Siegfried Kreiner	Зигфрид Краинер
ვანო ჭიაურელი	Vano Chiaureli	Вано Чиаурели
ჰარალდ სუმა	Harald Summa	Гаральд Сума
ქეთი ქოქრაშვილი	Keti Kokrashvili	Кети Кокрашвили
კარლო გურცაია	Karlo Gurtskaia	Карло Гурцкаиа
ნიკოლას თეოდორისი	Nikolas Theodoris	Николас Теодорис
ნუგზარ სიხარულიძე	Nugzar Sikharulidze	Нугзар Сихарулидзе
რეზო კლდიაშვილი	Rezo Kldiashvili	Резо Клдиашвили
თენგიზ წივცივაძე	Tengiz Tsivtsivadze	Тенгиз Цивцивадзе
გოგი პანცულაია	Gogi Pantsulaia	Гоги Панцулаиа
რუდი ვან მეიერი	Rudi van Meier	Руди ван Меиер
არჩილ მოწონელიძე	Archil Motsonelidze	Арчил Моцонелидзе
ლევან კლიმაშვილი	Levan klimiashvili	Леван Климиашвили
ლალი გოგელიანი	Lali Gogeliani	Лали Гогелиани
არჩილ ფრანგიშვილი	Archil Prangishvili	Арчил Прангишвили
ზურაბ წვერაიძე	Zurab Tsveraidze	Зураб Цвераидзе
გელა კიპიანი	Gela Kipiani	Гела Кипиани
ერვინ შვინგი	Erwin Schwing	Ервин Швинг
დავით თავხელიძე	David Tavkhelidze	Давид Тавхелидзе
გიორგი სალუკვაძე	Giorgi Salukvadze	Гиорги Салуквадзе



ს ა რ ჩ ე ვ ი

ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები

1. ინგა კოკია «სემანტიკური უნივერსალიები, „კულტურული სცენარები“ და ფრაზეოლოგიური ნომინაცია (კონოტაციისა და კულტურულ უნივერსალიათა კონცეპტების ურთიერთკავშირის საკითხის დასმისთვის)».....	10
2. ნინო პალ-ნიორაძე «სინონიმი და პოლისემია ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში».....	19
3. სიბილა ბელაძე «მეღია-ღისეურის თავისებურება».....	27
4. ვიოლეტა ავეთისიანი «ქრონოტოპი ბრიტოლ რობაქიძის რომანში „ბველის პერანგი“».....	37
5. მარინა ჯიქია «საერთო-სლავური სიტყვა «ЗВЕЗДА» კონსტანტინე გალგონტის პოეზიასა და პროზაში».....	46
6. ივოლდა ბელთაძე «ეპრაელობა მეროვინებების ფრანკთა სამეფოში».....	54
7. დეკანოზი ლევან მათეუშვილი «ანტიკური საბანმანათლებლო პარადიგმა და ადრეული ქრისტიანული ადაპტაცია».....	60
8. ეკა დარბაიძე «საქართველოს, როგორც ერთიანი უსაფრთხოების კომპლექსის პრობლემა».....	67
9. ვახტანგ ბაბუღავა «დანაშაულის მმქანიზმის კრიმინალისტიკური ასპექტები».....	74
10. ვასილ (ბუსო) კვირიკაშვილი, ირაკლი კვირიკაშვილი «დანაშაულობა და პოლიტიკა».....	80
11. ვასილ (ბუსო) კვირიკაშვილი «ოჯახური დანაშაულობის ზოგიერთი საკითხი».....	86



12. მიხეილ გუდაგაძე «ნარკოტიკების სფეროში ჩაღვნილ დანაშაულთა (ნარკოტიკულ დანაშაულთა) გამომიქვების საწყისი ეტაპი და საბამომიქვო მოქმედებები».....	91
13. მიხეილ ბიჭია «ზოგადი პიროვნული უფლება და პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით».....	97
14. ლევან ლატარია «ადამიანის უფლებების დაცვა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში».....	103
15. თამილა ხურციძე «წინასახელმძღვანელო ეტაპის ზოგადი თეორიული მოდელი ფრენეტიზმის ურთიერთობებში».....	109
16. ბიორბი ზუბიტაშვილი «სხვადასხვა ასაკის ძიუღოისტთა ფიზიკური განვითარების მაქსიმალური დონე ერთწლიანი სისტემატური ვარჯიშის შემდეგ».....	116

ტიქნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. ბიორბი გურჯალიანი, ოთარ ფურცელაძე «სითხის ნაკადის გავლენა სწორი წიბოს ევმეტურობაზე».....	121
2. ნაირა ბიბაური, რუსუდან ბიბაური, იზაბელ ბიუაშვილი «ფხვნილისებრ რკინაზე სპილენძის ცემენტაცია კაზრეთის (საქართველო, ბოლნისის რ-ნი) ქალკოპირიტული მადნის პარტიერის ჩამდინარე წყლიდან».....	128

ნომრის მთავარი რუბრიკა

ლია სიხარულიძე

«თბილისის ყოვლადწმიდა სამების საკატრიარქო ტიპრის წმიდა სიხარულიძე».....	133-142
--	---------



C O N T E N T S

THE HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES

1. **INGA KOKAIA**
«SEMANTIC UNIVERSALS, “CULTURAL SCRIPTS” AND PHRASEOLOGICAL
NOMINATION (FOR THE INTERACTION OF THE CONCEPTS OF
CONNOTATION AND CULTURAL UNIVERSALS)».....10
2. **NINO PAL-NIORADZE**
«SYNONYMOUS AND POLYSEMY WITH THE JARGON
OF THE GEORGIAN YOUTH».....19
3. **SIBILA GELADZE**
«THE PECULIARITIES OF THE MEDIA-DISOURSE».....27
4. **VIOLETA AVETISIAN**
«THE CHRONOTOPE IN GRIGOL ROBAKIDZE’S NOVEL
“THE SNAKE’S SKIN”».....37
5. **MARINA JIKIA**
«GENERAL – SLAVONIC WORD «ЗБЕЗДА» IN POETRY AND
PROSE OF KONSTANTIN BALMONT».....46
6. **IZOLDA BELTADZE**
«THE JEWS IN THE KINGDOM OF FRANKISH MEROVINGIANS».....54
7. **ARCHPRIEST LEVAN MATESHVILI**
«ANTIQU SCHOLASTIC PARADIGM AND EARLY
CHRISTIAN ADAPTATION».....60
8. **EKA DARBAIDZE**
«SOUTH CAUCASUS AS UNITED SECURITY COMPLEX».....67
9. **VAKHTANG GABEDAVA**
«THE CRIMINAL ASPECTS OF THE MECHANISM OF THE CRIME».....74
10. **VASIL (BESO) KVIRIKASHVILI, IRAKLI KVIRIKASHVILI**
«POLITICS AND CRIME».....80
11. **VASIL (BESO) KVIRIKASHVILI**
«SOME QUESTIONS OF FAMILY CRIMINOLOGY».....86



12. MICHAEL GUDAVADZE «THE INITIAL STAGE AND INVESTIGATIVE ACTIVITIES OF THE COMMITTED CRIMES IN DRUG BUSINESS».....	91
13. MICHAEL BICHIA «GENERAL HUMAN RIGHT AND PROTECTION OF PERSONAL LIFE ACCORDING TO GEORGIAN LEGISLATION».....	97
14. LEVAN LATARIA «PROTECTION OF HUMAN RIGHTS IN THE UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND».....	103
15. TAMILA KHURTSIDZE «PRE- AGREEMENT COMMON THEORETICAL MODEL IN A FRANCHISE BUSINESS».....	109
16. GIORGI ZUBITASHVILI «MAXIMUMLEVEL OF DIFFERENT AGE JUDOKA’S PHYSICAL DEVELOPMENT AFTER A YEAR OF SYSTEMATIC TRAINING».....	116

SCIENCES OF TECHNICAL AND NATURAL STUDIES

1. GIORGI BURJALIANI, OTAR PURTSELADZE «LIQUID FLOW INFLUENCE ON A STRAIGHT RIB EFFICIENCY».....	121
2. NAIRA GIGAURI, RUSUDAN GIGAURI, ISABELLA GIUASHVILI «COPPER CEMENTATION ON POWDERED IRON FROM INDUSTRIAL WATERS/EFFLUENTS OF A CHALCOPYRITE MINE IN KAZRETI (BOLNISI DISTRICT, GEORGIA)».....	128

THE MAIN RUBRIC OF THE NUMBER

LIA SIKHARULIDZE

«HOLLY GOSPEL OF TBILISI PATRIARCHATE SACRED TRINITY TEMPLE»	133-142
---	---------



С О Д Е Р Ж А Н И Е

ГУМАНИТАРНЫЕ И СОЦИАЛЬНЫЕ НАУКИ

1. **ИНГА КОКАИА**
«СЕМАНТИЧЕСКИЕ УНИВЕРСАЛИИ, «КУЛЬТУРНЫЕ СЦЕНАРИИ»
И ФРАЗЕОЛОГИЧЕСКАЯ НОМИНАЦИЯ (К ПОСТОНОВКЕ ВОПРОСА
О ВЗАИМОДЕЙСТВИИ ПОНЯТИЙ КОННОТАЦИИ И
КУЛЬТУРНЫХ УНИВЕРСАЛИЙ)».....10
2. **НИНО ПАЛ-НИОРАДZE**
«СИНОНИМ И ПОЛИСЕМИЯ В ГРУЗИНСКОМ
МОЛОДЁЖНОМ ЖАРГОНЕ».....19
3. **СИБИЛА ГЕЛАДZE**
«ОСОБЕННОСТИ МЕДИА-ДИСКУРСА».....27
4. **ВИОЛЕТТА АВETИcЯH**
«ХРОНОТОП В РОМАНЕ ГРИГОЛА РОБАКИДZE «ЗМЕИНАЯ РУБАШКА»»...37
5. **МАРИНА ДЖИКИА**
«ОБЩЕСЛАВЯНСКОЕ СЛОВО «ЗВЕЗДА» В ПОЭЗИИ И ПРОZE
КОНСТАНТИНА БАЛЬМОНТА».....46
6. **ИЗОЛЬДА БЕЛТАДZE**
«ПОЛОЖЕНИЕ ЕВРЕЕВ ВО ФРАНКСКОМ ГОСУДАРСТВЕ
В ЭПОХУ МЕРОВИНГОВ».....54
7. **ПРОТОИЕРЕЙ ЛЕВАН МАТЕШВИЛИ**
«АНТИЧНАЯ ОБРАЗОВАТЕЛЬНАЯ ПАРАДИГМА И
РАННЯЯ ХРИСТИАНСКАЯ АДАПТАЦИЯ».....60
8. **ЭКА ДАРБАИДZE**
«К ВОПРОСУ РАССМОТРЕНИЯ ЮЖНОГО КАВКАЗА КАК
ЕДИНОГО КОМПЛЕКСА БЕЗОПАСНОСТИ».....67
9. **ВАХТАНГ ГАБЕДАВА**
«КРИМИНАЛИСТИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ МЕХАНИЗМА ПРЕСТУПЛЕНИЯ».....74
10. **ВАСИЛИЙ (БЕСО) КВИРИКАШВИЛИ, ИРАКЛИ КВИРИКАШВИЛИ**
«ПОЛИТИКА И ПРЕСТУПНОСТЬ».....80
11. **ВАСИЛИЙ (БЕСО) КВИРИКАШВИЛИ**
«НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СЕМЕЙНОЙ КРИМИНОЛОГИИ».....86



12. МИХЕИЛ ГУДАВАДЗЕ «ГЛАВНЫЕ ЭТАПЫ НАЧАЛА РАССЛЕДОВАНИЯ В СФЕРЕ НАРКОБИЗНЕСА И РАССЛЕДОВАТЕЛЬНЫЕ ДЕЙСТВИЯ».....	91
13. МИХАЙЛ БИЧИА «ОБЩЕЕ ЛИЧНОЕ ПРАВО И ЗАЩИТА ЛИЧНОЙ ЖИЗНИ ГРУЗИНСКИМ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВОМ».....	97
14. ЛЕВАН ЛАТАРИА «ЗАЩИТА ПРАВ ЧЕЛОВЕКА В СОЕДИНЕННОМ КОРОЛЕВСТВЕ ВЕЛИКОБРИТАНИИ И СЕВЕРНОЙ ИРЛАНДИИ».....	103
15. ТАМИЛА ХУРЦИДЗЕ «ОБЩАЯ ТЕОРЕТИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ ПРЕДДОГОВОРНОГО ЭТАПА В ФРЕНЧАЙЗИНГОВЫХ ОТНОШЕНИЯХ».....	109
16. ГИОРГИ ЗУБИТАШВИЛИ «МАКСИМАЛЬНЫЙ УРОВЕНЬ ФИЗИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ДЗЮДОИСТОВ РАЗНЫХ ВОЗРАСТОВ ПОСЛЕ ГОДИЧНЫХ СИСТЕМАТИЧЕСКИХ ТРЕНИРОВОК».....	116

ТЕХНИЧЕСКИЕ НАУКИ И НАУКИ ПРИРОДОВЕДЕНИЯ

1. ГИОРГИ БУРДЖАЛИАНИ, ОТАР ПУРЦЕЛАДЗЕ «ВЛИЯНИЕ ПОТОКА ЖИДКОСТИ НА ЭФФЕКТИВНОСТЬ ПРЯМОГО РЕБРА».....	121
2. НАИРА ГИГАУРИ, РУСУДАН ГИГАУРИ, ИЗАБЕЛЛА ГИУАШВИЛИ «ЦЕМЕНТАЦИЯ МЕДИ НА ЖЕЛЕЗНОМ ПОРОШКЕ ИЗ ПРОМЫШЛЕННЫХ/СТОЧНЫХ ВОД КАРЬЕРА ХАЛЬКОПИРИТНОЙ РУДЫ В КАЗРЕТИ (БОЛНИССКИЙ РАЙОН, ГРУЗИЯ)».....	128

ГЛАВНАЯ РУБРИКА НОМЕРА

ЛИА СИХАРУЛИДЗЕ «ТБИЛИССКОЙ ПРЕЧИСТОЙ ТРОИЦЫ»	133-142
---	---------



**სემანტიკური უნივერსალიები, “კულტურული სცენარები” და
ფრაზეოლოგიური ნომინაცია
(კონოტაციისა და კულტურულ უნივერსალიათა კონცეპტების
ურთიერთკავშირის საკითხის დასმისთვის)**

ინბა კობია

ფილოლოგიის დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ცენტრის მასწავლებელი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
ასოციირებული პროფესორი**

წინამდებარე სტატიის მიზანია გარკვეული წვლილი შეიტანოს ფრაზეოლოგიის, როგორც ენობრივი ფენომენის, ფუნქციური არსის ინტერპრეტაციაში თანამედროვე ლინგვისტიკის იმ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პარადიგმაზე დაყრდნობით, რომელსაც “ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა” ეწოდება. ის, რომ ლინგვისტიკური პარადიგმა თანამედროვე ლინგვისტიკური აზროვნების უმთავრეს ტენდენციებს განსაზღვრავს, საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. როგორც ვ. კარასიკი წერს, “თანამედროვე ლინგვისტიკური აზროვნების პარადიგმული დინამიკა სქემატურად შემდგენიარად შეიძლება იქნას წარმოდგენილი: მოძრაობა სტრუქტურული ლინგვისტიკიდან ფუნქციური ლინგვისტიკისკენ, შემდეგ პრაგმალინგვისტიკისკენ და ბოლოს კულტუროლოგიური ლინგვისტიკისაკენ” [კარასიკი 2004: 5].

ფრაზეოლოგიზმთა ფუნქციური არსის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური სტრატეგიის განსაზღვრა თანამედროვე ლინგვისტიკის იმ ორი თეორიული მომენტის პრობლემური ურთიერთდაკავშირების გზით უნდა მოხდეს, რომელთა რელევანტურობა ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული მიზნით განისაზღვრება: 1) ყურადღების ცენტრში უნდა მოვაქციოთ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ის ნიშან-თვისება, რომელიც ამ ენობრივი ფენომენის მკვლევართა საყოველთაო აღიარებით მის კატეგორიალურ ნიშნად მოიაზრება; 2) აუცილებლად მიგვაჩნია თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკის მთელი კომპლექსიდან ისეთი პრობლემური კონცეპტი გამოვყოთ, რომელიც შემდეგი ორი ნიშნით შეიძლება დახასიათდეს: ა) მას უნდა ჰქონდეს აქტუალურობის განსაკუთრებული სტატუსი სწორედ ენისა და კულტურის შინაგანი ურთიერთდაკავშირების თვალსაზრისით; ბ) შინაარსობრივად იგი ახლოს უნდა იყოს ფრაზეოლოგიზმის მაკონსტიტუირებელ ნიშან-თვისებასთან.

ორი ამგვარი თეორიული მომენტის ურთიერთდაკავშირების ამოცანა არგუმენტაციის გარკვეულ პროცესზე დაყრდნობას მოითხოვს. ამისთვის საჭიროდ მიგვაჩნია, დავასახელოთ ზემოაღნიშნული პრობლემური კონცეპტები: ფრაზეოლოგიური კონოტაციის და “კულტურულ სცენართა” კონცეპტები. ვფიქრობთ, რომ ფრაზეოლოგიზმთა ფუნქციური არსის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია უნდა ნიშნავდეს ფრაზეოლოგიური კონოტაციის



შინაგან დაკავშირებას “კულტურულ სცენართა” კონცეპტთან. ამგვარი დაკავშირების თეორიული ამოცანის წარმატებული რეალიზაცია აუცილებელ წინაპირობად ამ კონცეპტთა შინაარსობრივ განმარტებას უნდა გულისხმობდეს.

პირველ რიგში, საჭიროდ მიგვაჩნია კონოტაციის ზოგად ლინგვისტურ ცნებაზე შევჩერდეთ. კონოტაციის ზოგადკონცეპტუალური განხილვის მიზნით კი მივმართავთ ვ. თელიას მონოგრაფიას “ნომინაციურ ერთეულთა სემანტიკის კონოტაციური ასპექტი.” აღნიშნული ავტორის აზრით, “კონოტაციის ცნება ერთ-ერთი ყველაზე დიფუზურთაგანია ლინგვისტურ კონცეპტებს შორის” [თელია 1986: 3]. ზოგადი სახით ვ. თელია შემდეგნაირად განსაზღვრავს კონოტაციას: “ეს არის ის სემანტიკური ელემენტი, რომელიც უზუალურად თუ ოკაზიონალურად ერთვის ენობრივ ერთეულთა სემანტიკას და გამოხატავს მეტყველი სუბიექტის ემოციურ-შემფასებლურ და სტილისტიკურად მარკირებულ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. იმ შემთხვევაში, როცა ეს დამოკიდებულება გამოხატულია, გამონათქვამი იძენს ექსპრესიულ ხასიათს” [თელია 1986: 5]. რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს კონოტაციის ამგვარ გაგებას ფრაზეოლოგიისათვის, სახელდობრ, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კატეგორიული ნიშნის განსაზღვრისათვის? ვფიქრობთ, ამ მნიშვნელობას ბოლომდე გავიგებთ, თუ კონოტაციის ფენომენს თანამედროვე ლინგვისტურ პრაგმატიკას დაუუკავშირებთ. ჩვენი აზრით, სწორედ პრაგმატიკა წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის იმ სფეროს, რომელსაც ძალუძს კონოტაცია როგორც ფრაზეოლოგიზმთა კატეგორიული ნიშანი და “კულტურულ სცენართა” ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი ერთმანეთთან შინაგანად დააკავშიროს.

ზემოფორმულირებული მიზნიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია ფრაზეოლოგიზმთა ფუნქციური არსის დაკავშირება ენობრივი გამონათქვამის პრაგმატიკასთან. როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიური კონოტაციის ცნება გულისხმობს მეტყველი სუბიექტის შემფასებლურ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, რამაც შეიძლება გარკვეული ექსპრესიულობა შესძინოს გამონათქვამს. საინტერესოა იმ ორი მიზნის დასახელება, რომლებმაც, ვ. თელიას აზრით, განაპირობეს ის ფაქტი, რომ “კონოტაციის პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ლინგვისტურ კვლევათა პერიფერიაზე. პირველ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მნიშვნელობის ეს კონცეპტი ენის ინვენტარის ერთეულებისათვის არ არის აუცილებელი. . . მეორე მიზეზად კი -ექსპრესიულობის ცნება ნაკლებადაა შესწავლილი” [თელია 1986: 6-7].

ასევე უცილებლად მიგვაჩნია მიუუთითოთ შემდეგ ფაქტზე: ვ. თელიას მოსაზრებანი იმის თაობაზე, თუ რატომ აღმოჩნდა კონოტაციის პრობლემა “ლინგვისტურ კვლევათა პერიფერიაზე.” გამოთქმულია ჯერ კიდევ 1986 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში და, შესაბამისად, ასახავენ კონოტაციის ფენომენის კვლევის იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ დონეს. ლინგვისტურ კვლევათა ბოლო პერიოდისათვის კი დამახასიათებელია ორი ურთიერთდაკავშირებული პარადიგმული ძვრა: ენობრივ სტრუქტურათა აღწერისა და ინტერპრეტაციის პროცესში დომინირებას იწყებს პრაგმატიკული თვალსაზრისი, ხოლო თვით პრაგმატიკული თვალსაზრისი სულ უფრო და უფრო ექცევა ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისის გავლენის ქვეშ . . . როგორც ცნობილია, “პრაგმატიკა შეისწავლის ენის იმ განზომილებას, რომელშიც სამეტყველო აქტის სუბიექტურობაა ასახული” [ლებანიძე 1997: 59]. მაგრამ



კონოტაციის პრობლემის უფრო ფართო ხედვისათვის არა მხოლოდ პრაგმატიკული თვალსაზრისის დომინანტური სტატუსის როგორც ფაქტის აღნიშვნაა მნიშვნელოვანი, არამედ იმ ევოლუციის გათვალისწინებაც, რომელიც ამ თვალსაზრისმა ბოლო წლებში განიცადა: “თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის საწყის მომენტში სამეტყველო აქტის სუბიექტურობა მხოლოდ მეტყველი სუბიექტისაგან (ადრესანტისაგან) მომდინარე სუბიექტურობას ნიშნავდა, კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე იგი ორ კომუნიკანტს შორის (ადრესანტი-ადრესატი) მიმართებათა მთელი სისტემით განისაზღვრება” [ლებანიძე 1997: 59].

პრაგმატიკული თვალსაზრისის დომინირებისა და ხსენებული ევოლუციის ერთ-ერთ შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ შეფასება (ანუ კონოტაციური სემანტიკის ბრიტეული ელემენტი) დღეს ერთ-ერთ პრაგმატიკულ კატეგორიად განიხილება. როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკა ხუთ პრაგმატიკულ კატეგორიას გამოყოფს: “ლოკაციის, მოდალობის, შეფასების, ემოციურობის, დისტანტურობის.” [ლებანიძე 1997: 55-56]. როგორც ვხედავთ, ძირითად პრაგმატიკულ კატეგორიათა შორის ნახსენებია შეფასებაც და რადგანაც შეფასება კონოტაციის ბრიტეულ ელემენტად მიიჩნევა, ეს უკვე საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ თვით კონოტაციაც პრაგმატიკულ კატეგორიად მივიჩნიოთ.

კონოტაციის ცნებასთან დაკავშირებული მსჯელობა ვ. თელიას უკვე ციტირებული მონოგრაფიიდან ისეთი ციტატით გვსურს დავასრულოთ, რომელიც ფრაზეოლოგიზმთა კატეგორიალური ნიშნის განსაზღვრისას კონოტაციის ცნებაზე დაყრდნობის შესაძლებლობაზე ნათლად მიუთითებს. კვლევარის აზრით, კონოტაცია შეიცავს ინფორმაციას, რომელიც “გამონათქვამის ექსპრესიულ ეფექტს” ქმნის [თელია 1986: 4]. როგორც ვხედავთ, ვ. თელიას მიხედვით სწორედ ექსპრესიულობის შექმნა უნდა ჩაითვალოს კონოტაციის კომუნიკაციის თვალსაზრისით რელევანტურ ფუნქციად. მაგრამ ჩვენი კვლევითი მიზნების თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია კონოტაციის მეორე მომენტიც: “კომუნიკაციური სემანტიკა – ეს არის სინამდვილის მიმართ ანთროპომეტრული (ანთროპოცენტრისტულად ორიენტირებული - ი.კ.) დამოკიდებულების სემანტიკა” [თელია 1986: 4]. კონოტაციური სემანტიკის ამგვარი (პრაგმატიკული) გაგება სტატიის დასაწყისში უკვე ფორმულირებული ამოცანის შესრულების გარკვეულ შესაძლებლობას გვიქმნის – დაუკავშიროთ ერთმანეთს ფრაზეოლოგიური კონოტაციისა და “კულტურულ სცენართა” კონცეპტები. ეს შესაძლებლობა იმ შემთხვევაში მიიღებს სრულ სახეს, თუ ჩვენს მიერ განმარტებული იქნება “კულტურულ სცენართა” ის კონცეპტიც, რომელსაც საყოველთაო აღიარებით ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიურ აზროვნებაში.

როგორც ცნობილია, “კულტურულ სცენართა” (cultural scripts) კონცეპტი თანამედროვე საზოგადოებრივ პრაქტიკაში ანა ვეუბიცკას მიერაა შემოტანილი. ის, რომ აღნიშნული ავტორის ყურადღების ცენტრში მართლაც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკა იმყოფება, ნათლად გამომდინარეობს მის მიერ კვლევით პრინციპებად მოაზრებული შემდეგი დებულებებიდან: 1) განსხვავებულ საზოგადოებაში და სოციალურ ჯგუფებში ადამიანები განსხვავებულად მეტყველებენ, რომელიც ატარებს არა მხოლოდ ლექსიკურ და გრამა-



ტიკულ ხასიათს; 2) ეს განსხვავებები სიღრმისეულ და სისტემურ ხასიათს ატარებენ; 3) ეს განსხვავებები კულტურულ ღირებულებათა გაგებას, ან, როგორც მინიმუმ, კულტურულ ღირებულებათა შორის იერარქიულ მიმართებათა განსხვავებულ ხედვას ეფუძნებიან; 4) მოცემული ენობრივი კოლექტივისთვის ტიპური სამეტყველო სტრატეგიები ვერ იქნებიან დამაკმაყოფილებლად აღწერილნი წმინდა “ქცევით” (behavioural) ტერმინებში; სინამდვილეში ეს სტრატეგიები “კულტურულ წესთა,” ან, როგორც მე მას ვუწოდებ, “კულტურულ სცენართა” ფარული სისტემის გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენენ. იმისათვის, რომ გავიგოთ მოცემული სოციუმის სამეტყველო ქცევის თავისებურებანი, უნდა გამოვაგლინოთ და მკაფიოდ განვსაზღვროთ ამ სოციუმისთვის იმპლიციტურად დამახასიათებელი “კულტურული სცენარები”; 5) იმისათვის, რომ ამ ამოცანის გადაჭრისას ეთნოცენტრისტულად განპირობებულ სუბიექტურობას თავი დაავადწიოთ, შედარებას უნდა მოვუძებნოთ უნივერსალური, კულტურული ენებისაგან დამოუკიდებელი საფუძველი; ამის მიღწევა შეიძლება, თუ ზემოთ ხსენებული “წესების” ფორმულირება ისეთი ლექსიკური უნივერსალიების საშუალებით მოხდება, რომლებიც მსოფლიოს ყველა ენაში ლექსიკალიზებულ ზოგად საკაცობრიო ცნებებს წარმოადგენენ” [ვეუბიცკა 2001: 159-160].

როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატა გვიჩვენებს, “კულტურულ სცენართა” ფორმულირებას და კლასიფიკაციას ავტორი “ლექსიკურ უნივერსალიებზე” დაყრდნობით აპირებს, ხოლო თვით ამ უნივერსალიებს განსაზღვრავს როგორც “მსოფლიოს ყველა ენაში ლექსიკალიზებულ ზოგად საკაცობრიო ცნებებს.” აქედან გამომდინარე, ვეუბიცკას მიხედვით “კულტურულ სცენართა” ემპირიულ საყრდენს ენის ლექსიკური სისტემა წარმოადგენს: სწორედ სიტყვა უნდა მივიჩნიოთ იმ ენობრივ ელემენტად, რომლის სემანტიკა სოციუმისთვის დამახასიათებელ “ქცევის წესებს ასახავს.” მაგრამ როგორც წინამდებარე სტატიის სათაური გვიჩვენებს, გვსურს “კულტურულ სცენართა” სისტემა ენის არ მხოლოდ ლექსიკურ, არამედ ფრაზეოლოგიურ სისტემასაც დაუკავშიროთ. რამდენადაა შესაძლებელი ამ მიზნის განხორციელება მიუხედავად იმისა, რომ “კულტურულ სცენართა” თეორიის ავტორი ამ თეორიასთან მიმართებაში მხოლოდ ლექსიკაზე ლაპარაკობს და საერთოდ არ ახსენებს ფრაზეოლოგიზმებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი, თუ დავინახავთ არსებით (ანუ ფუნქციურ) შინაგან კავშირს ენობრივი სისტემის ისეთ ერთეულებს შორის, როგორცაა ერთის მხრივ სიტყვა, მეორეს მხრივ კი ფრაზეოლოგიური ერთეული.

ჩვენი აზრით, ნომინაციის თანამედროვე თეორია ზემოფორმულირებული პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა. დღეს არავის ეპარება იმაში ეჭვი, რომ ნომინაციის ფუნქცია ენობრივი სისტემის ფუნქციონირებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე კომუნიკაციის ფუნქცია. ასევე უეჭველად უნდა ჩაითვალოს ამ ორი ფუნქციის აუცილებელი შინაგანი კავშირი ენობრივი სისტემის როგორც მთლიანის ფუნქციონირებისას. უეჭველ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში ნომინაციური ფუნქცია ისევე მიეწერება ფრაზეოლოგიურ ერთეულს, როგორც სიტყვებს ანუ ლექსიკურ ერთეულებს. რა თქმა უნდა, კარგადაა ცნობილი შემდეგი ფაქტი: როგორც თეორიულ, ისე სასწავლო ლინგვისტურ ლიტერატურაში ფრაზეო-



ლოგია ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლექსიკოლოგიასთან, რომ განიხილებოდა კიდევ როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. კვლევის დღევანდელ ეტაპზე, როცა ფრაზეოლოგიის როგორც ენის ავტონომიური ქვესისტემის გამოყოფის აუცილებლობა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, ფრაზეოლოგიის ლექსიკოლოგიისადმი ტრადიციული სახით დაქვემდებარება გაუმართლებელია. მაგრამ ვფიქრობთ, თვით ამ ფაქტის არსებობა მეტყველებს ამ ორი დარგის ფუნდამენტურ ერთეულებს, ე.ი. სიტყვასა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის შინაგან ორგანულ კავშირზე, რომელიც როგორც ფრაზეოლოგიის ნომინაციური არსის განსაზღვრისას, ისე მისი ტიპოლოგიზაციის პროცესში, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული.

როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიური ნომინაცია წმინდა დენოტაციური თვალსაზრისით არ განსხვავდება ლექსიკური ნომინაციისაგან – ეს განსხვავება ატარებს არა დენოტაციურ, არამედ კონოტაციურ ხასიათს. შესაბამისად, თუ გვსურს კულტურულ სცენართა კონცეპტის ორგანული დაკავშირება ფრაზეოლოგიასთან, ფრაზეოლოგიური კონოტაციის იმ კონცეფციას უნდა დავყვარდნოთ, რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ჩვენ მიერ დასახული მიზნის შესაბამისად მოგვიწევს არა მხოლოდ კონოტაციის, არამედ “კულტურულ სცენართა” განმარტებაც. როგორც აღვნიშნეთ, ხსენებულ ორ კონცეპტს შორის დამაკავშირებელი “ხიდის” როლი პრაგმატიკამ უნდა შეასრულოს. თანამედროვე ფრაზეოლოგიაში კონოტაციის როგორც ენობრივი ფენომენის შიდა სტრუქტურა შემდგენაირადაა აღქმული: “კონოტაცია წარმოადგენს ლექსიკური მნიშვნელობის ისეთ პრაგმატიკულად განპირობებულ კომპონენტს, რომელსაც რთული იერარქიული სტრუქტურა აქვს. ამ იერარქიაში წამყვან ელემენტად შეფასება გვევლინება, რომელიც განსაზღვრავს კონოტაციის ყველა დანარჩენ ელემენტს – ემოციურს, ექსპრესიულს, სტილისტიკურს” [ფედიაშინა 1988: 74].

იმის შემდეგ, რაც განვსაზღვრეთ ისეთი პრაგმატიკული კატეგორია, რომელმაც კონოტაციისა და “კულტურულ სცენართა” კონცეპტების დამაკავშირებელი “ხიდის” როლი უნდა შეასრულოს, საჭიროდ მიგვაჩნია თვით “კულტურულ სცენართა” კონცეპტუალური შინაარსიც დაკონკრეტდეს. თავად ვეუბიცკას მიერ შემოთავაზებული “კულტურული სცენარები” “ფრიად ლაკონურად წარმოდგენილ სემანტიკურ მეტაენაზე არიან ფორმულირებულნი და ლექსიკურ უნივერსალიათა და უნივერსალურ სინტაქსურ მოდელებს ეფუძნებიან” [ვეუბიცკა 2001: 160]. იგივე ავტორის აზრით, “ეს მეტაენა შექმნილია ბუნებრივი ენის გამოყენებით . . .” და ამიტომ მას “ბუნებრივი სემანტიკური მეტაენა” შეიძლება ვუწოდოთ. ამგვარ მეტაენაზე დაყრდნობით შევძლებთ აღვწეროთ მოცემული კულტურისათვის სპეციფიკური (culture-specific) დისპოზიციები, რწმენები და ნორმები ისეთი თვალსაზრისით, რომელიც ნეიტრალური იქნება და ამ კონკრეტულ კულტურაზე არ იქნება დამოკიდებული” (იქვე). ავტორი გვთავაზობს ამგვარი მეტაენის შემდეგ ლექსიკონს, რომელსაც ის “სემანტიკურ პრიმიტივთა სიას” უწოდებს:

“სუბსტანტივები: მე, შენ, ვიღაცა (ადამიანი), რაღაცა (ნივთი), ადამიანი (Body)

დეტერმინატორები: ეს, იგივე, სხვა

კვანტიფიკატორები: ერთი, ორი, რამოდენიმე, ბევრი, მთელი



ატრიბუტები: ცუდი, კარგი, დიდი, პატარა
 მენტალური პროდიუქტები: ფიქრი, ცოდნა, ნდობა, გრძნობა, ხედვა, სმენა
 მეტყველება (speech): თქმა (say), სიტყვა (word), სიმართლე (true)
 მოქმედება, ხდომილება, მოძრაობა: კეთება, ხდომილება, მოძრაობა
 არსებობა და ფლობა: არის (არსებობს), ქონა/ყოლა
 სიცოცხლე და სიკვდილი: სიცოცხლე, გარდაცვალება
 ლოგიკური ცნებები: არ/არა, შესაძლოა, იმიტომ, რომ/იმის გამო, რომ, თუ, თუკი
 დრო: როდის, ახლა, შემდეგ, -მდე, დიდი ხნით (long time), ცოტა ხნით (short time)
 სივრცე: სად, აქ, -ზე, ქვეშ, შორის, ახლოს, ამ მხრიდან, შიგნით
 ინტენსიფიკატორები, აუგმენტორები: ძალიან, მეტად
 ტაქსონიმია, პარტონიმია: სახეობა, ნაწილი
 მსგავსება: მსგავსად”

[ვაუბიკა 2001: 161].

თვით ვეუბიკა მის მიერ შემოთავაზებულ “სემანტიკურ პრიმიტივთა” სისტემის („სიის“) შემდეგ შეფასებებს იძლევა: “ვამტკიცებ, რომ ლექსიკურ უნივერსალიებზე დაფუძნებული ბუნებრივი სემანტიკური მეტაენა წარმოადგენს განსაკუთრებულ “ლექსიკურ კოდს” ან კონკრეტული ენისაგან დამოუკიდებელ კულტურულ ტრანსფორმაციას (culture notation), რომლის საშუალებით საზოგადოებრივი კულტურის ქვეცნობიერი აღწერაა შესაძლებელი (cultural unconscious) [ვაუბიკა 2001: 162]. ავტორის აზრით, ამ მეტაენის გამოყენებით როგორც კულტურათა შორის განსხვავებების, ისე მოცემული კულტურის ფარგლებში ვარიაციულობისა და ცვლილებათა ბუნების გამოვლენაცაა შესაძლებელი: პრაქტიკულ დონეზე კი ამ გზით შეგვიძლია გავამარტივოთ როგორც განსხვავებულ კულტურათა წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა, ისე ენათა კვლევა კულტურულ კონტექსტში.

როგორც სტატიის დასაწყისშივე ითქვა, ჩვენი მიზანია ისეთ ორ კონცეპტს შორის, როგორცაა კონოტაცია და “კულტურულ სცენართა” კონცეპტები, დავინახოთ შინაგანი კავშირი, რომლის გამოვლენისას აუცილებელია დავეყრდნოთ ზემოთ წარმოდგენილ ვეუბიკასეულ ისეთ შემდეგ ორ მომენტს, რომლებიც ჩვენს მიერ დასახულ მიზანთან უშუალო კავშირში არიან. ეს მომენტებია: 1. ვეუბიკას მიერ შემოთავაზებულ სემანტიკურ უნივერსალიათა სისტემა არა მხოლოდ ენის ლექსიკურ სისტემას ეყრდნობა, არამედ ამ სისტემის აღწერის საშუალებასაც წარმოადგენს. მაგრამ თვით ლექსიკური სისტემის ფუნქციურ საფუძველს ლექსიკური ნომინაცია წარმოადგენს, რადგან სწორედ ეს ფუნქცია არა მხოლოდ განაპირობებს, არამედ ქმნის კიდევ თვით ლექსიკურ სემანტიკას როგორც ენობრივ ფენომენს. ისმის კითხვა: თუ ფრაზეოლოგიური ნომინაცია დენოტაციური თვალსაზრისით ლექსიკური ნომინაციისაგან არ განსხვავდება, მაშინ შესაძლებელი ხდება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა აღწერისა და ტიპოლოგიზაციის მიზნით ვეუბიკასეული სისტემის დენოტაციური თვალსაზრისით გამოყენება? 2. ეს სისტემა საფუძველად ედება ამავე ავტორის “კულტურულ სცენართა” თეორიას. როგორც ცნობილია, ტერმინი “სცენარი” თავისი სემანტიკით ქცევით ხასიათს ატარებს: ყოველი სცენარი მხოლოდ იმდენად ამართლებს თავის ამგვარ ნომინაციას, რამდენადაც მიიჩნევა გარკვეული ქმედების თუ



მოქმედების წინასწარ განმაპირობებელ საფუძვლად. შეიძლება ითქვას: ყოველი სცენარი მისაღებია იმდენად, რამდენადაც ის ფარულად თუ ღიად მის საფუძველზე განსახორციელებელი ქმედების პროზიტიურ თუ ნეგატიურ შეფასებას შეიცავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველი სცენარი ღიად თუ ფარულად კონოტაციის მომენტს შეიცავს, ანუ იმ მომენტს, რომლის ბირთვულ ელემენტად შეფასება უნდა მივიჩნიოთ.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთ ნათქვამიდან? ვფიქრობთ, დასკვნა შემდეგ მტკიცებათა ერთობლიობას უნდა წარმოადგენდეს: ა) სემანტიკურ უნივერსალიათა სისტემა “კულტურულ სცენართა” სემანტიკურ საფუძვლად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ, თუ ამ სემანტიკის შემადგენელ ელემენტად არა მხოლოდ სიგნიფიკაციურ და დენოტაციურ მომენტებს, არამედ კონოტაციასაც მივიჩნევთ; ბ) თუ მივიღებთ სემანტიკურ უნივერსალიათა ისეთ სტრუქტურას, რომლის აუცილებელ ელემენტად კონოტაციური ელემენტი უნდა ჩაითვალოს, მაშინ ხაზი უნდა გაესვას ფრაზეოლოგიზმთა ფუნქციურ-სემანტიკური არსის პირდაპირ კავშირს სწორედ “კულტურულ სცენართა” კონცეპტთან, რადგან სწორედ ფრაზეოლოგიზმთა როგორც ენობრივ-კულტურული კატეგორიალური მნიშვნელობა კონსტიტუირდება ღიად და ხასგასმით წარმოდგენილი კონოტაციით.

როგორც ვხედავთ, სემანტიკურ უნივერსალიათა და “კულტურულ სცენართა” ვეუბიცკასეული თეორია საშუალებას იძლევა სრულიად ახლებურად დავინახოთ ის კონცეპტუალური პერსპექტივა, რომელსაც თავიდანვე შეიცავდა ფრაზეოლოგიური ნომინაციის კონცეფცია. ხსენებული თეორია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სრულიად ახალი, ლექსიკურ უნივერსალიებზე დაფუძნებული ტიპოლოგიზაციის შესაძლებლობას იძლევა, რადგან ყოველი სემანტიკური უნივერსალია ისევე შეიძლება წარმოდგენილი იქნას ფრაზეოლოგიზმით, როგორც სიტყვით. მაგრამ, თავის მხრივ, ფრაზეოლოგიური ნომინაციის თეორიასაც არსებითი კორექტივის შეტანა შეუძლია ვეუბიცკასეულ თეორიაში იმ მიზნით, რომ დაგვანახოს ის მნიშვნელობა, რომელიც ამ თეორიისთვის კონოტაციის კონცეპტს შეიძლება ჰქონდეს.

ლიტერატურა

Literature

Литература

1. Вежбицкая Анна. - Сопоставление культур через посредство лексики и прагматики. Язык. Семиотика. Культура. Малая серия. Москва, «Языки славянской культуры». 2001
2. Телиа В. Н. – Коннотативный аспект семантики номинативных единиц. Москва. «Наука». 1986
3. Карасик В. И. – Языковой круг (личность, концепты, дискурс). Москва, «Гнозис». 2004
4. ლებანიძე გ. – კომუნიკაციური ლინგვისტიკა (ლექციების კურსი). თბილისი, „ენა და კულტურა“. 1997
5. Федяшина А. А. – «Коннотативный аспект фразеологической номинации» in Актуальные вопросы номинации. Саратов. СГПИ. 1988



რ ე ზ ი უ მ ე

სემანტიკური უნივერსალიები, “კულტურული სცენარები” და ფრაზეოლოგიური ნომინაცია (კონოტაციისა და კულტურულ უნივერსალიათა კონცეპტების ურთიერთკავშირის საპიტიხის დასმისთვის)

ინგა კოკაია

წინამდებარე სტატიის მიზანია გარკვეული წვლილი შეიტანოს ფრაზეოლოგიის როგორც ენობრივი ფენომენის ფუნქციური არსის ინტერპრეტაციაში თანამედროვე ლინგვისტიკის იმ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პარადიგმაზე დაყრდნობით, რომელსაც “ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა” ეწოდება.

ჩვენ მიერ ფორმულირებული მიზნის განსახორციელებლად გვსურს დავეუკავშიროთ ანა ვეუბიცკას მიერ შემოთავაზებული “კულტურულ სცენართა” სისტემა ენის არა მხოლოდ ლექსიკურ, არამედ ფრაზეოლოგიურ სისტემასაც და ამ ორი სისტემის ფუნდამენტურ ერთეულებს - სიტყვას და ფრაზეოლოგიურ ერთეულს.

ფრაზეოლოგიზმთა ფუნქციური არსის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია უნდა ნიშნავდეს ფრაზეოლოგიური კონოტაციის “კულტურულ სცენართა” კონცეპტთან იმ შინაგანი კავშირის გამოვლენას, რომლის სემანტიკურ საფუძვლად მიჩნეულ უნდა იქნას უნივერსალიათა ის სისტემა, რომლის ფარგლებში კონოტაცია ფიგურირებს მთავარი კომპონენტის სახით.

სემანტიკურ უნივერსალიათა და “კულტურულ სცენართა” ვეუბიცკასეული თეორია იძლევა სრულიად ახალი, ლექსიკურ უნივერსალიებზე დაფუძნებული ტიპოლოგიზაციის შესაძლებლობას, რადგან ყოველი სემანტიკური უნივერსალია ისევე შეიძლება წარმოდგენილ იქნას ფრაზეოლოგიზმით, როგორც სიტყვით: მაგრამ, თავის მხრივ, ფრაზეოლოგიური ნომინაციის თეორიასაც არსებითი კორექტივის შეტანა შეუძლია ვეუბიცკასეულ თეორიაში იმ გაგებით, რომ დაგვანახებს იმ მნიშვნელობას, რომელიც ამ თეორიისთვის შეიძლება ჰქონდეს კონოტაციის კონცეპტს.

S U M M A R Y

SEMANTIC UNIVERSALS, “CULTURAL SCRIPTS” AND PHRASEOLOGICAL NOMINATION (FOR THE INTERACTION OF THE CONCEPTS OF CONNOTATION AND CULTURAL UNIVERSALS)

INGA KOKAIA

The main objective of the article is to contribute to the interpretation of the functional essence of phraseology as a linguistic phenomenon on the bases of the dominant theoretical-methodological paradigm of contemporary linguistics which is defined as ‘Linguo-Cultural Paradigm’.



To fulfill the above-mentioned objective, the system of ‘cultural scripts’, suggested by Anna Vezbicka, should be connected not only with the suggested lexical, but with the phraseological system as well and with the fundamental units of these two systems – word and phraseological unit.

We think that the linguo-cultural interpretation of the functional essence of phraseological units should mean the inner connection of phraseological connotation – the significant component of a phraseological unit – with the concept of ‘cultural scripts’, the semantic bases of which can be defined by the system of semantic universals in which connotation is considered to be its main component.

As we see, the theory of Semantic Universals and ‘Cultural Scripts’ suggested by Vezbicka enables us to create a new type of typology of phraseological units based on lexical universals, taking into account the fact that any semantic universal can be presented by a phraseological unit, as well as by a word. Therefore, it should be assumed that the theory of phraseological nomination can contribute to the theory of ‘Cultural Scripts’ by defining the importance which connotational concept of the presented theory can have.

РЕЗЮМЕ

СЕМАНТИЧЕСКИЕ УНИВЕРСАЛИИ, «КУЛЬТУРНЫЕ СЦЕНАРИИ» И ФРАЗЕОЛОГИЧЕСКАЯ НОМИНАЦИЯ (К ПОСТАНОВКЕ ВОПРОСА О ВЗАИМОДЕЙСТВИИ ПОНЯТИЙ КОННОТАЦИИ И КУЛЬТУРНЫХ УНИВЕРСАЛИЙ)

ИНГА КОКАИА

В статье ставится цель внести определенный вклад в интерпретацию функциональной сущности фразеологии как языкового феномена с опорой на ту теоретико-методологическую парадигму современной лингвистики, которая называется «лингво-культурологической парадигмой».

Для достижения вышеупомянутой цели, система «культурных сценарий», предложенная Анной Вежбицкой, связывается не только с лексической, но и с фразеологической системой языка и с фундаментальными единицами этих двух систем – со словом и фразеологизмом.

Лингвокультурологическая интерпретация функциональной сущности фразеологизмов означает выявление внутренней связи фразеологической коннотации с понятием «культурных сценарий», семантическим основанием которых должна быть признана система семантических универсалии, в пределах которой коннотация является ее основным компонентом.

Теория семантических универсалий и «культурных сценарий», предложенная Вежбицкой, позволяет создать новую типологию фразеологизмов, основанную на лексических универсалиях: любая семантическая универсалия может быть представлена как фразеологизмом, так и словом. С другой стороны, теория фразеологической номинации может внести существенный корректив в теорию «культурных сценарий», так как покажет значение коннотации концепта для этой теории.



სინონიმი და პოლისემია ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში

ნინო პალ-ნიორაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

ახალგაზრდული ჟარგონის, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფის ენობრივი ქვესისტემის, ფუნქციონირების ერთ-ერთი თავისებურებაა მისი მომხმარებლის ყოფისა და ცნობიერების მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენების დეტალიზებული ნომინაცია, რის გამოც ჟარგონში ძალზე ინტენსიურია სინონიმის – კვაზისინონიმოს მოვლენა.

ცნობილია, რომ ლინგვისტიკაში კვაზისინონიმებს უწოდებენ აბსოლუტურად ერთმნიშველოვან სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობები მთლიანად ემთხვევა, სტილისტურადაც ერთმნიშვნელოვანნი არიან და გამოიყენებიან მხოლოდ მეტყველების სახეობრივი მრავალფეროვნებისათვის, ნებისმიერი მოლაპარაკის მიერ მისთვის შესაფერისი და მოსაწონი ვარიანტის ამორჩევისათვის.

კვაზისინონიმების სიუხვე, ბუნებრივია, იმითაც არის განპირობებული, რომ ყველა თაობა თავის სინონიმურ ერთეულებს ქმნის წინამორბედი თაობისაგან გამორჩევის მიზნით და უკვე არსებულ სინონიმებს საკუთარს ამატებს. მაგალითად, ლ. ბრეგვაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ 200-მდე სინონიმური ჟარგონიზმია. კვაზისინონიმური ჟარგონიზმების ეს რაოდენობა, ბუნებრივია, სხვადასხვა ინტენსივობით ასრულებს ნომინირების ფუნქციებს. მაგალითად, „მიხვედრის“, „შეგრძნების“ სემატიკის გამოხატვას „ემსახურება“ რვა ჟარგონიზმი:

- იადა – მიხვდა;
- მოიადა – მიხვდა;
- იაზრა – მიხვდა;
- ისქესა – მიხვდა, იგრძნო;
- იყიდა – მიხვდა;
- იყნოსა – მიხვდა, იგრძნო;
- მოყნოსა – მიხვდა, იგრძნო;
- მოწვა – მიხვდა, გაიგო.

რვა სინონიმური ლექსიკური ერთეულით გამოიხატება სმის (დალევის), ალკოჰოლის მიღების პროცესი:

- უბერავს – სვამს ალკოჰოლიან სასმელს;
- უბრახუნებს – სვამს მაგარ სასმელს;
- ურტყამს – სვამს ალკოჰოლიან სასმელს;
- შეუშვა – დალია (ძირითადად ალკოჰოლიან სასმელზე ითქმის);



- ჩაარტყა – დაღია;
- ჩახრახნა – დაღია ალკოჰოლიანი სასმელი;
- ჭაჭებში შეუშვა – „დაღია ალკოჰოლიანი სასმელი“ (ჭაჭები იგივე თირკმელებია – შარდის წარმოქმნელი და გამომყოფი ორგანო)¹

ხუთი სინონიმური ჟარგონიზმით გამოიხატება გარტყმა/დარტყმის პროცესი:

- უვლიპა – დაარტყა, დასცხო (ხმაბაძვითი სიტყვა);
- რეკა – დაარტყა, ესროლა;
- ჭყლიტა – გაარტყა, ჩასცხო (თითქოს რაღაცა მოაჭყლიტა სხეულზე);
- ხია – გაარტყა.

ასევე ხუთი სინონიმური ჟარგონიზმით გამოიხატება ქურდის სახელწოდება:

- ამწევი (კლიენტი) – მომპარავი, ქურდი;
- განაბი – ქურდი. მომდინარეობს ებრაულიდან;
- გიმელი – ქურდი;
- გოლა – ქურდი. ძალიან გავრცელებული ჟარგონი მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, ყფრო დასავლეთ საქართველოში, ახლა იშვიათად გაიგონებთ;
- მომპარავი – „ვინც იპარავს“ [ლომთაძე 2005: 83].

კვაზისინონიმით გამოიხატება ახალგაზრდული ჟარგონის ენობრივ სამყაროში ისეთი ინტენსიური გამოყენების მოვლენა, როგორცაა „მოტყუება“/„ტყუილის თქმა“. მისი სახელდებისათვის გამოიყენება 6 სინონიმური ჟარგონიზმი:

- აყლაპა – შეატყუა, მიასაღა, მოატყუა;
- აჭამა – მოატყუა;
- ათოხლა – მოატყუა;
- გადააგდო – მოატყუა, ოინი უყო;
- გადაგდება – მოტყუება.

აღნიშნულის გარდა, ლ. ბრეგაძის ლექსიკონში გამოიყოფა 5 ოთხჟარგონიზმიანი სინონიმური ნომინაცია, 10-ზე მეტი სამ ჟარგონიზმიანი, 30-მდე ორჟარგონიანი სინონიმური ნომინაცია, ხოლო თ. ლომთაძის „ქუთაისური ჟარგონის“ (2005) ახალგაზრდულ ჟარგონულ ლექსიკონში დაფიქსირებულია 2 ოთხჟარგონიზმიანი, 2 სამჟარგონიზმიანი, 10-მდე ორჟარგონიზმიანი სინონიმური ნომინაციები. ცხადია, აქედან ყველა არ არის კვაზისინონიმური, რადგან უმეტეს შემთხვევაში ცალკეულ სინონიმებს შორის დასტურდება სემანტიკური ნიუანსების არსებობა, მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში გამოყენების მიზანშეწონილობა და ა.შ. ამასთან ერთი და იმავე ცნების, საგნის, მოვლენის ნომინირების მიზნით უცხოური ჟარგონიზმის

¹ ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, 2005, გვ. 160



სესხებაც ხდება და „საკუთარის“ წარმოებაც. მაგალითად, მოდური, ძვირფასი ტანსაცმლის სახელდებისათვის ერთ შემთხვევაში გამოიყენება ჟარგონიზმი „შმოტკები“, რომელიც რუსული „шмотки“-დან მომდინარეობს და ტანსაცმელს აღნიშნავს, სხვა ვითარებაში იმავე დანიშნულებით გამოიყენება მშობლიური – ქართული სიტყვა „ძონძები“ და ასევე „მოდური, ძვირფასი ტანსაცმლის“ მნიშვნელობით¹. ორივე ჟარგონიზმის სემანტიკა ცხადყოფს, რომ სინონიმის საფუძველია მომხმარებლის მეტყველების სტილი, მანერა და სახელდების სიზუსტის აუცილებლობა. სინონიმის მიზეზი ხშირ შემთხვევაში ჟარგონის მომხმარებელთა ენობრივი ცნობიერება, გემოვნება და ამა თუ იმ ჟარგონისადმი სუბიექტური დამოკიდებულება გამოდის. კონკრეტული საგნის, მოვლენის აღსანიშნად არსებული ჟარგონული სინონიმების სემანტიკა და მათი გამოყენების ტრადიცია ცხადყოფს, რომ ახალგაზრდების სხვადასხვა თაობები, ერთი მხრივ, წარმატებით გამოიყენებს არსებულ ჟარგონიზმებს, მეორე მხრივ, თავადაც ქმნიდა იმავე ცნების (საგნის, მოვლენის) აღმნიშვნელ ჟარგონიზმს. იმის გამო, რომ ძველ, ტრადიციულ ჟარგონზე არც ერთი თაობა არ ამბობდა უარს, ჟარგონულ ლექსიკაში ძველსაც თავისი ადგილი უნარჩუნდებოდა და მას ახალიც ემატებოდა. მაგალითისათვის, ვფიქრობ, „ქურდის“ ნომინაციების მოტანაც იკმარებს.

„ქურდის“ გამომხატავი სინონიმური ჟარგონიზმებიდან ძველ ჟარგონიზმად უნდა ჩაითვალოს ებრაული წარმომავლობის სიტყვები „გიმელი“ და „განაბი.“ XX ს. 60-იანი წლებიდან ჟარგონის ლექსიკის სამყაროში გაჩნდა ჟარგონიზმი „გოლა“, რომელიც განსაკუთრებით გავრცელდა დასავლეთ საქართველოში.² ახალმა თაობებმა კი საკუთარი ჟარგონიზმები შექმნეს. ასე გაჩნდა, მაგალითად, „ამწვევი (კლიენტი)“ და „მომპარავი.“

აღნიშნული ცხადყოფს, რომ სინონიმია და კვაზისინონიმია მნიშვნელოვანი წყაროს როლს თამაშობს ჟარგონული ლექსიკის ფონდის ზრდასა და ნომინაციური პროცესების ემოციურ-ექსპრესიული მუხტის გამოკვეთაში.

პოლისემია

ლინგვისტიკაში პოლისემია, ფართო გაგებით, ერთნაირი ბგერითი შედგენილობის მქონე ლექსიკური ერთეულებით სხვადასხვა მნიშვნელობის გამოხატვას ეწოდება. ე.ი. პოლისემია ფართო ნომინაციური ველით გამოირჩევა. პოლისემიური სიტყვები ერთმანეთისაგან წარმომავლობითაც განსხვავდებიან. მათ ომონიმებსაც უწოდებენ. მათგან განასხვავებენ ისეთ ძალიან მსგავს სიტყვებს, რომლებსაც **მრავალმნიშვნელობიან სიტყვებს** უწოდებენ. ამაში იგულისხმება ისეთი სიტყვები, რომელთაც თავისთავად სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებენ. მაგალითად, „მთის წვერი“, „ისრის წვერი“, ადამიანის წვერი (ბალანი პირისახეზე), აქედან წვერის პარსვა. ეს სიტყვები სინამდვილეში (რეალურად) ერთ სიტყვას წარმოადგენენ. **ომონიმები** კი სხვა ვითარებას ასახავენ. ისინი

¹ ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, 2005, გვ. 155

² იქვე, გვ. 45



მნიშვნელობითაც და წარმომავლობითაც სხვადასხვა სიტყვებს წარმოადგენენ. მაგალითად:

- ნარი – (ეკლებიანი მცენარე);
- ნარი – („ნ“ ასოს სახელწოდება);

სხვა მაგალითი:

- ალი – (ცეცხლის ალი);
- ალი – (ხალხური ზღაპრის პერსონაჟი).¹

კოდიფიცირებულ (სალიტერატურო) ენაში მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები, ჩვეულებრივ, ძალიან ცოტაა, თუმცა დიდი სიუხვით არც ომონიმები გამოირჩევა. ჟარგონული მეტყველების ერთი ნიშანი პოლისემიის განვითარებაა. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ნომინაციური პროცესების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აფართოებს.

ლ. ბრეგაძის მიერ შედგენილ „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ დაფიქსირებულია ორგვარი ნომინაციის გამომხატველი 25 ჟარგონიზმი და სამგვარი ნომინაციის გამომხატველი 3 ჟარგონიზმი.

თ. ლომთაძის ლექსიკონში დაფიქსირებულია ორგვარი ნომინაციის უნარის მქონე 12 ჟარგონიზმი.

პოლისემიის მოვლენა გამორჩეული სიხშირით არც თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში გამოირჩევა. ეს გარემოება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგანაც ჟარგონული მეტყველების ერთ, ლამის არსებით თავისებურებას ავლენს. ესაა ნომინაციის სიცხადისა და მკაფიოობის ტენდენციის სიძლიერე. მაგალითად, ჟარგონიზმი „შეუბერა“ თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში სამი მნიშვნელობით გამოიყენება:

- შეუბერა – დიდი სისწრაფით გაქანდა;
- შეუბერა – საქმეს შეუდგა;
- შეუბერა – გაუტია, გარეკა;²

ოთხი მნიშვნელობით გვხვდება ჟარგონიზმი „ვარიანტი“:

- ვარიანტი – შანს, შესაძლებლობა;
- ვარიანტი – სუფრა, ქეიფი;
- ვარიანტის შედგენა – მოფიქრება იმისა, სად ვიქეიფოთ;
- ვარიანტში (ნათესაობითში დასმულ სიტყვათან) – მსგავსად, ყაიდაზე.³

თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში ომონიმურ ჟარგონიზმთა დიდი ნაწილი ორმნიშვნელობიანია. ეს გარემოება კი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ეს ჟარგონიზმები ჟარგონიზმებად გადაქცევამდე თავდაპირველ სემანტიკასაც შეიცავდნენ და, ამდენად, პოლისემიის რეალური საზღვრების გაცილებით მეტ სიდიდეს ადასტურებენ.

¹ ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი, 1993. გვ. 26-27.

² ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, 2005, გვ. 139-140

³ იქვე, გვ. 66



ასე რომ, ორმნიშვნელობიანი ჟარგონიზმები რეალურად მეტ მნიშვნელობას გამოხატავენ ჟარგონის სამყაროს მიღმიერ სემანტიკასთან ერთად. ორმნიშვნელობიანია მაგალითად ისეთი ჟარგონიზმები, როგორიცაა:

- მოხია – გაიქცა, წავიდა;
- მოხია – მაგარი რამე თქვა.¹

ჟარგონული პოლისემიის ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ოციალურ ჯგუფში სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებს. თ. ლომთაძეს „ქუთაისურ ჟარგონში“ ამ თვალსაზრისით საინტერესო დაკვირვებები აქვს წარმოდგენილი. ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში მას გამოთვლილი აქვს ის ჟარგონიზმები, რომლებიც ერთნაირი აქტუალობით გამოიყენება „ახალგაზრდულ ჟარგონშიც“, „ნარკომანების არგონშიც“, „დამნაშავეთა არგონშიც“ და „მოთამაშეთა ჟარგონშიც.“ მისი გამოთვლით ახალგაზრდული ჟარგონის 177 ლექსიკური ერთეულიდან ოთხივეჯგუფში იხმარება 90 ჟარგონიზმი, ხოლო 4 – დამნაშავეთა არგონშიც გამოიყენება. აქედან 20 ჟარგონიზმი სხვადასხვა სოციოლექტში სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებს. მაგალითად, „არიფი“ ახალგაზრდულ ჟარგონში ნიშნავს „გამოუცდელ, თანამედროვე ცხოვრებას ჩამორჩენილის“,² დამნაშავეთა არგონში - „კანონიერი ქურდების გარდა საზოგადოების სხვა წევრებსა“ აღნიშნავს;³

„თოხლი“ – საჭმელი, პურმარილი, ქეიფი (ებრაულიდან),⁴ „ათოხლა“ (ებრ.) – მოატყუა, შეცდომაში შეიყვანა (ოთხივე სოციალურ ჯგუფში) [ლომთაძე 2005: 47],⁵ „თოხლა – იგივე „ათოხლა“, „აკიდა – 1) დაავადება გადასდო, 2) დაავალა [ლომთაძე 2005: 47].⁶

ქართული ახალგაზრდული ჟარგონისათვის დამახასიათებელია სინონიმის, კვაზისინონიმის მოვლენა;

კვაზისინონიმია გამოიყენება ჟარგონის მომხმარებლის ინტენციის შესაბამისად, როგორც მეტყველების შესფერისი და მოსაწონი ვარიანტი.

კვაზისინონიმის მოვლენა და კვაზისინონიმების სიუსხვე ახალგაზრდულ ჟარგონში განპირობებულია იმითაც, რომ ყველა თაობა ქმნის თავის ახალ სინონიმურ ჟარგონიზმებს, მათ გამოიყენებს უკვე არსებულ სინონიმურ ჟარგონებთან ერთად.

ლ. ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ 200-მდე სინონიმური ჟარგონია დქაფიქსირებული. სხვადასხვა კონკრეტული სემანტიკის გამოსახატავად ახალგაზრდული ჟარგონი გამოიყენებს რვა, ხუთ, სამ, ორ კვაზისინონიმურ ჟარგონიზმს და ა.შ. ასევე გამოიყოფა 5 ოთხჟარგონიანი, 10-ზე მეტი სამჟარგონიზმიანი, 30-მდე ორგანიზმიანი სინონიმური ნომინაციები.

¹ ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, 2005, გვ. 94

² თ. ლომთაძე, ქუთაისური ჟარგონი, ქუთაისი, 2005, გვ. 47

³ იქვე, გვ. 75

⁴ ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, 2005, გვ. 70

⁵ თ. ლომთაძე, ქუთაისური ჟარგონი, ქუთაისი, 2005, გვ. 47

⁶ იქვე



ქართული ახალგაზრდული ჟარგონი ერთი და იმავე ცნების ნომინირების მიზნით, ხშირ შემთხვევაში უცხოურ ჟარგონიზმსაც სესხულობს და „საკუთარსაც“ აწარმოებს.

ახალგაზრდობის სხვადასხვა თაობა, ერთი მხრივ, წარმატებით გამოიყენებს არსებულ ჟარგონიზმებს, მეორე მხრივ, თავადაც ქმნის იმავე საგნის/მოვლენის აღმნიშვნელ სინონიმურ ან კვაზისინონიმურ ჟარგონიზმებს.

ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონულ მეტყველებაში მნიშვნელოვან სახელდებით ფუნქციას ასრულებს პოლისემიის მოვლენა. ჟარგონის სივრცეში დასტურდება ომონიმია და მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების ფუნქციონირებაც. ეს გარემოება კი მნიშვნელოვნად აფართოებს ნომინაციური პროცესების შესაძლებლობების არეს.

პოლისემიის მოვლენა სიხშირით არც ახალგაზრდულ ჟარგონში გამოირჩევა. ეს გარემოება ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში სიცხადისა და გამჭვირვალობის ტენდენციის სიძლიერეს ცხადყოფს.

ომონიმურ ჟარგონიზმთა დიდი ნაწილი ორ-ორი მნიშვნელობის მქონეა.

ჟარგონული პოლისემიის ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებს.

ლიტერატურა Literature Литература

1. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი, 1993 წ.
2. ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, 2005 წ.
3. თ. ლომთაძე, ქუთაისური ჟარგონი, ქუთაისი, 2005წ .

რ ე ზ ი უ მ ე

სინონიმი და პოლისემია ქართულ ახალგაზრდულ ჟარგონში

ნინო კალ-ნიორაძე

ჟარგონული მეტყველების, მათ შორის ახალგაზრდული ჟარგონის დამახასიათებელ ტენდენციად გვევლინება კონკრეტული საგნებისა და მოვლენების სეგმენტაცია და დეტალიზებული ნომინაცია. ამის გამო ჟარგონის სამყაროში მკვეთრად არის გამოხატული სინონიმის მოვლენა. ჟარგონული სინონიმი ხშირ შემთხვევაში კვაზისინონიმური ბუნებისაა, თუმცა არა ყოველთვის.

კვაზისინონიმის საფუძველი ჟარგონულ მეტყველებაში, ერთი მხრივ, ჟარგონიზმების გამოყენებაა მეტყველების სახეობრივი მრავალფეროვნებისათ-



ვის, მეორე მხრივ, ჟარგონის მომხმარებელი კონკრეტული თაობის სხვებისაგან გამორჩევის სურვილია.

ქართული ახალგაზრდული ჟარგონი ერთი და იმავე ცნების სახელდების მიზნით გამოიყენებს არსებულ ჟარგონიზმსაც, სესხულობს უცხოურსაც და ქმნის საკუთარსაც.

ახალგაზრდულ ჟარგონულ მეტყველებაში მნიშვნელოვან ნომინაციურ ფუნქციას ასრულებს პოლისემიის მოვლენაც. იგი არსებობს ომონიმის სახითაც და მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების ფუნქციონირების სახითაც. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აფართოებს ნომინაციური პროცესების არეს.

ჟარგონული პოლისემიის ერთ თავისებურებას წარმოადგენს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლექტში სხვადასხვა მნიშვნელობის გამოხატვა.¹

S U M M A R Y

SYNONYMOUS AND POLYSEMY WITH THE JARGON OF THE GEORGIAN YOUTH

NINO PAL – NIORADZE

The jargon in speech, including the youth jargon, the trend is characteristic of certain subjects and events of segmentation and detailed categories. Due to the clearly expressed in the slang synonym for an event. Jargon synonymous in many cases quasi synonymous nature, but not always.

Synonymous with the quasi Jargon speech, on the one hand, Jargon use speech for the diversity of species, on the other hand, the generation of slang User distinguishing wants from others.

Georgian youth slang in order to apply the same concept designation Jargon well, and creates the borrow foreign its too.

Youth jargon speech serves as an important nomination polysemy event as well. There are many meanings to the words he homonym the extent and functioning of the extent. This significantly expands the area nomination processes.

Jargon polysemy one characteristic of different social groups in social dialect express different meanings.²

¹ საკვანძო სიტყვებია: ახალგაზრდული ჟარგონი, სინონიმია, პოლისემია, ომონიმია, მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები.

² Key words: youth slang, Synonymy, polysemy, homonym, multiform words.



Р Е З Ю М Е

СИНОНИМ И ПОЛИСЕМИЯ В ГРУЗИНСКОМ МОЛОДЁЖНОМ ЖАРГОНЕ

НИНО ПАЛ – НИОРАДZE

В Жаргонной речи, в том числе характерной тенденцией молодёжного жаргона представляются сегментация и детализированная номинация конкретных предметов и событий. Из-за этого в мире жаргона ярко выражено явление синонима. Не всегда, но очень часто жаргонный синоним по своей природе является квазисинонимом.

В речи квазисинонимного жаргона, с одной стороны, жаргон используется для видового разнообразия речи, с другой стороны, желанием конкретного поколения пользователей сленга отмигаться от других.

Грузинская молодёжь использует в сленге одного и того же обозначения существующий жаргон, заимствует иностранный и создаёт свой.

В молодёжной жаргонной речи важную номинационную функцию играет явление полисемии. Она существует как в виде омонима, так и в виде функционирования слов многообразного значения. Это событие значительно расширяет область процесса номинации.

Одну из особенностей полисемии жаргона представляет выражение разнообразных значений социолекта в различных социальных группах.



მეღია-ღისკურსის თავისებურება

სიბილა ბელაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ცნობილია წმინდა აგუსტინეს სიტყვები, რომელიც ამბობდა „ორაზროვნება ყველა სიტყვაშიაო“. ეს ფაქტი გონებას კი არ ამუხრუჭებს, არამედ მის დინამიურ ქმედებას განაპირობებს და ეს ასეა ყველა სფეროში. ჩვენი ინტერესის საგანი ლინგვისტიკაა და აქედან გამომდინარე, კვლევის საგანი ლინგვისტური ორაზროვნება იქნება. უპირველეს ყოვლისა, გავისხენოთ ორაზროვნების დეფინიცია უნივერსალური ლექსიკონის მიხედვით – **ლინგვისტური ორაზროვნება** მაშინაა, როცა სიტყვას, ან გამონათქვამს რამდენიმე ინტერპრეტაცია შეიძლება მიესადაგოს. ეს ინტუიტიური დეფინიცია ძალიან ფართოა, ამიტომ ცდილობენ ლინგვისტიკაში დაახუსტონ და შემოფარგლონ ეს განმარტება, ყოველგვარი ვირტუალური თუ არავირტუალური გაუგებრობებისა და ორჭოფობებისაგან გამოაცალკეონ სწორედ ის ორაზროვნებები, რომელთა საფუძველიც იძებნება გარკვეული ენობრივი სისტემის სტრუქტურაში და იმ კანონებში, რომელთა მიხედვითაც ეს სისტემა ფუნქციონირებს. ამ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ისეთი ორაზროვნებები, რომლებიც განსაკუთრებულ შემთხვევებთან არის დაკავშირებული, ან ინტერპრეტაციის პრობლემით არის გამოწვეული. ამგვარი მიდგომით, რომელიც არც მარტივია და არც პირობითობას მოკლებული, მიიჩნევა, რომ ორაზროვანია, მაგალითად, გამონათქვამი «*je ne serai pas le premier président à perdre une guerre*» (მე არ ვიქნები პირველი პრეზიდენტი, რომელიც ომს წააგებს. ეს გამონათქვამი ორაზროვანია, რადგან, შეიძლება ნიშნავდეს: 1) „მე არ წავაგებ ომს, რადგან არ მინდა ვიყო პირველი პრეზიდენტი, ვინც ომი წააგო“ და 2) „ჩემ გარდა სხვა პრეზიდენტებსაც წაუგიათ ომი, მე არ ვიქნები პირველი“ ან კიდევ, სიტყვათა თამაში - «*c'est le premier vol de l'aigle*» (ამ გამონათქვამის პირველი მნიშვნელობაა: „ეს არის არწივის პირველი გაფრენა“, ხოლო მეორე მნიშვნელობა გამომდინარეობს ნაპოლეონ III – სთან მიმართებაში, რომელმაც ორღეანელთა ოჯახის ქონების კონფისკაცია მოახდინა და ეს გამონათქვამი უნდა შესაბამისად გავიგოთ, როგორც „იმპერატორის მიერ განხორციელებული პირველი ძარცვა“, რადგან სიტყვა „vol“ არის პოლისემიური და ფრენასაც ნიშნავს და ძარცვასაც, ოღონდ ამ შემთხვევაში, ფართო კონტექსტიდან გამომდინარე, გამონათქვამი ეხება ნაპოლეონ III-ს, რომელიც მეტაფორულად არწივს არის შედარებული, რადგან, ცნობილია, რომ არწივი არის იმპერიის სიმბოლო, ხოლო ძარცვა არის ზუსტი შესატყვისი მის მიერ განხორციელებული კონფისკაციისა,



არადა, ბუნებრივად და უკონტექსტოდ, ეს გამონათქვამი „არწივის პირველ გაფრენას ნიშნავს“.)

ამგვარად შემოფარგლული ორაზროვნებები ტრადიციულად მიჩნეულია როგორც შემთხვევითი ენობრივი არასრულყოფილება, რაც საფრთხეს უქმნის კომუნიკაციას. გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვათა თამაში, კალამბურები, რაც პირიქით, მოსაუბრის გონების სისხარტეზე მეტყველებს. ზემოთქმულის ტიპურ შემთხვევას წარმოადგენს ომონიმია სიტყვის დონეზე, მაგ., *bière* = «*boisson*» ou «*cercueil*» ou *au-delà* (ეს სიტყვა ლუდსაც ნიშნავს და კუბოსაც) /*selkilem*/ = «*celle qu'il aime*» ou «*celle qui l'aime*»; (ეს გამოთქმა ნიშნავს „ის ვინც მას უყვარს“ და „ის, ვისაც იგი უყვარს“); *quel auteur cite ce conférencier?* (ეს ფრაზა, რომელიც ნიშნავს „რომელ ავტორს ციტირებს მომხსენებელი“ და „რომელი ავტორი ციტირებს ამ მომხსენებელს“), ანუ ამ ფრაზაში საქმე გვაქვს კონსტრუქციის ომონიმიასთან, რადგან გაუგებარია, რომელია ქვემდებარე და რომელი პირდაპირი დამატება. ქვემდებარე ავტორიც შეიძლება იყოს და მომხსენებელიც და პირიქით, პირდაპირი დამატებაც ან ერთი და ან მეორე. ასეთ დროს მსმენელის წინაშე დგება აღქმის პრობლემა, რომელიც შეიძლება მოიხსნას დისკურსის ნიშნების გათვალისწინებით (კონტექსტი, კოტექსტი, ინტონაცია და ა.შ.).

კლასიკური გაგებით ომონიმიას პოლისემია უპირისპირდება, სადაც პრობლემად დგას ენობრივი ერთეულის, ან რაიმე კონსტრუქციის ღირებულების იდენტიფიკაცია. მაგ.: *L'amour de Dieu* – „ღმერთის სიყვარული“, შეიძლება ნიშნავდეს სიყვარულს, რომელიც ღმერთის მიმართ მაქვს, ან პირიქით, სიყვარულს, რომელიც ღმერთს აქვს ჩვენს მიმართ; ფრაზა *je cherche un produit contre la toux*, რაც შეიძლება ნიშნავდეს “ „ვეძებ ხველების საწინააღმდეგო საშუალებას“ და „ვიკვლე ხველების საწინააღმდეგო საშუალებას“ ამ შემთხვევაში ორაზროვნებას იწვევს ზმნა *chercher*, რომელიც პოლისემიურია და ძებნასაც ნიშნავს და კვლევასაც.

გენერატიული გრამატიკის მიმდევრები ცდილობენ პოლისემია ომონიმის მოდელამდე დაიყვანონ, რის გამოც ორაზროვან გამონათქვამს იმდენი ქვესტრუქტურა მიუწერება, რამდენი ინტერპრეტაციაც არის შესაძლებელი. სხვები კი, ევროპული სტრუქტურალიზმის მიმდევრები, სხვადასხვა ინტერპრეტაციას მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ ძირითად ღირებულებასთან მიმართებით, რაც თითოეული ნიშნის ან სტრუქტურის შინაარსს განსაზღვრავს, რასაც შეიძლება ახლდეს გაუგებრობა, რასაც თავის მხრივ მოხსნის, ან ვერ მოხსნის დისკურსი.

პრობლემა ისაა, რომ მართლაც ჭეშმარიტებაა იმის თქმა, რომ „ღმერთის სიყვარულს“ აქვს ერთსა და იმავე დროს ერთადერთი მნიშვნელობა და მრავალი შესაძლო მნიშვნელობა: მნიშვნელობის განსაზღვრება ყოველთვის ფარდობითია და აქვს ვარიანტების შესაძლებლობა საკითხიდან გამომდინარე. მაშასადამე, დაპირისპირება ორაზროვანსა და ბუნდოვანს შორის, ომონიმიასა და პოლისემიას შორის, უფრო ზოგადად კი, ერთადერთ მნიშვნელობასა და მრავალმნიშვნელოვნებას შორის არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამიტომ, ორაზროვნება ვერ დაიყვანება მარგინალურ შემთხვევითობათა სიმრავლედ, ის უფრო ენის სისტემის თანმდევ თვისებად წარმოჩნდება, რაც ვერ ვნებს ადამიანთა შორის კომუნიკაციას, არამედ ამ კომუნიკაციას ანიჭებს



სპონტანურად ფარდობით ხასიათს.

მართალია ეს აზრი დიდად საყურადღებოა, მაინც საჭიროა დისკურსს მოეხსნას ორაზროვნება, რათა უპრობლემო კომუნიკაცია შედგეს, რომ თავიდან ავიცილოთ ყველა სახის გაუგებრობა, რასაც მართლა შეუძლია დისკურსის ზუსტი აღქმა შეაფერხოს. პრობლემის თავიდან ასაცილებლად დისკურსის ფართო კონტექსტი უნდა მივიღოთ მხედველობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ჟან მიშელ ადამის მიერ მოყვანილი მაგალითი მისსავე წიგნში „ტექსტის ლინგვისტიკა“ (გვ.27, 2008). ეს არის პოლ ელუარის ლექსი «Pourquoi suis-je si belle ? Parce que mon maître me lave» (რატომ ვარ ასეთი ლამაზი? იმიტომ, რომ პატრონი მრეცხავს (ან მბანს)). ეს ლექსი შედიოდა კრებულში „ტკივილის კაპიტალი“, შემდეგ ის ჩართული იქნა კრებულში „სამკერვალო დეტალები“, ბოლოს კი ჩართული იქნა „რჩეულ ლექსებში“. როგორც ცნობილია, ელუარს ჰყავდა ძაღლი, მდებარეობითი სქესის, რომელზეც გიჟდებოდა და რომელსაც ხშირად ჰბანდა, ამ კონტექსტიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ განხილულ პოეტურ ტექსტში ზმნას აქვს დაბანის მნიშვნელობა. შემდგომში, ელუარმა ეს ლექსი ერთ თეფშზე ამოატვიფრინა, და ზმნამ შეიძინა „გარეცხვის“ მნიშვნელობა. ჟ. მ. ადამის აზრით, „ამგვარი თანმიმდევრული ტექსტუალიზაციები, რაც დისკურსული მატერიალობის რეჟიმის ცვლად შეიძლება მივიჩნიოთ, იწვევენ მნიშვნელობის რყევას (იხ. ჟ.მ. ადამი, გვ.27). მიშელ ფუკო კი დასძენს, რომ „ზუსტად ერთი და იგივე სიტყვებით შედგენილი და იგივე მნიშვნელობით დატვირთული, სემანტიკური და სინტაქსური იდენტობის შენარჩუნებით, ფრაზა არ წარმოადგენს ერთსა და იმავე გამონათქვამს იმისდა მიხედვით ის წარმოთქმული იქნა საუბრისას, თუ ჩაწერილი იქნა რაიმე რომანში, ის დაიწერა ერთი დღის თუ საუკუნეების წინ, და თუ ის ზეპირ ფორმულირებაში ჩანს (Foucault, M.,1969, 132, «Archéologie du savoir », Paris, Gallimard). ჩვენ ვეთანხმებით ფუკოს და ადამის თვალსაზრისს, რომ დისკურსული მატერიალობის ცვლილება იწვევს აზრის რყევას (აქ ალბათ შესაძლოა ვიფიქროთ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე, კონტექსტებზე და კოტექსტებზე). თუმცა, აქვე გვახსენდება მატეი გიდერის აზრი, რომელიც მიიჩნევს, რომ არანაირი მიდგომა საკითხისადმი არ არის ამომწურავი, რომ ამგვარი დამოკიდებულებები ერთმანეთს ავსებენ (M. Guidère, p.66, op.cité).

ჟურნალისტური, ანუ *მედია-დისკურსი* განსხვავდება სხვა ტიპის დისკურსებისგან, მაგრამ *grosso modo* ისიც შეიძლება იყოს ორაზროვანი. ერთი *ფრანგი* ჟურნალისტი წერდა ინგლისში მიმდინარე ერთ-ერთ საფეხბურთო ჩემპიონატზე, რომ მან ამ ქვეყანაში ნახა „საოცარი ღრუბლები“ (« Les merveilleux nuages»). ამ ფრაზით მას სურდა ეთქვა, რომ ინგლისში არ იყო მზიანი ამინდი, თანაც გაგვახსენა ბოდლერის საოცარი ლექსი პროზად, რომელსაც ეწოდება „საოცარი ღრუბლები“. ერთმა ფრანგმა მწერალმა ბოდლერის ლექსის სათაური თავისი რომანის სათაურადაც კი გამოიტანა (ლაპარაკია ფრანსუაზ საგანზე და მის რომანზე „საოცარი ღრუბლები“). ამ ფრაზით ჟურნალისტმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება ინგლისური ამინდის მიმართ, მას ან მოეწონა ღრუბლიანი ამინდი, ან გამოხატა ირონია ინგლისური ამინდის მიმართ. ალბათ, უფრო ირონიაა ამით გამოხატული, რადგან ფეხბურთის მატჩის დროს სასურველია იყოს მზიანი დღე და არა



წვიმა და ღრუბლები. ანუ, ორაზროვნება შეიძლება ფიგურირებდეს არა მხოლოდ ლიტერატურულ დისკურსში, არამედ ჟურნალისტურ დისკურსშიც.

ნებისმიერ ვერბალურ დისკურსში, ზეპირი იქნება თუ წერილობითი, შეიძლება იყოს ორაზროვანი ელემენტები. მაგალითისათვის გავიხსენოთ ვერლენის ლექსი „ჩემი ჩვეული ოცნება“, ან „ჩემი ჩვეული სიზმარი“. ორაზროვნება უკვე სათაურშივეა გაცხადებული. იმისათვის, რომ დავადგინოთ ადეკვატური სათაური საჭიროა, ბოლომდე გავეცნოთ ამ პოეტური ტექსტის შინაარსს, რაც საშუალებას მოგვცემს მივაგნოთ ზუსტ სათაურს. « Je fais souvent ce rêve étrange et pénétrant, d'une femme inconnue, qui n'est chaque fois, ni tout à fait la même, ni tout à fait une autre et m'aime et me comprend... Est-elle brune, blonde ou rousse? – Je l'ignore... » (ხშირად უცნაური და გულშიჩამწვდომი ოცნება მეუფლება (ან სიზმარი მესიზმრება), უცხო ქალი, რომელიც ყოველ ჯერზე არც მთლად იგივეა, არც მთლად სხვანაირი და ვუყვარვარ და ჩემი ესმის... შავგვრემანია, ქერა თუ წითური? – არ ვიცი...) ამ ტექსტში ზედტერმინებული სიტყვა არის « le rêve », რომელიც არის პოლისემიური და ნიშნავს, რობერის ლექსიკონის მიხედვით, 1. ფსიქიკურ ფენომენტა წყება, რომელიც ძილის დროს ხდება (სურათები, წარმოსახვები), ეს არის სიზმარი (Suite de phénomènes psychiques se produisant pendant le sommeil (images, représentations). Ces phénomènes songe, rêver; onirique); 2. წარმოსახვის შექმნა სიფხიზლის მდგომარეობაში, ფიქრი, რომელიც გაურბის რეალობის იძულებებს, და რასაც ეწოდება წარმოსახვა, ან ხილვა (Construction de l'imagination à l'état de veille, pensée qui cherche à échapper aux contraintes du réel- imagination, vision). ლექსის მეორე კუბლეტი გვიხსნის, რომ საუბარია სიზმარზე, რადგან, როდესაც რაღაცას ნებით წარმოიდგენ, ალბათ აღარ დასვამ ვერლენურ კითხვას – „შავგვრემანია, ქერა თუ წითური?“. ამ შემთხვევაში საწყისი ორაზროვნება გამოიწვია იმან, რომ სათაური იზოლირებულ ფრაზასავით არის ყოველთვის მოწოდებული, რომელსაც ზოგ შემთხვევაში ექსპლიციტირება სჭირდება, რაც ტექსტის წაკითხვის შემდეგ ხდება შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ტექსტი უკვე თავისებურ კონტექსტს წარმოადგენს სათაურისთვის, რომლის გარეშეც არ აგვცდებოდა გაუგებრობა თარგმნის დროს. ცხადია, ორაზროვნება მხოლოდ პოეტურ ტექსტში არ მოიძებნება. a priori შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მათემატიკურ დისკურსებში არ არის ორაზროვნება. იდეალური იქნებოდა იურიდიული შინაარსის დისკურსებშიც რომ არ ყოფილიყო ორაზროვნება, მაგრამ არაერთხელ გაგვიგია, რომ ერთი და იგივე საკანონმდებლო ტექსტი რამდენიმე ინტერპრეტაციის წყარო შეიძლება გახდეს. ჩვენი პოსტულატი იქნება ის, რომ თითქმის ყველა დისკურსი შეიცავს ორაზროვნების მომენტს, რის გასაფანტავადაც მსმენელის ან მკითხველის მხრიდან ყურადღების კონცენტრაციაა საჭირო, მაგრამ ამასთანავე ტექსტის და კონტექსტის მიღმა, ინტერაქციაში მყოფ პირს უნდა ჰქონდეს ენციკლოპედიური ცოდნაც, რაც არის დამხმარე საშუალება ორაზროვნების აღმოსაფხვრელად.

დღეს მხატვრულ ლიტერატურაზე მეტად გაზეთებს კითხულობენ, ხოლო ზეპირ მედიაში უფრო ყოველდღიურ ამბებს გადმოსცემენ ან აანალიზებენ. გამომდინარე საყოველთაო დიდი ინტერესიდან, ჩვენს გარკვეულ ყურადღებას იპყრობს ჟურნალისტური დისკურსი, რომელსაც მედია-დისკურსი შეიძლება



გუწოდოთ და რომელიც თავის თავში გააერთიანებს როგორც წერილობით, ასე ზეპირ დისკურსს. თუმცა, აქვე ავლნიშნავთ, რომ ტელედისკურსი საკმაოდ განსხვავდება საგაზეთო დისკურსისაგან. პირველი – უფრო თამამი და გაბედულია, მეორე – უფრო თავშეკავებული. მართალია საკმაოდ მკაფიოა განსხვავება მხატვრულ დისკურსსა და მედიადისკურსს შორის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდი მწერლები ხშირად ჟურნალიზმიდან მოდიან, ყველამ იცის თუ როგორ მნიშვნელოვან რეპორტაჟებს ქმნიდნენ ჟოზეფ კესელი და ალბერ კამიუ. ცნობილია, რომ ბალზაკი და ზოლაც მუშაობდნენ ჟურნალისტიკაში. მაგრამ, უკვე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჟურნალიზმი უარს ამბობს ამ მემკვიდრეობაზე და უკვე სპეციალიზებული დისკურსების უულგარიზაციას ეწევა.

ჟურნალისტური დისკურსის მთავარი მახასიათებელია პოლიფონიურობა და კულტურის გამოხატვის უნარი. ორპიროვნება კი არა მარტო სიტყვის პოლისემიურობიდან, არამედ კულტურული სხვაობიდან შეიძლება აღმოცენდეს. „საოცარი ღრუბლები“ ამის მკაფიო მაგალითია, ლამაზი სიტყვების ეს კომბინაცია ფრანგული კულტურის ნაწილია; ვინც ბოდლერის ამ ლექსს არ იცნობს, საოცარი ღრუბელი მხოლოდ საოცარი ღრუბელია.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ტერორიზმზე და ომზე შექმნილი წერილობითი თუ ზეპირი დისკურსები წყლის ორი წვეთით ჰგვანან ერთმანეთს, რაც a priori შეიძლება ითქვას, რომ კოლექტიური მესიერების დამსახურებაა, რადგან ტერორიზმისა და ომის ხატი, რომელიც შექმნილია მედიის წყალობით საერთოა დასავლური სამყაროსათვის და არა მარტო აქ, რაც იწვევს იმას, რომ მისი ამსახველი მედიადისკურსები ერთმანეთს ჰგავს. მაგრამ, მნიშვნელოვანია სხვადასხვაენოვან მედიადისკურსებს შორის არსებული განსხვავება, რასაც განაპირობებს განსხვავება ისტორიებს, სოციოკულტურულ კონტექსტებსა და ჟურნალისტურ საქმიანობათა შორის. ალბათ ამ განსხვავების შედეგია ის, რომ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა მედიადისკურსში სხვადასხვანაირად შეიძლება წარმოჩნდეს. მაგალითად, 2008 წლის ომი საქართველოში; ქართულ მედიადისკურსში ჭარბობდა ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა: „რუსი ბარბაროსები“, „დაბომბვები“, მაშინ როდესაც, ფრანგული პრესა ამ ომს კონფლიქტად ნათლავდა, დაბომბვებს დარტყმებს უწოდებდა. უდავოა, რომ ქართულთან შედარებით ფრანგულ მედიადისკურსში ჭარბობს ევფემიზმები, რაც სიმძაფრეს უკარგავს მოვლენას. ასევე თვალში საცემია ტელედისკურსის განსხვავება წერილობითი ჟურნალისტური დისკურსისაგან. ტელედისკურსი სადისტურიც კია ზოგჯერ, წერილობით დისკურსისაგან განსხვავებით, მაგ., მთელმა მსოფლიომ ნახა პირდაპირ ეთერში სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯა. ეს ცოტა გაუგებარია, რადგან იგივე დასავლური პრესა, როგორც ავლნიშნეთ, კონკრეტული მოვლენის აღწერისას ევფემიზმებს იყენებდა, რაც ალბათ იმით შეიძლება აიხსნას, რომ დასავლეთს არჩეული აქვს ფრთხილი პოლიტიკა ისეთი ეპოქასწამორჩენილი ქვეყნის მიმართ, როგორიც რუსეთია.

კონტრასტული ანალიზისთვის განვიხილოთ ფრანგული და ქართული პოლიტიკური დისკურსები, რომლებიც თავის თავში მოიცავენ სხვადასხვა კულტურას. დასაწყისისათვის ავიღოთ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პოლიტიკური შეფერილობის ტექსტის ფრაგმენტი, რომელიც გაზეთ 24



საათში გამოქვეყნდა: „ვინ სად გავიზარდეთ. ვინ როგორ. ვისაც როგორ შეეძლო, ისე გვზრდიდა. ერთი კი ვიცი, რომ, რა-რა და მოპარული ფქვილის ფულზე არ გავზრდილვართ! მოპარულით არც დედებს, არც მამებს მოვუწამლივართ. არც სამშობლოს გაყიდვის ფასი უსწავლებია ვინმეს. არც მოღალატისადმი, გამყიდველისადმი, მტრისადმი შენდობა, ლოიალურობა შთაუნერგავთ. არც მასთან თანამშრომლობა, მასზე მიყიდვა უსწავლებიათ. არც ტყუილზე, სიყალბეზე გავზრდილვართ. არც სხვისი (ვისი?) გამწარების უსუსურ, მდაბიო, სამარცხვინო, უპატიებელ სურვილზე გავზრდილვართ. არც საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ადლუმის „ჩაშლაზე“, პროვოკაციაზე; არც ხალხით მანიპულირებასა და მოტყუებაზე, ურთიერთდაპირისპირებაზე; არც საგანგებოდ დარიგებული ჯოხების სხვისი დაკვეთით ქნევა-რტყმევაზე; არც 10-20 ლარად მოსყიდვაზე; არც მოლოტოვის კოქტეილების სროლაზე; არც მტრის წისკვილზე წყლის დასხმაზე და არც ქვეყნის დაღუპვაზე გავზრდილვართ. და არც „ბელა ჩაოხე!“ (« Tout le monde a été éduqué différemment et dans des endroits différents. On nous a éduqués comme on a pu mais je sais pertinemment que mes parents ne m’avaient pas élevée grâce à l’argent gagné de la vente de farine volée! Ils ne m’avaient pas appris la trahison, ni la tolérance face à l’ennemi, face au traître. Ils ne m’avaient pas inspiré la collaboration avec l’ennemi », Kétévan Ignatova, (24 heures). ამ სტატიაში საუბარია ფსევდო პოლიტიკურ ოპოზიციაზე საქართველოში, რომლის წარმომადგენლებსაც უფრო რუსული ფულის ჩაჯიბვა აინტერესებთ, ვიდრე სამშობლო და ამიტომ მზად არიან დაამხონ დემოკრატიული ხელისუფლება. ჟურნალისტი მინიშნებას აკეთებს მოღალატეებზე, რომლებიც ფულის გამო სამშობლოს ყიდიან. ამ ფრაგმენტში ერთი ორაზროვანი ფრაზაა - „რა-რა და მოპარული ფქვილის ფულზე არ გავზრდილვართ“ (« Mes parents ne m’avaient pas élevée grâce à l’argent gagné de la vente de farine volée »). ნეიტრალური მთარგმნელი, რომელიც მოწყვეტილია ქართულ რეალობას ვერაფერ განსაკუთრებულს ამ ფრაზაში ვერ დაინახავს. არადა, ფქვილი ხაზგასმულია ჟურნალისტის მიერ. რეალობა კი ისაა, რომ გვარცელებული აზრის მიხედვით სწორედ ფქვილი ფიგურირებს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ოჯახის გამდიდრების საქმეში. ანუ, აქ სახეზეა ირონია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება არამარტო ქართულენოვან დისკურსში. ფიგაროში გამოქვეყნებულ ერთერთ სტატიაში, რომელშიც საუბარია რუსეთის შემოჭრაზე საქართველოს ტერიტორიაზე, რაც არის რუსეთის დიდი სირცხვილი, ჟურნალისტი წერს მედვედევის შესახებ, რომელიც მოლაპარაკებაში მონაწილეებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს. ეს მოწოდება ირონიულზე მეტია, ცინიკურია. ეს ცინიზმი კი მოდის ამ დისკურსის იმპლიციტური შინაარსიდან. ნატალი გარიკის აზრით, ([1] გვ. 91) გამონათქვამი გადმოსცემს ზუსტად იმას, რასაც გამოხატავს ან გამონათქვამი გადმოსცემს იმაზე მეტს, რასაც გამოხატავს. ასეთ დროს საქმე ეხება იმპლიციტურ შინაარსს. მაგალითში „ფულს ბედნიერება აღარ მოაქვს“ (« L’argent ne fait plus le bonheur ») ორი იმპლიციტური შინაარსი ფიქსირდება; ერთი სავარაუდო და ერთიც – ნაგულისხმევი. სავარაუდო იქნება – „იყო დრო, როცა ფულს ბედნიერება მოჰქონდა“ (« Il fut un temps où l’argent faisait le bonheur »), ხოლო ნაგულისხმევი – „შენ უნდა ისიამოვნო“ (« Tu devrais te faire plaisir »). გამონათქვამის ინტერპრეტაცია ეყრდნობა ინტენციის ცნებას.



მოსაუბრე თავისი საუბრით გარკვეულ ფინალამდე მიდის, რაც არის სემანტიკური და პრაგმატიკული გეგმა, ხოლო თანამოსაუბრე ახდენს გამონათქვამის ინტერპრეტაციას იმისდა მიხედვით, რაც მას ჰგონია, გამომდინარე ენონსიაციის გარემოებებიდან, რაც მოსაუბრეს უნდოდა ეთქვა. მაშასადამე, არსებობს გარკვეული კოოპერაცია მოსაუბრეს - ენონსიატორსა და თანამოსაუბრეს შორის, მათ საბოლოო მიზანი აერთიანებთ. მაგრამ, თუ თანამოსაუბრე დროით და სივრცით დაშორებულია, მაშინ კოოპერაცია წარმატებული ვერ იქნება (მაგ., როცა საქმე ეხება სხვა ეპოქაში დაწერილ რომანებს და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებს; ორაზროვნება უკანასკნელ შემთხვევაში კულტურათა სხვადასხვაობიდან გაჩნდებოდა). მაგ., თუ მოსაუბრე არ იცნობს ბომარშეს პიესას, ვერასოდეს მიხვდება, რას ნიშნავს ფიგარო. თუ არ იცი, რომ ჟაკ ბრელის ქვეყანა არის ფლანდრია, მაშინ ვერ მიხვდები ფრაზას – « *Le plat pays qui est le mien* » (ბრტყელი ქვეყანა, რომელიც ჩემია). თუ არ გვეცოდინება ბოდლერის სიყვარულის ისტორია მულატ ქალ ჟან დიუვალთან, მაშინ ვერ მივხვდებით მის მომხიბლველ სტრიქონს – « *Ma belle ténébreuse* » (ჩემო მშვენიერო ბინდისფერო). და თუ არ იცი ანრი IV-ს ისტორია, მაშინ შეუძლებელი იქნება ცნობილი ფრაზის – « *Paris vaut une messe* » (პარიზი მესად ღირს) - გაგება. ე.ი. იმისათვის, რომ ენონსიატორის, ანუ მოსაუბრის ინტენცია ნათელი გახდეს თანამოსაუბრისათვის, უნდა არსებობდეს კოოპერაცია მათ შორის, რაც წარმატებული იქნება მაშინ, თუ მოსაუბრეებს დაახლოებით ერთნაირი კულტურული დონე ექნებათ. იმ შემთხვევაში კი, თუ მოსაუბრეთა შორის დროითი და სივრცითი სხვაობა იქნება, ანუ, ავტორსა და მკითხველებს შორის, მაშინ რა თქმა უნდა წარმოიშვება ორაზროვნება. მაგრამ ორაზროვნება მოიხსნება, თუ მკითხველები კულტურული ადამიანები იქნებიან, რომელთათვისაც ტექსტის დროინდელი რეალობა არ იქნება უცხო. ანუ, თუ შევაჯამებთ, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად უნდა ვიცოდეთ სიტყვის პოლისემია, ომონიმია და უნდა ვიცნობდეთ ფართე კონტექსტს და გვქონდეს ენციკლოპედიური განათლება, რომ თავიდან ავიცილოთ ის გაუგებრობები, რაც ორაზროვნებას შეიძლება მოჰყვეს.

უამრავი საგაზეთო სტატია მიეძღვნა მოვლენას, რომელსაც მეტაფორულად შეიძლება ვუწოდოთ „რუსული ჩექმების ხმაური საქართველოში“ (« *Bruits de bottes russes en Géorgie* »). ჩვენი ანალიზისთვის ყურადღება შევაჩერეთ ფრანგული გაზეთის „ლე ფიგაროს“ სტატიებზე: *Russie: Sarkozy a failli quitter la table des discussions, L'ancien espace soviétique sous le choc géorgien et La Russie déploie des renforts contre la Géorgie.* („რუსეთი: სარკოზიმ კინაღამ დატოვა მოლაპარაკების მაგიდა“, „ყოფილი საბჭოთა სივრცე შოკის ქვეშ, რუსეთმა გაშალა მაშველი ძალები საქართველოს წინააღმდეგ“). ეს სტატიები ეხებოდა რამდენიმედღიან ომს, რომელიც რუსეთმა საქართველოში წამოიწყო 2008 წელს. ამ სტატიების ტექსტები არის პოლიფონიური, რომლებშიც ისმის სარკოზის ხმა, ჟურნალისტების, მოლაპარაკებაში მონაწილეების, რომლებიც ირიბი ნათქვამით არის წარმოდგენილი. ამ ტექსტების ლექსიკა წარმოდგენილია ნეგატიური შინაარსის სიტყვებით: შოკი, კონფლიქტი, მუქარა, უკან დახევა, ომი (*choc, conflit, menace, retrait, guerre*). უნდა აღინიშნოს, რომ ნომინაცია არ არის ადვილი, ის მუდამ დაძაბულობის საგანია აღნიშვნასა და



მნიშვნელობას შორის, რომლებიც ორ დაპირისპირებულ პოლუსს წარმოადგენენ და თან ერთმანეთისგან განუყოფლები არიან; ომი, რომელმაც გადარია საქართველო პირველ სტატიას ადნიშნულია, როგორც „ინციდენტი“, მაგალითად... ამ დისკურსებს არ აკლია ემოცია, პირველ სტატიას ერთგვარი გაღიზიანება გასდევდა, რაც გამოწვეული იყო რუსების საქციელით მოლაპარაკებების დროს, ხოლო მეორე გამოხატავს შიშს, რასაც რუსეთის ბარბაროსული ქმედება იწვევს დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ სტატიების ანალიზს მივყავართ შემდეგ დასკვნამდე: ჟურნალისტური დისკურსი არის ინტერაქციაში იმ მოვლენასთან, რომელიც იცვლება ძლიერი მედიატიზაციის შედეგად და აქედან გამომდინარე, კარგავს პირველად ღირებულებას (ჩვენ შემთხვევაში „ომი“ იქცა „კონფლიქტად“ და ბოლოს „ინციდენტად“). ისმის კითხვა, ორაზროვნება ხომ არ არის პოლიტიკური შინაარსის ჟურნალისტური დისკურსის საგანი, იმისთვის, რომ გამიზნულად წარმოიშვას ორაზროვნება, რადგან შიშველი სიმართლე ალბათ სასიფათოა? მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სიმართლე ასეთია – რუსის ტანკები ჯერ კიდევ საქართველოშია, ანუ კონფლიქტი არ დამთავრებულა ხელმოწერილი ხელშეკრულების მიუხედავად. აქვე ჩნდება სრულიად უჩვეულო კითხვა, ხომ არ არის ჟურნალისტური დისკურსი პოეტური ტექსტის მსგავსი, რადგან ორივე სავსეა ორაზროვნებით? არამც და არამც, რადგან პოეტური ორაზროვნება ლამაზია და სასიამოვნო, იმიტომ, რომ ის ესთეტიკურ ღირებულებას წარმოადგენს, რაც წარმოუდგენელია პოლიტიკური, ჟურნალისტური დისკურსისათვის. პოლიტიკური დისკურსისათვისაც არის დამახასიათებელი იმპლიციტურად ემოციები, მაგრამ ისინი თითქმის ყოველთვის ნეგატიური ღირებულებისაა, ასეთებია შიში, პანიკა, ირონია და ცინიზმი.

ლიტერატურა
Literature
Литература

1. Nathalie Garric, Frédéric Calas, Introduction à la pragmatique, Hachette, 2007
2. Françoise Armengaud, La pragmatique, PUF, 2007
3. Adam, Jean-Michel, La linguistique textuelle, Paris, 2008.
4. Francine Mazière, L'analyse du discours, PUF, 2005.
5. Roland Eluerd La lexicologie, P. 2000
6. Introduction à la lexicologie, sémantique et morphologie Armand Colin, 2005
7. A. Lehmann et F. Martin-Berthet, Introduction à la lexicologie, 2005
8. Christian Baylon, Xavier Mignot, initiation à la sémantique du langage, Armand Colin, 2007



რ ე ზ ი უ მ ე

მედია-დისკურსის თავისებურება

სიბილა გელაძე

მოცემული სტატია ეხება მედია-დისკურსის თავისებურებებს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ლინგვისტური ორაზროვნება, რაც მაშინ იჩენს თავს, როცა სიტყვას, ან გამონათქვამს რამდენიმე ინტერპრეტაცია შეიძლება მიესადაგოს. მედია-დისკურსის მნიშვნელოვან მახასიათებლებში შედის პოლიფონიურობა და კულტურის გამოხატვის უნარი. ორაზროვნება კი არა მარტო სიტყვის პოლისემიურობიდან, არამედ კულტურული სხვაობიდან შეიძლება აღმოცენდეს მაგ., თუ მოსაუბრე არ იცნობს ბომარშეს პიესას, ვერასოდეს მიხვდება, რას ნიშნავს ცნობილი ფრანგული გაზეთის სათაური „ლე ფიგარო“. გამონათქვამის ინტერპრეტაცია ეყრდნობა აგრეთვე კომუნიკანტის ინტენციას. მოსაუბრე თავისი საუბრით გარკვეულ ფინალამდე მიდის, (იგივე ითქმის ჟურნალისტზე, რომელიც ერთგვარი მოსაუბრეა), ანუ მოქმედებს გარკვეული სემანტიკური-პრაგმატიკული გეგმით. ხოლო თანამოსაუბრე (ჩვენ შემთხვევაში მკითხველი, ან მსმენელი) ახდენს გამონათქვამის ინტერპრეტაციას იმისდა მიხედვით, რაც მას ჰგონია გამომდინარე ენონსიაციის გარემოებებიდან. მაშასადამე, არსებობს გარკვეული კოპერაცია მოსაუბრეს - ენონსიატორსა და თანამოსაუბრეს შორის, მათ საბოლოო მიზანი აერთიანებთ. მაგრამ, თუ თანამოსაუბრე დროით და სივრცით დაშორებულია, მაშინ კოპერაცია შეიძლება არ იყოს წარმატებული.

მედია-დისკურსებში და ინტერაქციულ კომუნიკაციაში ორაზროვნება სასურველია აღმოიფხვრას, ან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, რაც ბევრად იქნება დამოკიდებული ჟურნალისტის ინტენციაზე და მსმენელის ან მკითხველის მომზადების დონეზე ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

S U M M A R Y

THE PECULIARITIES OF THE MEDIA-DISOURSE

SIBILA GELADZE

The given article concerns the peculiarities of the media-discourse, one of the most important elements of which is linguistic ambiguity, which shows itself in the cases when one word or phrase can be interpreted in a several way. Important characteristics of the media-discourse is its polyphony and its ability to express culture. Ambiguity may be caused not only by the polysemantic meaning of a word or phrase, but also by cultural difference. For example, if a speaker does not know Bomarchais's play, he will never guess what the title of a well-known French newspaper 'Le Figaro' means. How to interpret a word or a phrase may also depend on a speaker's intention. A speaker leads his/her conversation to a certain end. The same is true about a journalist, who is a kind of speaker as well, acting according to certain semantic-pragmatic plan. But a co-speaker (a listener or a reader in our case) interprets



a message according to what he/she thinks is true according to an announcement circumstances. Therefore, there is a certain cooperation between a speaker-announcer and a co-speaker - they have a common goal. But if a co-speaker is far in time or distance, then cooperation may be not successful.

It is desirable that in media-discourse and interactive communication ambiguity is eliminated, or reduced to minimum, which will largely depend on the intention of a journalist and listener's and reader's level of knowledge on this or that topic.

РЕЗЮМЕ

ОСОБЕННОСТИ МЕДИА-ДИСКУРСА

СИБИЛА ГЕЛАДЗЕ

Данная статья посвящается лингвистической двусмысленности, которая имеет место в том случае, когда одно и то же слово или высказывание может быть интерпретировано по-разному. Двусмысленность является, скорее всего, качеством языковой системы и никак не мешает коммуникации. Главным оттенком медиатического дискурса является его полифонический характер и способность выражения культуры, так как двусмысленность иногда исходит ни от полисемии слова, а от разницы между культурами. Например, если коммуникант не знаком с пьесой Бомарше «Фигаро», он никогда не поймет, что означает название французской газеты «Ле Фигаро». Часто интерпретация высказывания зависит от интенции говорящего (коммуниканта, в нашем случае, журналиста). Он идет по своему прагматическому плану. Между коммуникантами существует своеобразная кооперация. Эта кооперация не будет успешной, если один из коммуникантов отдален во времени и пространстве.

Одним словом, двусмысленность носит эстетический характер, когда дело касается литературы, но ее надо избежать в медиатическом дискурсе, и это часто зависит от интенции журналиста.



ქრონოტოპი ბრიზოლ რობაქიძის რომანში „გველის პერანგი“

ვიოლეტა ავეთისიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PhD კანდიდატი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტის ლექტორი

ცნობილია, რომ ყოველი შემოქმედი ქმნის დროისა და სივრცის თავისებურ სამყაროს, თავის კოსმოსს. ამ სამყაროს გააზრება, მწერლისა და მისი შემოქმედების გაგებას ნიშნავს. ამგვარად, ლიტერატურული ტექსტის დროისა და სივრცის ორგანიზების ანალიზით, ჩვენ შეგვიძლია გავხსნათ ნაწარმოების მხატვრული სამყარო, ასევე წარმოვაჩინოთ მწერლის შემოქმედების სპეციფიკური განსაკუთრებულობანი და ჩამოვაყალიბოთ წარმოდგენა მის ფილოსოფიურ შეხედულებებზე [5].¹

ლიტერატურაში სივრცისა და დროის ურთიერთკავშირის მხატვრული აღქმა (ათვისება) განეკუთვნება მე-20 საუკუნის მხატვრული შემოქმედების მეტად აქტუალურ პრობლემათა რიცხვს, როდესაც, ფიზიკისა და ბუნებისმცოდნეობის სფეროში ახალ მეცნიერულ აღმოჩენებთან დაკავშირებით, ღრმა სოციალური კრიზისებითა და რყევებით, მწვავედ იტყვის დროისა და სივრცის პრობლემის მიმართ [იქვე]. თავის დროზე, „დროისა და სივრცითი ურთიერთობების არსებით ურთიერთკავშირს, რომლებიც მხატვრულად არის ათვისებული ლიტერატურაში“ [6], მ. ბახტინმა უწოდა – „ქრონოტოპი“² (მე. ბერძ. „chronos“ – დრო, „topos“ – ადგილი, სივრცე).

ლიტერატურულ ქრონოტოპებს გააჩნია, უპირველეს ყოვლისა, სიუჟეტური მნიშვნელობა. ისინი წარმოადგენენ ავტორის მიერ აღწერილ ძირითად მოვლენათა საორგანიზაციო ცენტრებს. „ქრონოტოპში ებმება და იხსნება სიუჟეტური კვანძები. შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რომ მათ განეკუთვნება სიუჟეტის წარმომქმნელი ძირითადი მნიშვნელობა“³ [7], – ამბობს მ. ბახტინი.

ჩემი კვლევის ობიექტს წარმოადგენს გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“ (1926 წ.), რომელიც მწერლის ერთ-ერთი ცნობილი ნაწამოებია.

„გველის პერანგი“-ს მხატვრული სივრცის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მთავარი გმირის – არჩიხაღდ მეკეშის გზა, რომელიც მიემგზავრება ირანის გავლით – საქართველოში, ხოლო დროით (ძირითადად), იმ პერიოდით, რომელიც სჭირდება გმირს, თავის ისტორიულ სამშობლოში დასაბრუნებლად.

¹ იხ.: Маслова А., Поэтика хронотопа в раннем творчестве Б. Л. Пастернака// <http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/93464.html> (ციტატის თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის - ვ. ა.)

² ტექსტში ყველა კურსივი სტატიის ავტორისაა - ვ. ა.

³ ციტატის თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის - ვ. ა.



ძირითადი დრო, რომელშიც ვითარდება „გველის პერანგი“-ს მოქმედება, არის აწმყო, – მე-20 საუკუნის დასაწყისის რევოლუციური ხანა. წარსული დრო, (არჩიბალდ მეკემის მამის – თამაზ მაყაშვილის ისტორია), და დიდი ხნის წინანდელი დრო (ირუბაქიძეების შთამომავლების ისტორია), შემოდის თხრობაში იმ მომენტში, როდესაც გმირი ეცნობა იმას, რაც ჩაწერილია რვეულში და ხელნაწერებში მისი მამის და წინაპრების ცხოვრების შესახებ. ჭარსული რომანში იხსნება ასევე მეტაფიზიკური სამყაროს მეშვეობით, საითაც გადაყავთ არჩიბალდ მეკემში მისი მოგონებები, მოგონებები-ხილვები, ზმანებები-ხილვები და ფიქრები. თავის მხრივ, ნაწარმოებში არ არსებობს მომავალი დრო.

„გველის პერანგში“ სივრცე და დრო შერწყმულია მთავარი გმირის აზრთან წარსულის შესახებ. რომანის აწმყო დროში, არჩიბალდ მეკემის რეალური გზის გარდა, ნაჩვენებია ამ გმირის „გაქცევა“ თავისი მოგონებებისაგან, ხილვებისაგან, წარსულის მიერ მოგვრილი აზრებისაგან. მაგრამ ხილვები იმდენად ხშირია, რომ შეუმჩნეველად იქცევა არჩიბალდის აწმყოს განუყოფელ ნაწილად.

ნაწარმოებში შესაძლოა გამოვეყნოთ სიუჟეტის სივრცის შემავსებელი, ორი სამყარო: რომანის ფიზიკური სამყარო, რომელიც შედგება არჩიბალდ მეკემის გზისაგან, და რომანის არასივრცული მეტაფიზიკური სამყარო, რომელსაც წარმოქმნიან ამ გმირის მოგონებები და ხილვა-ზმანებები. უნდა აღინიშნოს, რომ, ხანდახან, იშლება საზღვარი არჩიბალდ მეკემის მოგონებასა და ხილვას შორის, მაგალითად, რომანში ნათქვამია: „სიცხე ისეთია – მზე ისეთია – არე ისეთია: რომ ყოველი მოგონებაში გადადის მთლად – ზმანებულის მოგონებაში“ [3, 121]. ხდება ისეც, რომ სიუჟეტში ქრება ზღვარი ხილვასა და რეალობას შორის: „არჩიბალდ მეკემში გველნაკებნივით შეირხევა: ძველი ბაბილონის მაგიური სიტყვები სმენაში ტყვიასავით ჩაესხმიან. ეს არ „აგონდება“. ეს ეხლა ხდება“ [იქვე, 23], – ნათქვამია წიგნში. ზოგჯერ გმირი სვამს კითხვას: „ძილი თუ ღვიძილი?!“ – და იქვე ესმის, რომ „ზმანება თუ არის...“ [იქვე, 149]. ასეთივე მდგომარეობა ახასიათებს რომანის გმირ ქალ – ოლგასაც, რაც გამოწვეულია არჩიბალდზე მოგონებებით. ასე მაგალითად, ერთ ეპიზოდში, როდესაც ოლგა ხედავს ყმაწვილს, რომანში ნათქვამია: „აგონდება ქალს... თუ ეს ეხლა ხდება...“ [3, 52].

ავტორი წარმოგვიდგენს რომანის ფიზიკურ და მეტაფიზიკურ სამყაროს, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. ამ სამყაროთა თავისებური შეჯახება და გადახლართვა ხდება იმ მომენტში, როდესაც არჩიბალდ მეკემის მოგონებები (მეტწილად, მისი მამის შესახებ) თითქოს შეიჭრებიან მის აწმყოში. ამ დროს, საზღვარი გმირის რეალურ სამყაროსა და მის მოგონებებს შორის ქრება. შედეგად, მკითხველისთვის, როგორც თვით გმირისთვის გაუგებარი ხდება – რომელ სამყაროზე ახდენს ის დაკვირვებას, მაგალითად, არჩიბალდი „...გამზერს ჰამადანის მიდამოს და სრულიად გაბრუებული მოგონებაში გადადის მთლად. ჰამადანიც ხომ მოგონებაა თვითონ“, – ნათქვამია ნაწარმოებში [იქვე, 15].

გმირის მოგონება-ხილვების სამყარო აძლევს მოცემული რომანის მხატვრული სივრცის შემავსებელ საგნებს რაღაც განსაკუთრებულობას, – თავისებურ მაგიურ შეფერილობას. თხრობის დასაწყისში ნათქვამია: „ქალაქის



სამხრით-აღმოსავლით – სერი მიუსეღლაჰ. სერიდან სამხრით დიდი ქვის ლომი წითური: თითქო მზით ნაყვავილევი. ქვის ლომი: კირსილისაგან ჩამოსხმული. კირში – მზის ხურუში და სილაში – მზის თესლები. <...> დიდი შუადღის ჟამს როცა საგნები თავის ლანდებს ჰკარგავენ ლომთან მიდის სნეული: უნაყოფო თუ ათაშანგით დადაღული. <...> ცხელ ქვიშაზე თითქო პეშვებით ესხმიან შელოცვანი: კაცმა არ იცის რა ენაზე” [3, 7-8]. მაგრამ, როგორც კი არჩიბალდ მეკემის მოგონებები (ხილვები) ქრებიან, „მოდის თანადროულობის სიფხიზლე“, არჩიბალდი „...იქით აქეთ იხელება,– და ხედავს, რომ,– წითელი ლომი (სინამდვილეში – ვ. ა.) ქვაა კირიან სილისაგან შემდგარი. ჰამადანი (კი – ვ. ა.) აყალო მიწაა და წვირიანი ქალაქი” [იქვე, 17].

რომანში „გველის პერანგი“, ერთ-ერთ მთავარ ქრონოტოპს წარმოადგენს გზის ქრონოტოპი. წიგნის პირველ ნაწილში ავტორი გვიჩვენებს არჩიბალდ მეკემის გზას, რომელიც გადაჭიმულია ირანის ზეგანზე. გზა მიიკლაკნება მალღობებზე. უნდა აღინიშნოს, რომ მეკემი თავის გზას, თანამგზავრებთან ერთად, ფარავს ავტომობილით, რომელიც აღწერილია რომანში არა როგორც ტექნიკა, არამედ როგორც ცოცხალი არსება. ავტორი გადმოგვცემს არჩიბალდ მეკემის გზის (ასევე ოღვა ბალაშოვას გზის) სირთულეს, მანქანის ქცევისთვის ემოციურ-ღირებულ ინტენსიურობის მინიჭებით. შეიძლება ქრონოლოგიურად ვუთვალთვალოთ გზას, როგორც გზაში გმირის სულიერ მდგომარეობის, ისევე თვით მანქანის ქცევის მიხედვით.

ავტომობილს, რომლითაც უხდება მგზავრობა არჩიბალდს და მის მეგობრებს, უწევს გადალახოს მალღობები, ამიტომაც დროგამოშვებით „ფორდი ძალას იკრებს რომ ალახოს დიდი აღმართი” [იქვე, 29]. მერე ის „დაიქშენს. როგორც თოფნაკრავი მხეცი” [3, 29]. ხოლო, როდესაც ქალაქს უახლოვდებიან – „ფორდი ქშენს სხვანაირად: რიგში თუ ეშლება” [იქვე], – ნათქვამია რომანში. და აი, „სულტანბულახის კარებთან ფორდი საშინლად ამოიხვნეშებს და ერთბაშად დავარდება: შეჩერდება” [იქვე]. ხანდახან „ფორდი ხენეშის. ხანდახან დაიქშენს...” [3, 31] ბავშვივით. ზოგჯერ, მანქანა „მიჰქრის” [იქვე, 42], თითქოს არჩიბალდის გადასარჩენად თავისი მამის და მისი „ფესვების” იმ მოგონებებისაგან, რომელიც მას თან სდევს მუდამ. შემდეგ „ფორდი გახელებულია” [იქვე, 52], ის თითქოს გრძნობს ოღვას მდგომარეობას, რომელიც სასოწარკვეთილია არჩიბალდ მეკემის წარუმატებელი ძიებისაგან,– იმ ადამიანისა, რომელიც მას უყვარს. ხდება ისეც, რომ „ავტომობილი იწყებს კაპრიზს. კაპრიზი ჰისტერიაში გადადის” [3, 115]. შემდეგ, ქმედებაში ჩნდება „ოპელი”, რომელსაც მძღოლი „წყალს ალევინებს” [იქვე, 192]. ხოლო, როდესაც „ავტომობილი შუვილით გადასჭრის რუჰს და აირბენს მეტის ხალისით...” [იქვე, 193], ავტორი გამოხატავს აზრს, რომ მანქანის „მხიარული” განწყობის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ „ოპელს” ესიამოვნა „...ცხელი მუცელი ცივს ტალღებში რომ ამოავლო” [3, 193]. როდესაც, სუფრის შემდეგ, არჩიბალდ მეკემი, თავის მეგობრებთან ერთად, გადაწყვეტს გზის გაგრძელებას, თხრობაში მითითებულია ავტომობილის მდგომარეობაც: რომელიც „...ატეხილია. ღვინო მასაც თუ გადაედვა” [იქვე, 200], – ნათქვამია წიგნში. ამ ეპიზოდში „ავტომობილის თვალები ადამიანის ლანდს კვეთავენ” [იქვე].

აქედან გამომდინარეობს, რომ, „გველის პერანგში”, გრ. რობაქიძე ავტომობილზე ისე საუბრობს, როგორც ცოცხალ ორგანიზმზე, რომელიც თავისე-



ბურად იმეორებს, გამოხატავს მთავარი გმირების სულიერ მდგომარეობას, თანაუგრძნობს მათ, – თანამონაწილეობს მოქმედებაში, განიცდის გმირებთან ერთად სირთულეებს გზაში. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში ავტომობილის არსებობა საკუთრებაში, გამოიხატება ზმნით „ყოლა“, რომელსაც გააჩნია სულიერი ფორმა. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, გრ. რობაქიძემ ავტომობილი შეიყვანა სიუჟეტში სწორედ – როგორც ცოცხალი არსება. ამგვარად, ცივილიზაციის საგნები, ერთ-ერთი რომელთაგანაც, ამ ნაწარმოებში, არის ავტომობილი, უთანაბრდება ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც თან ახლავს მგზავრებს, და არამარტო გადაადგილებს მათ ერთი ქალაქიდან (პუნქტიდან) მეორეში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საგნები, რომლებიც ავსებენ რომანის მხატვრულ სივრცეს, ნაჩვენებია ერთმანეთთან აბსოლუტურ პარმონიაში.

„გველის პერანგი“-ს პირველ ნაწილში გზა ემსახურება არჩიბალდ მეკემს ქალაქ ჰამადანიდან ქალაქ სულტანბულახში გადასადგილებლად. გზაში არ ხდება არაფერი გარკვეული, გზა აქ წარმოადგენს მხოლოდ რთულად გასავლელ ადგილას მანქანისთვის. დროგამოშვებით, არჩიბალდ მეკეში თავის მეგობრებთან ერთად ჩერდება სადგურებზე, ანუ, რომანის მოქმედებაში შედის *ზღურბლის* ქრონოტოპი.

მთავარი გმირის გზაში გაჩერება, არის სპონტანური, რაც ხშირად ავტომობილის გაუმართაობითაა გამოწვეული, ან დასვენების საჭიროებით, მანქანის საწვავით გამართვით. არჩიბალდ მეკემის გზა – არის მთავარი გზა, რომელიც გაივლის თითქმის მთელ სიუჟეტს, მაგრამ თხრობიდან სხვა გზაც მოსჩანს, რომელიც, გარკვეულ მომენტში, იქცევა ამ გმირის გზის გაგრძელებად. ავტორი ხატავს მეკემის გზას, ხოლო შემდეგ მკვეთრად გადადის ოლგას გზის აღწერაზე, რომელმაც დაინახა რა მოულოდნელად მეკეში, მისდევს მას, მასთან შეხვედრის მიზნით. წიგნის ამ ნაწილში ხდება ორი გზის თავისებური „გადაძახილი“, ერთი მისდევს მეორეს, თითქოს ცდილობს დაეწიოს მას, დაიკავოს მისი ადგილი. ამასთან, თხრობაში იგრძნობა მოძრაობის დინამიკა. ოლგას გზა თითქოსდა ცდილობს გაუსწროს, ხელში ჩაიგდოს (გადაჭრას) არჩიბალდის გზა. მისი გზა ემსგავსება არჩიბალდ მეკემის გზის აჩრდილს. ამ ეპიზოდში, რომანის ნარატიული აგებულებაც გადმოსცემს გმირის განცდებს, და აძლევს მკითხველს საშუალებას ნათლად დაინახოს და შეიგრძნოს ისინი. გზაში ოლგა იმყოფება თავისი წარსულის მოგონებებში, – იგონებს არჩიბალდთან მის უკანასკნელ შეხვედრას. გზად მიმავალი არჩიბალდ მეკეშიც ასევე მოგონებებშია, მაგრამ გმირი ქალის მოგონებებისაგან განსხვავებით, მთავარი გმირისთვის მოგონებები – ეს არის გადასვლა ხილვათა სამყაროში. ოლგა „ჩაფლულია წარსულში“ და მისი აზრები ეკუთვნის მხოლოდ არჩიბალდს. ის, თავის მხრივ, არა მხოლოდ გადაადგილდება გზაში (ერთი ქალაქიდან მეორეში), არამედ, თავისი მოგონებების, ხილვების ხარჯზე, ის გადაადგილდება რეალური სამყაროდან მეტაფიზიკურში.

ოლგას გზაში ზღურბლის ქრონოტოპის ფუნქცია სხვა ხასიათს ატარებს. გმირი ქალი ჩერდება ყოველ სადგურზე იმ მიზნით, რომ გაიგოს (სარეგისტრაციო წიგნის შემოწმებით) გაიარა თუ არა ამ გზაზე არჩიბალდმა, ან იქნებ გაჩერდა იქ. აქედან გამომდინარე, გზაში უამრავი გაჩერება გამოხატავს ოლგას სურვილს შეამოწმოს მისი გზის სისწორე. ზუსტად



ზღურბლის ქრონოტოპის დახმარებით, თხრობაში ნაჩვენებია, თუ როგორი სიჯიუტით ეძებს ოღვა არჩიბაღს.

„გველის პერანგში“ გზის ქრონოტოპის მნიშვნელობა კიდევ იმით მტკიცდება, რომ, სწორედ, გზის აღწერისას, ზოგჯერ ხდება სივრცითი და დროის ველების გადაკვეთა. ასე, მაგალითად, როდესაც სიუჟეტში მოთხრობილია უდაბნოში გამავალ ქარავანზე, თითქოს ისე ჩანს, რომ ეს ქარავანი წარსულიდან მომავალში მიემართება, დროის და სივრცის გადაღახვით. ამ ეპიზოდში არჩიბაღს მეკეში ხედავს ქარავანს – როგორც უძველესი ქარავანის თავისებურ შტამომავალს; როდესაც ძველად ებრაული ტომები დადიოდნენ „...მეწამულ ზღვასა და სპარსეთის სრუტეს შუა – ეფრატსა და პალესტინას შუა“ [3, 120]. თხრობაში ნათქვამია: „ასეთი ქარავანი მიდიოდა იქ: შავ მოხუცთან. ასეთ კლდეებში იშვა ცეცხლი: რომლითაც აიწვა ჰებრაელი“ [იქვე, 125]. არჩიბაღს მეკეში ფიქრობს: „ეგების: ეს ქარავანიც იმ ქარავანის ნატეხია“ [იქვე]. სწორედ სპარსეთი, თავისი გაშლილი სივრცით, იწვევს გმირში ასეთ გრძნობებს. როგორც რომანიდან ჩანს, ამის მიზეზია ის, რომ ირანის ზეგანზე: „...სინამდვილე ორდება. ორდება მისი ამთვისებელიც. დრო ჩერდება. არის მხოლოდ წარსული. აწმყო მიმქრალია. მომავალი ხანდისხან თუ იელვებს – როგორც აზრი თუ ფიქრი. არის მხოლოდ წარსული: და ისიც – როგორც ზმანებულის მოგონება. არჩიბაღს მეკეში იყვინება მზეში გახვეულ არეში. ყოველი ხილული გადასულის ღანდია მხოლოდ – აშანთული დაღი გადასულის თუ წარსულის. აქ: ესღა თითქო არა არის რა. აქ: ყველაფერი ხსოვნაა ყოფილის. აქ: თვითონ ყოფილია: ძველი ამბავი – შორს წასული. არც ერთ მხარეს ევროპისას ამდენი ნაკვალევი არ აჩნევია“ [იქვე, 119], – ნათქვამია რომანში.

გრიგოლ რობაქიძემ ამაოდ არ შეარჩია ირანის ტერიტორია „გველის პერანგი“-ს სიუჟეტის ძირითადი ნაწილის განვითარებისთვის. მწერლის ერთ-ერთ სტატიკაში ამის ახსნა მოიძებნება. მწერალი ამბობს: „აღმოსავლეთში დედამიწა უფრო მეტია, ვიდრე წმინდა ჰესის: ის კოსმიური ყოფიერებაა, რომელშიც მითის სუნთქვა აღმოცენდება. ადამიანი ამ ლანდშაფტში პატარა ჩანს, თითქმის შეიძლება გვეთქვა – ერთი ციდა. თვით ლანდშაფტს ადამიანის აღმატებული სიდიდე აქვს. დრო აქ არ მიედინება, ის, სივრცეში ამალღებული, გაქვავებულია – და წამი თავის თავში მარადისობას ინახავს...“ [4].

გზის ქრონოტოპი განსხვავებულ ფერს იძენს, როდესაც სიუჟეტში აღწერილია ომის დაწყება. ამ მომენტიდან, გზა ჯარისკაცების გადაადგილების საშუალებაა: „მოძრაობა იზრდება. ავტომობილები დაჰქრიან იქითაქეთ. ავტომობილებს უსვენრობა ემჩნევათ – (მათი რიტმი ვერ დამალავს ვერაფერს)“ [3, 184], – ნათქვამია „გველის პერანგში“. ირგვლივ და ყველგან არეულობა და ქაოსია, არჩიბაღს მეკეში, თავის თანამგზავრებთან ერთად, ხედავს, რომ გზაზე, რომელზედაც ისინი მიდიან „...თითქმის ყოველ მიღზე – ლემი: ცხენის თუ აქლემის. <...> ზოგ ალაგს კაცის ცხედარიცაა თხრილში გადაგდებული. ყოველთვის – ჯარისკაცი“ [იქვე, 190].

რომანის ბოლოს გზა მიიყვანს არჩიბაღს მეკეშს საქართველოში – იქ საიდანაც ირუბაქიძეების ძველმა გვარმა დაიწყო თავისი ხანგრძლივი გზა. მაშასადამე, მწერალმა აბრუნებს „გველის პერანგი“-ს მთავარ გმირს თავის „ძირებთან“; არჩიბაღს მეკეში გარდაიქმნება იმ გველის მსგავსად, რომელიც



იცვლის პერანგს. მეკეში ცხოვრებას თავიდან იწყებს მშობლიურ მიწაზე, ის ისევ ხდება არჩილ ირუბაქიძე.

აქედან გამომდინარეობს, რომ გზის ქრონოტოპი „გველის პერანგში“ ქმნის თავისებურ ნარატიულ წრეს. მოცემულ ნაწარმოებში, გზის ქრონოტოპის ამგვარი ფუნქცია არ არის შემთხვევითი. აქ აღსანიშნავია ფრ. ნიცშეს „მარადიული დაბრუნების (განმეორების)“ ფილოსოფიური იდეის გავლენა გრ. რობაქიძის მსოფლმხედველობაზე და შემოქმედებაზე. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთში მოგზაურობისას რობაქიძემ ამ იდეის დაახლოებით ისეთივე ხატი იხილა, როგორც ნიცშემ: რომ „ყველაფერი, თითქოს, ერთხელ უკვე იყო“ [2, 228].

აღსანიშნავია, რომ „გველის პერანგი“-ს მხატვრულ სივრცეში, ავტორის მიერ, მითითებულია მეტაფიზიკური, სიმბოლური გზაც – გზა, რომელიც დროში მუდამ არსებობს. რომანში ნათქვამია: „სახეები: შორეულის მასკები. თვალები იცქირებიან უწვდენელ სიშორიდან. ძველი რასის ნამდვილი ნიშანი. უმზერ – და თითქო კაცი შორსაა.“ [3, 11-12]. მაშასადამე, ადამიანი აქ იწყებს თავის გზას, მოდის წარსულიდან: გრძელდება ადამიანის მოდგმა, თაობიდან თაობამდე, და ადამიანის თვალეში გამოხატულია მთელი ეს გრძელი გზა წარსულიდან ახლანდელში, ადამიანის თვალეში მთელი კაცობრიობის ისტორიაა. აქედან გამომდინარეობს, რომ „გველის პერანგში“ გრ. რობაქიძე წარმოაჩენს წარსულისა და აწმყოს სიახლოვეს, წარსულის აწმყოში არსებობასა და მათ უდაო კავშირს, ხოლო წარსულის აწმყოში მთავარი გამტარი მოცემულ რომანში – თავად ადამიანია.

რომანში „გველის პერანგი“ ძლიერი მნიშვნელობის მქონე კიდევ ერთი ქრონოტოპია – *ქალაქის ქრონოტოპი*, მასში შემავალი *ქუჩის, ციხესიმაგრის „წვრილი“*¹ ქრონოტოპებით. თავის დროს, მ. ბახტინმა მიუთითა ბალზაკის უნარზე „დაინახოს დრო სივრცეში“. მ. ბახტინის თქმით, ეს უნარი ბალზაკთან გამოიხატება „სახლების მატერიალიზებულ ისტორიად, ხოლო ქუჩების, ქალაქების, სოფლის პეიზაჟების – დროის, ისტორიის დამუშავების სიბრტყეში წარმოსახვაში“² [7]. ჩემი აზრით, გრ. რობაქიძესაც ჰქონდა მსგავსი უნარი, რომელიც მან გამოავლინა რომანში „გველის პერანგი“.

ჯერ კიდევ რომანის პირველ თავში, იმჩნევა დროის სივრცეში გამოსახვის მაგალითები. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ, მოცემულ ნაწარმოებში, ქალაქის ქრონოტოპი (მასში შემავალ „წვრილ“ ქრონოტოპებთან ერთად) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქრონოტოპს წარმოადგენს, ის არის, რომ სწორედ ამ ქრონოტოპის დახმარებით ვლინდება მწერლის „სივრცეში დროის ხედვის“ უნარი. წიგნში, ქალაქის აღწერისას, ნათქვამია: „არის ადგილი ხასიათის გარე. თითქო ჯერ კიდევ უხასიათო. თითქო ახლად თვალახელილი. არის ადგილი – ხასიათი თავიდან ბოლომდე: ისტორიას მხოლოდ სურნელი დაუტოვებია მის ნიადაგში გასრესილი. ჰამადან ხასიათია უკანასკნელი კენჭითაც. აქ თვალი გადასულ ღანდებს ხედავს. თუმცა თვალი დაცდილია საჭირო რომ ღანდები არ დააფეთოს. აქ მიწის ბელტიც შორეულის სურნელს ასხურებს. წარსულს მხოლოდ იყნოსავ. სხვარეგ მას ვერ აითვისებ.“

¹ იხ.: Бахтин М., *Формы времени и хронотопа в романе*.

² ციტატის თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის - ვ. ა.



გადასულს სურნელის გზნება თუ მოაბრუნებს... ერთი შეხედვით: თიხისაგან ნაშენი სახლები და ვიწრო ქუჩები” [3, 11]. და აქვე, ავტორი გამოხატავს აზრს, რომ „თიხაში ეგებ მოქცეულია მოკრძალება დროის მიმართ – (დრო ყველაფერს ანგრევს: თიხა ისედაც ინგრევა)” [იქვე].

„გველის პერანგში“ *ციხესიმაგრის* ქრონოტოპი ადლიერებს „სივრცეში დროის” გამოხატვას. ავტორი წარმოაჩენს ციხესიმაგრეს „დროისა და ისტორიის მიერ დამუშავების სიბრტყეში“ [7]. სიუჟეტში აღწერილია „თიხისაგან ნაშენი მინგრებული კედლები“ და „მიგზითი “მესჯიდჯუმას”: უკვე სასტიკად მოძველებული” [3, 10]. ჰამადანის აღწერისას, მწერალი ამბობს: „შიგადაშიგ ქალაქში: სიძველის ნაშთი მრავალი. მიზგითი ძველი. ნატეხი ძველი ბაზრის. საფლავის ქვები. კოშკები ნგრეული. წარწერები “cuffick” ყოველ კუთხეში. ცილინდრული ქვები. პერსეპოლის ფიგურებით და წარწერებით. ძველი ფულები <...> ნაშთი მრავალი.” [იქვე, 11], და ყველა მათგანი ამბობს სივრცეში განვლილი დროის შესახებ, რომელიც ნაკვალევს ტოვებს საგნებზე. ხოლო, როდესაც ნივთებზე არ ეტყობა დროის ნაკვალევი, ავტორი სვამს კითხვას: „...ეს სიცოცხლე ნაშთებისა თუ პირდაპირ უნაშთობა...” [იქვე], და მაშინ ის იტყობს, რომ ამგვარი მდგომარეობა „...კიდევ უფრო ამბავრებს ჰამადანის ძველობას” [3, 11].

ზოგადი პიროვნული უფლება იცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის იმ სფეროებს, რომლებიც არ არის დაცული სპეციალური ძირითადი უფლებებით. ამ გაგებით ზოგად პიროვნულ უფლებას მოისხენიებენ „უხილავ, დაუწერელ ძირითად უფლებად“ [4, გვ. 104], რომელსაც სამოსამართლო სამართალმა უწოდა „დანარჩენი უფლება“ (*sonstiges Recht*) ან განიხილება ჩარჩო-უფლებად. ზოგად პიროვნულ უფლებაში მოიაზრება პირის უფლებამოსილება, დამოუკიდებლად განსაზღვროს ობიექტურად განსაზღვრული და შეზღუდული სფეროები, დასაშვებია თუ არა და რა ზომით მის შესახებ ინფორმაციის მიღება-გავრცელება და რა მოცულობით არის დასაშვები მის პიროვნებასთან დაკავშირებული ინტერესების ხელყოფა [10, გვ. 193-196] ზოგადი პიროვნული უფლება ადამიანის ღირსების დაცვის ცნებიდან გადის და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ცნების სფეროში გადადის.



ზოგადი პიროვნული უფლება უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების სფეროს დაცვით [25, გვ. 51]. ღირსება პირადი სფეროს ელემენტადაც შეიძლება მოიხარებოდეს, რომელიც წარმოუდგენელია საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლების გარეშე. ღირსება კი დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილები. ამავე დროს, აღნიშნული კოდექსი იცავს განსაკუთრებულ პიროვნულ უფლებებს, როგორცაა სახელის, საკუთარი გამოსახულების, პატივის დაცვის უფლებები.

ამასთან, ზოგად პიროვნულ უფლებას ძირითადად აქვს ა) განმარტობისა და ბ) პიროვნების აქტიური განვითარების უზრუნველყოფის ფუნქციები [22, გვ. 6-7]. ზოგადი პიროვნული უფლება პირადი სფეროს სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საფუძველია [11; 12; 13].

პიროვნულ სიკეთეთა რიცხვი უსაზღვროა და პიროვნების შესაძლო უკანონო ხელყოფების წრეც არასოდეს იქნება სრული; ამ ხარვეზების შევსების („განსაკუთრებული კარის“) ფუნქცია ზოგად პიროვნულ უფლებას აკისრია ძირითადი უფლებებისთვის, რომლებიც ზოგად პიროვნულ უფლებაში აისახება. ამდენად, ზოგადი პიროვნული უფლების სამოსამართლო სამართლის მიერ ცნობა განპირობებულია სამოქალაქო კოდექსში იდეალური ინტერესების დაცვით [22, გვ. 6-7; 24, გვ. 73; 11; 16; 17; 18]. ზოგადი პიროვნული უფლება შეეიცარის, ლიხტენშტეინისა და ავსტრიაში სამოქალაქო კანონმდებლობაშია გამყარებული. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი თვითონ არ შეიცავს ზოგადი პიროვნული უფლების ინსტიტუტს [22, გვ. 7-8], თუმცა გერმანიის კონსტიტუციის I მუხლი იცავს ადამიანის ღირსებას, ხოლო II მუხლი – პიროვნების თავისუფალ განვითარებას [27]. საგულისხმოა, რომ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პირადი არაქონებრივი ინტერესების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის სრულყოფის გარშემო ვითარდებოდა ორი იდეა: ა) პირადი არაქონებრივი უფლებების სიმრავლის შესახებ თეორია, რომელიც აღიარებდა ყველა ახალ პიროვნულ უფლებას; ბ) ზოგადი პიროვნული უფლების კონცეფცია, რომლის მიხედვით კანონმდებლობამ უნდა დაიცვას არა ცალკეული პიროვნული უფლება, არამედ ზოგადი პიროვნული უფლება. საქართველოს კანონმდებლობა სწორედ პირველ თეორიას ეფუძნება. თუმცა თუ პირადი უფლებების სიმრავლის იდეა არ უზრუნველყოფს პიროვნების ინტერესთა ყოველმხრივ დაცვას და იწვევს სამართლის ნორმათა ოდენობის გაზრდას, ზოგადი პიროვნული უფლება იძლევა სამოსამართლო სამართლის მეშვეობით პიროვნულ უფლებათა ყოველმხრივი დაცვის შესაძლებლობას [9, გვ. 29-31].

საქართველოში ზოგადი პიროვნული უფლება კონსტიტუციის ცალკეული მუხლებით აღიარებული ძირითადი უფლებების, მაგალითად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებების საფუძველია. ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს უფლებებს, რომლებიც ახდენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების კონკრეტიზაციას ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროთა მიხედვით. საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხვდება ტერმინი „ზოგადი პიროვნული უფლება“, თუმცა დაცულია პიროვნების თავისუფალი განვითარება (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი). საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ზოგად პიროვნულ უფლებასა და საყოველთაო თა-



ვისუფლებას, რომლებიც ერთობლივად ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის აბსოლუტურ, სრულ დაცვას უზრუნველყოფს [4, გვ. 93, 95-96, 104].

ამდენად, ზოგადი პიროვნული უფლება არის ღირსების პატივისცემისა და ინდივიდის განვითარების უფლებისგან ნაწარმოები უფლება, რომელიც როგორც სახელმწიფოსა და მის ორგანოებს, ისე კერძოსამართლებრივ მოქმედებებში თითოეულ პირს აკისრებს პატივისცემის მოვალეობას [25, გვ. 53-54]. ამასთან, კერძო ცხოვრების საიდუმლოება არის დაცული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში. ინფორმაციული კერძო სფერო, რომელიც კერძო ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლინების ფორმაა, გათვალისწინებულია ამავე კოდექსის მე-18¹ მუხლში პერსონალური მონაცემების დაცვის სახით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სხვადასხვა მუხლით, სისხლის სამართლის კოდექსით ისევე, როგორც კერძო ცხოვრების სხვა მომენტებიც. საგულისხმოა, რომ საპროცესო კანონმდებლობაც იცავს პირად სფეროს ცალკეულ ასპექტებს და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საქმისწარმოებისას პროცესის მონაწილეთა თუ მესამე პირთა საიდუმლოების დაცვაზე. აქ საყურადღებოა ადვოკატსა და კლიენტს, ექიმსა და პაციენტს, ნოტარიუსსა და უბრალო მოქალაქეს შორის არსებული ფიდუციარული ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი პროფესიული საიდუმლოების დაცვა („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „ა“, „ჩ“ პუნქტები, ამავე კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „ვ“ პუნქტები, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტი, მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი მუხლი, კანონი „ნოტარიატის შესახებ“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილი).

სწორედ თვითრეალიზაციის უფლებას იცავს ზოგადი პიროვნული უფლება კოლიზიური ინტერესებისგან – განსაკუთრებით მედიისგან [26, გვ. 265]. ამასთან, პიროვნული უფლების შინაარსი ვრცელდება ეკონომიკურ სფეროზეც [25, გვ. 53; 21, გვ. 78]. ეკონომიკური ღირებულება აქვს გამოსახულებას, სახელს, სხვა ინდივიდუალურ ნიშნებს, როგორცაა ხმა [14; 15]. აქ აშკარაა, რომ კერძო ცხოვრების ქონებრივი საწყისები არის სამართლებრივად მოწესრიგებული.

საგულისხმოა, რომ მნიშვნელოვანია უფლების აღიარება და უფლება, არ ხელყო პიროვნება. საქმე, ერთი მხრივ, ეხება ცხოვრებაზე, ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობაზე, თავისუფლებასა და პატივისცემაზე პირის უფლების ცნობას; მეორე მხრივ, ადამიანის ინდივიდუალობა უნდა იყოს დაცული [22, გვ. 5-6, 11]. ამდენად, პიროვნულია უფლებები, რომლებიც ადამიანის პიროვნებას, თავისი ფიზიკური, სულიერი და გონებრივი არსებობის, ყოფიერების წესს შეეხება [23, გვ. 133-135]. საერთოდ, ზოგადი პიროვნული უფლება პირველსაწყისი უფლებაა, რომლიდანაც სპეციალური პიროვნული უფლებები გამომდინარეობს [25, გვ. 49-52]. განსაკუთრებული პიროვნული უფლებებია სახელის, ავტორობის, პიროვნული მონაცემებისა და პატივის დაცვის უფლებები [26, გვ. 154]. ამასთან, ზოგადი პიროვნული უფლების მხარეებად გვევლინება გამოსახულების, საიდუმლოების, თვითგანვითარების დაცვა [10, გვ. 194-195, 197-201]. ე.ი., სახელის, პატივის, პერსონალური მონაცემების (და სხვათა) დაცვის უფლებები ზოგადი პიროვნული უფლების



გამოვლინებანია, რაც ლოგიკის მოთხოვნებს პასუხობს [5, გვ. 193-194, 197-198]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დაცულია სახელი, საპასუხო სიტყვის გამოთქმა და საკუთარი გამოსახულება, რომლებშიც შეიძლება ზოგადი პიროვნული უფლება გამოვლინდეს. საქართველოს კონსტიტუცია იცავს საკუთარი პიროვნების განვითარების უფლებას, რომლის ერთ-ერთი ელემენტია ზოგადი პიროვნული უფლება. ამდენად, თითქოს საქართველოს კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ზოგადი პიროვნული უფლების არსებობა კანონმდებლობაში მისი სიღრმისეული ანალიზის შემდგომ შესაძლებელია უზოგადესი ცნების („საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარება“) და სპეციალური გამოვლინებების („სახელი, გამოსახულება, პერსონალური მონაცემები...“) შესწავლის საფუძველზე.

ლიტერატურა Literature Литература

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 1 დეკემბრის განჩინება
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება (17.10.2006) საქმეზე „დ. გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ“
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 18 ოქტომბრის განჩინება
4. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები (II გამოცემა), თბ., „ჯისიაი“, 2010
5. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., საქ. პედაგოგ. მეცნ. ინსტ. გამომც., 1946
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1955
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., საქართვე. სსრ მეცნ. აკად. გამომც., 1960
8. Я. Коломинский, О. Белановская, Жизнь и судьба в контексте социологического исследования, Актуальные проблемы психологии, т. 7, вып. 20, ч. 1
9. В. Суховерхий, О развитии гражданскоправовой охраны личных неимущественных прав и интересов граждан, «правоведение», 1972, №3
10. H. Ehmman, Zur Struktur des allgemeinen Persönlichkeitsrechts, in: JuS 1997/3
11. BGHZ 1954.25.05- Schacht-Entscheidung.
12. BGHZ 1958.20.05- Tonband-Entscheidung.
13. BGH, Soraya-Entscheidung, NJW 1965,685 f.
14. BGH, NJW 2000, 2195-Marlene-Dietrich-Entscheidung
15. BGH, NJW 2000, 2201-Blaue-Engel-Entscheidung.
16. BGH, NJW 1996-Caroline von Monaco-Entscheidung II.
17. EuGHMR 2004-VI _ Von Hannover gegen Deutschland (განაცხადი №59320/00)
18. EuGHMR (große Kammer) 2006/11/07-Jalloh gegen Deutschland (განაცხადი №54810/00)
19. Oxford English Dictionary, 1989
20. Oxford, Advanced learner's Dictionary, 2002



21. *Karl-Heinz Fezer*, Kommerzialisierung des Persönlichkeit, (vorgelegt von *Claudia Beuter*) (Dissertation), 2000
22. *Marie_theres Frick*, Persönlichkeitsrechte, Beiträge, Liechtenstein-Institut, Forschung und Lehre, Nr. 5, Liechtenstein, Fürstentum Liechtenstein, 1996,
23. *J. von Staudinger*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, 12. Aufl., Einleitung, Erstes Buch, Allgemeinen Teil, erläutert von *Dr. H. Coing*, Berlin, 1980
24. *CH. Uessler*, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008
25. *K. Wasserburg*, Der Schutz der Persönlichkeit im Recht der Medien, Heidelberg, 1988,
26. *F. Wittern*, Das Verhältnis von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zur Freiheit der Massenmedien (Eine rechtsvergleichende Darstellung des Verhältnisses von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zu der Redefreiheit in den Vereinigten Staaten von Amerika und der Presse- und Rundfunkfreiheit in Deutschland), (Dissertation), Hamburg, 2004
27. <http://www.bundestag.de/dokumente/rechtsgrundlagen/grundgesetz/gg_01.html> [03.04.2011]

რ ე ზ ი უ მ ე

ზოგადი პიროვნული უფლება და პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

მიხეილ ბიჭია

მიზანშეწონილია, ზოგადი პიროვნული უფლება გამოიყენებოდეს პიროვნული უფლებების აღსანიშნავად (ფართო გაგებით). როგორც კვლევიდან ჩანს, საქართველოს კანონმდებლობაში გათვალისწინებულია საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლება, რომელშიც შედის ზოგადი პიროვნული უფლება, და ზოგადი პიროვნული უფლების გამოვლენის ფორმები. შესაბამისად, ივარაუდება, რომ კანონში მოიძებნება მათ შორის არსებული ცნების (ზოგადი პიროვნული უფლების) საწყისებიც. საქართველოს კანონმდებლობა ხომ იცავს პიროვნულ უფლებებს, რომლებშიც შეიძლება აისახოს ზოგადი პიროვნული უფლების ესა თუ ის მხარე. მოცემული უკავშირდება პირადი ცხოვრების დაცვას, ვინაიდან პირადი სფეროს დაცვის უფლება ზოგადი პიროვნული უფლების შემადგენელი ნაწილია და ერთ-ერთ პიროვნულ უფლებად განიხილება. საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ძირითადად არაა სამართლებრივად დაცული სხვადასხვა განსაკუთრებით პიროვნული გამოვლინება, ისინი მოწესრიგებულია მორალის ნორმებით. ამდენად, როცა არაა პიროვნული უფლებები ყოველმხრივ დაცული და შესაძლებელია ახალი პიროვნული უფლებების წარმოშობის გამო სამართლებრივი ნორმები უსაზღვროდ გაიზარდოს, საქართველოსთვის (და არა მხოლოდ) აუცილებელია ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება. ეს პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრისკენაა მიმართული.



S U M M A R Y

GENERAL HUMAN RIGHT AND PROTECTION OF PERSONAL LIFE ACCORDING TO GEORGIAN LEGISLATION

MICHAEL BICHIA

It is purposeful to use general human right for denoting of personal rights (broad sense). As it is obvious from research, Georgian legislation envisages freedom of development of own personality, which includes general human right, and forms of revealing general human right. Accordingly, it is assumed, that the sources of the concept (general human right) can be found in the legislation. The legislation of Georgia does protect human rights, in which this or that aspect of general human rights can be reflected. The mentioned is connected with protection of personal life, as the right of protection of personal sphere is a component of general human right and is regarded to be one of the personal rights. It is noteworthy, that different personal manifestations are not legally protected in Georgian legislation, they are arranged by moral standards. So, when personal rights are not thoroughly protected and due to arising of new human rights legal norms can increase) infinitely, Georgia (and not only) must recognize general human right. It is aimed on elimination of practical errors.

Р Е З Ю М Е

ОБЩЕЕ ЛИЧНОЕ ПРАВО И ЗАЩИТА ЛИЧНОЙ ЖИЗНИ ГРУЗИНСКИМ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВОМ

МИХАЙЛ БИЧИА

Целесообразно использование общего личного права для обозначения личностных прав (с широким понятием). Как видно из исследования, в грузинском законодательстве предусмотрена свобода развития собственной личности, в которую входят общее личностное право, и формы выявления общего личного права. Соответственно, предполагается, что в Законе найдутся начала, в том числе существующего понятия (общего права личности). Ведь грузинское законодательство защищает права личности, в которых могут быть отражены та или другая стороны права личности. Данное связано с защитой личной жизни, т. к. право защиты личной сферы является составляющей частью общего личностного права и рассматривается как одно личное право. Нужно учесть, что в грузинском законодательстве в основном не защищены правом разные особенные личностные проявления, они регулируются моральными нормами. Таким образом, когда личные права не защищены полностью и для Грузии (и не только) возможно безграничное увеличение правовых норм из за происхождения новых личных прав, необходимо признание общего личного права. Это направлено для устранения практических помарок.



ადამიანის უფლებების დაცვა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში

ლევან ლატარია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს (შემდგომში - გაერთიანებული სამეფო) პარლამენტმა 1998 წელს მიიღო „ადამიანის უფლებათა აქტი“ (შემდგომში – აქტი), რომელმაც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ (შემდგომში – ევროპული კონვენცია) აღიარა ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად. აქტი ძალაში შევიდა 2000 წლის 2 ოქტომბრიდან.

გაერთიანებული სამეფო კანონმდებლობის ნაწილად აღიარებამდე ევროპულ კონვენციას ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსი ჰქონდა.

„მიუხედავად იმისა, რომ დიდ ბრიტანეთში ევროპული კონვენცია 2000 წლამდეც (ანუ კონვენციის კანონმდებლობის ნაწილად აღიარებამდე) გამოიყენებოდა, მისი ეფექტი უმნიშვნელო იყო. ევროპული კონვენცია გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონმდებლობა ბუნდოვანი ან ორაზროვანი იყო და სასამართლოები მას მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როდესაც ვერ ხერხდებოდა კანონმდებლობის ნორმის გამოყენება სასამართლო საქმის გადასაწყვეტად“.¹

„პრეცედენტული სამართალი იმასაც აცხადებდა, რომ კონვენცია იმაზე მეტ უფლებას არ იცავდა, ვიდრე საერთო სამართალი, და იმასაც, რომ უფრო მეტ უფლებას იძლეოდა, მაგრამ მისი გამოყენება არ ხერხდებოდა, რადგან ჩართული არ იყო შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში“.²

აქტის მოქმედება ვრცელდება საჯარო ხელისუფლების ორგანოებზე, გარდა პარლამენტისა. საჯარო ხელისუფლების ორგანოა ყველა პირი და ორგანიზაცია რომლის ფუნქციებიც საჯარო ბუნებისაა. აქტის მიზნებისათვის საჯარო ხელისუფლების ორგანოებია დიდი ბრიტანეთის სასამართლოები და ტრიბუნალები. საქმეში Poplar Housing and Regeneration Community Association Ltd v Donoghue [2001] EWCA Civ 595 სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო ხელისუფლების ორგანოს ცნება განმარტებულ უნდა იქნეს ფართოდ და ყურადღება უნდა მიექცეს კანონმდებლობის ბუნებას რომლის საფუძველზეც ხორციელდება უფლებამოსილება, უფლებამოსილების განხორციელებაზე სახელმწიფო კონტროლის თავისებურებებს, საჯარო დაწესებულების მოქმედებების სიახ-

¹ კონსტანტინე კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, 2007 წელი, გვერდი 46.

² შარლოტა სკოტი, კონსტიტუციონალიზმი და სასამართლო პრეცედენტი გაერთიანებულ სამეფოში, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ მესამე ნომერი, გვ. 62



ლოვეს კერძო სამართალთან და საჯარო სექტორიდან კერძო პირებზე უფლებამოსილებების დელეგირებისათან დაკავშირებულ ასპექტებს.¹

აქტის მოქმედება არ ვრცელდება საჯარო ხელისუფლების ორგანოების კერძოსამართლებრივ საქმიანობაზე. თუ კერძო პირები კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო საქმიანობას, ამ საქმიანობის განხორციელებისას განიხილებიან, როგორც საჯარო ხელისუფლების ორგანოები.²

აქტის თანახმად, ყველა საჯარო ხელისუფლების ორგანო საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია გაითვალისწინოს ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებები, ამ მოთხოვნის უგულებელყოფით განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, უმოქმედობა თუ მიღებული გადაწყვეტილება არის უკანონო. გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებმა და ტრიბუნალებმა თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას, კონვენციის უფლებებთან ერთად მხედველობაში უნდა მიიღონ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (შემდგომში - პრეცედენტული სამართალი).

ნებისმიერ პირს შეუძლია გამოიყენოს კონვენციით აღიარებულ უფლებები როგორც სასამართლო განხილვაში მონაწილეობისას, ასევე ნებისმიერი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებასთან ურთიერთობისას. თუ პირს მიაჩნია, რომ დაირღვა მისი ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებები მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.³

აქტი პირდაპირ არ ადგენს სასამართლოებისა და ტრიბუნალების გარდა, სხვა საჯარო ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებას საჯარო საქმიანობისას იხელმძღვანელონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, თუმცა საჯარო საქმიანობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო (ტრიბუნალი) კანონიერების შემოწმებისას ხელმძღვანელობს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.

ევროპული კონვენციით აღიარებული უფლების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოს (ტრიბუნალს) შეუძლია მიმართოს მხოლოდ ამ დარღვევის მსხვერპლმა. აქტის და ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, მსხვერპლად მიიჩნევა ნებისმიერ პირი, პირთა ჯგუფი ან არასამთავრობო ორგანიზაცია რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლი.⁴

თუ გაერთიანებული სამეფოს სასამართლო დაადგენს, რომ საჯარო ხელისუფლების ორგანოს მოქმედებით დაირღვა კონვენციით აღიარებული უფლება, მას შეუძლია უფლების დარღვევის მსხვერპლი უზრუნველყოს სხვადასხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებებით, მიაკუთვნოს ზიანის ანაზღაურება, გააუქმოს მიღებული უკანონო გადაწყვეტილება, გაათავისუფლოს პირი ბრალდებისაგან, გააუქმოს განაჩენი, აუკრძალოს საჯარო ხელისუფლების ორგანოს მოქმედების განხორციელება და სხვა.⁵

¹ Poplar Housing and Regeneration Community Association Ltd v Donoghue [2001] EWCA Civ 595.

² Department for Constitutional Affairs, A Guide to the Human Rights Act 1998: Third Edition, October 2006, page. 9.

³ Human Rights Act 1998, section 7 (1).

⁴ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 34.

⁵ Department for Constitutional Affairs, A Guide to the Human Rights Act 1998: Third Edition, October 2006, page. 8.



სასამართლომ ზიანის ანაზღაურების მიკუთვნებისას უნდა გაითვალისწინოს ფინანსური დანაკარგები, მიუღებელი ანაზღაურება, გადახდილი ჯარიმები, ქონების ფასის დაცემა, ხელიდან გაშვებული დასაქმების შანსი და სხვა მსგავსი ფაქტორები. ზიანი ასევე შეიძლება მიკუთვნებული იქნეს საჯარო ხელისუფლების უკანონო მოქმედებებით გამოწვეული მდელვარების და სულიერი განცდების გამო, თუმცა სასამართლოები როგორც წესი ძალიან ფრთხილობენ ამ სახის ზიანის ანაზღაურებისას.¹

ზიანის მოცულობის განსაზღვრისას გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ კონვენციის 41-ე მუხლთან მიმართებაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტები.

აღსანიშნავია გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობისა და კონვენციის უფლებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევების რეგულირების თავისებურებები. აქტი ბრიტანეთის კანონმდებლობას ჰყოფს ორ ნაწილად: პირველად კანონმდებლობად, რომელიც ძირითადად პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისაგან (სტატუტებისაგან) შედგება და ქვემდებარე კანონმდებლობად, რომელიც გამოიცემა დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე სხვადასხვა საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ პირველადი კანონმდებლობის აღსასრულებლად.

იმ შემთხვევაში თუ ქვემდებარე კანონმდებლობა წინააღმდეგობაში მოდის კონვენციასთან, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ან არ გამოიყენოს ის საქმის განხილვისას.

აქტის მე-6 მუხლის თანახმად, საჯარო ხელისუფლების ორგანოს მოქმედება ან გადაწყვეტილება არ ჩაითვლება უკანონოდ თუ მან მოქმედების განხორციელებისას არ გაითვალისწინა კონვენციით აღიარებული უფლებები, მხოლოდ იმიტომ, რომ მას გაერთიანებული სამეფოს ძირითადი კანონმდებლობა არ აძლევდა სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას.² თუმცა ამგვარი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანას ემსახურება აქტის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად, თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას საჯარო ხელისუფლების ორგანოებმა, თუ ეს შესაძლებელია, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა უნდა განმარტონ ფართოდ ევროპული კონვენციით აღიარებულ უფლებებთან შესაბამისობაში.

აღსანიშნავია ორი მოსაზრება კანონმდებლობის ფართოდ განმარტების საზღვრებთან დაკავშირებით. ლორდ სტეინის აზრით, თუ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონით (სტატუტით) პირდაპირ არ არის ევროპული კონვენციის უფლებები შეზღუდული, მაშინ სასამართლომ ამ კანონის ნორმები უნდა განმარტოს ფართოდ კონვენციის უფლებებთან შესაბამისობაში.³ ლორდ ჰოუფის აზრით იმის გადაწყვეტისას უნდა იქნეს თუ არა კანონის ფართოდ განმარტება გამოყენებული, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კანონის (სტატუტის) ნორმების მნიშვნელობა და მისი მიზანი მთლიანობაში, რათა

¹ Department for Constitutional Affairs, A Guide to the Human Rights Act 1998: Third Edition, October 2006, page. 10.

² Human Right Act, section 6 (2).

³ R. v A [2001].



თავიდან იქნეს აცილებული კანონმდებლობისათვის ისეთი მნიშვნელობის მინიჭება, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლის ნებას.¹

როდესაც კანონმდებლობა იმდენად აშკარად ეწინააღმდეგება კონვენციით აღიარებულ უფლებებს, რომ კანონმდებლობის ფართო განმარტება შეუძლებელია, მაღალი ინსტანციის სასამართლოებს აქვთ კანონმდებლობის კონვენციასთან შეუსაბამობის თაობაზე განაცხადის გაკეთების უფლებამოსილება. ამ მოქმედებას იურიდიულ ლიტერატურაში „უფლებების დაცვის უკანასკნელი იმედის საშუალებად“ მოიხსენიებენ.

საქმეში *Wilson v First Country Ltd* სასამართლომ დაადგინა, რომ თუ კანონმდებლობის ნორმა მოიცავს „შეუმცირებელ მინიმალურ მოთხოვნას“ რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კონვენციით აღიარებულ უფლებებთან, მაშინ სასამართლო იძულებულია გააკეთოს განაცხადი შეუთავსებლობის თაობაზე.

სასამართლოს მიერ კანონმდებლობის კონვენციასთან შეუსაბამობის თაობაზე განაცხადის გაკეთება თავისთავად არ იწვევს კანონმდებლობის მოქმედების შეჩერებას ან გაუქმებას, ასევე არ აუქმებს მის საფუძველზე განხორციელებულ მოქმედებებს. თუმცა კანონმდებლობის კონვენციასთან შეუსაბამობის თაობაზე განაცხადის გაკეთების შემდეგ მინისტრი (კონკრეტულ სფეროში საკანონმდებლო ინიციატივის მქონე), თუ ის ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოსცემს გამომასწორებელ ორდერს. გამომასწორებელი ორდერის გამოცემა გულისხმობს კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების პროექტის წარდგენას პარლამენტისათვის, რომელიც აღმოფხვრის კონვენციის უფლებებთან შეუსაბამობას. თუ მინისტრის არ ეთანხმება სასამართლოს განაცხადს შეუთავსებლობის თაობაზე, სასამართლოს თანხმობით შეუძლია გაასაჩივროს მაღალი ინსტანციის სასამართლოში.

კონვენციისა და დანარჩენი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას ემსახურება ადამიანის უფლებათა აქტის მე-19 მუხლი, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივის მქონე მინისტრს, პარლამენტისათვის კანონპროექტის წარდგენისას ავალდებულებს ამტკიცოს პარლამენტის წინაშე კანონპროექტის შესაბამისობა კონვენციით აღიარებულ უფლებებთან (განაცხადი კონვენციასთან შესაბამისობის თაობაზე).

აღსანიშნავია ევროპული კონვენციის გავლენა გაერთიანებული სამეფოს სამართლის წყაროს - სასამართლო პრეცედენტის ფორმირებაზე. სასამართლოს პრეცედენტი არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების შედეგი და არ აქვს მნიშვნელობა სამართლის რომელ მიმართულებას არეგულირებს საჯაროს თუ კერძოს, ის უნდა შეესაბამებოდეს კონვენციით აღიარებულ უფლებებსა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს.

ევროპული კონვენციის უფლებების ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად აღიარებამ, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საჯარო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობამ, სამართლის წყაროების შექმნისას კონვენციით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინების ვალდებულებამ გაერთიანებული სამეფოში შექმნა ადამი-

¹ Francesca Klug, JUDICIAL DEFERENCE UNDER THE HUMAN RIGHTS ACT 1998, Professorial Research Fellow, Centre for the Study of Human Rights, LSE, pg.4



ანის უფლებათა დაცვის ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმი. პირს რომელსაც მიაჩნია, რომ მისი უფლება დაირღვა შეუძლია სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით დაიცვას თავისი უფლებები კონვენციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში, ამასთან, მას აქვს უფლება შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის შემდგომ მიმართოს ევროპულ სასამართლოს.

ლიტერატურა
Literature
Литература

1. Human Rights Act 1998;
2. JUDICIAL DEFERENCE UNDER THE HUMAN RIGHTS ACT 1998, Francesca Klug, Professorial Research Fellow, Centre for the Study of Human Rights, LSE;
3. Department for Constitutional Affairs, A Guide to the Human Rights Act 1998: Third Edition, October 2006;
4. R. v A [2001];
5. ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ მესამე ნომერი;
6. კონსტანტინე კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, 2007 წელი;
7. Poplar Housing and Regeneration Community Association Ltd v Donoghue [2001] EWCA Civ 595;
8. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

რ ე ზ ი უ მ ე

ადამიანის უფლებების დაცვა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში

ლევან ლატარია

სტატია მიმოიხილავს გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის მიერ მიღებულ „ადამიანის უფლებათა აქტს“, რომელიც განსაზღვრავს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ადგილს ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში, კონვენციით გარანტირებულ უფლებათა დაცვის მექანიზმებს და გამოყენების პირობებს გაერთიანებული სამეფოს საჯარო ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობისას.



S U M M A R Y

PROTECTION OF HUMAN RIGHTS IN THE UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND

LEVAN LATARIA

“Human Rights Act” adopted by the Parliament of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland is reviewed under the article. The relevant Act determines the place of “the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms” and the judicial precedents of European Court of Human Rights in the legal system of the country. In addition, the Act defines the protection mechanisms and conditions of exercise of the rights guaranteed under the Convention in co-operation with public authorities of the United Kingdom.

Р Е З Ю М Е

ЗАЩИТА ПРАВ ЧЕЛОВЕКА В СОЕДИНЕННОМ КОРОЛЕВСТВЕ ВЕЛИКОБРИТАНИИ И СЕВЕРНОЙ ИРЛАНДИИ

ЛЕВАН ЛАТАРИА

Статья обзореваает закон "О правах человека" принятый Парламентом Соединённого Королевства Великобритании и Северной Ирландии. Законом "О правах человека" установлено место "Европейской конвенции о защите прав человека и основных свобод" и прецедентного права Европейского суда по защите прав человека в правовой системе страны. Дополнительно, Закон устанавливает механизм защиты и условия осуществления прав человека гарантированных Конвенцией в процессе взаимоотношения с органами государственной власти Соединённого Королевства.



წინასახელშეკრულებო ეტაპის ზოგადი თეორიული მოდელი ფრენშიაზინგულ ურთიერთობაში

თამილა ხურციამ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

წინასახელშეკრულებო ეტაპი ეს არის ძირითადი ხელშეკრულების მომზადების პერიოდი. ხანგრძლივი სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს მხარეები არც თუ იშვიათად სწორედ ამ ეტაპზე აფორმებენ წინარე ხელშეკრულებას, რომელიც სახელშეკრულებო კონტრაქტების იძულების სამართლებრივი საფუძველია და უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადებად [1.327.3]

ფრენშიაზინგული ურთიერთობა - ურთიერთობა, რომელიც რეგულირდება შესაბამისი ნორმებით და რომლის მონაწილე მხარეები ფრენშიაზინგული და ფრენშიაზინგული ერთმანეთთან არიან დაკავშირებული ფრენშიაზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კუთვნილი უფლებებითა და შემოღობვა ვალდებულებებით. ფრენშიაზინგული ურთიერთობა აღმოცენდება ფრენშიაზინგის ხელშეკრულების საფუძველზე.

ფრენშიაზინგის ხელშეკრულება - ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ფრენშიაზინგის ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარე-ფრენშიაზინგის, განსაკუთრებულ (ექსკლუზიური) უფლებათა კომპლექსის მფლობელი გადასცემს მეორე მხარეს - ფრენშიაზინგის სასყიდლიანად განსაკუთრებულ უფლებათა კომპლექსს სარგებლობაში შეზღუდულ საფრანშიზო ტერიტორიაზე იმ ვადებით და იმ პირობებით, რომლებიც შესაბამისი ხელშეკრულებითაა განსაზღვრული.

განსაკუთრებული (ექსკლუზიური) უფლებების კომპლექსი - უფლებები ინტელექტუალური საკუთრების რიგ ობიექტებზე (სავაჭრო ნიშანი, საფირმო სახელწოდება, მომსახურების ნიშანი, პატენტი, დაფარული ინფორმაცია, წარმოების საიდუმლოებანი (ნოუ-ჰაუ); გუდვილი.)

დოქტრინაში წინასახელშეკრულებო ურთიერთობებს ტრადიციულად წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის პრიზმაში განიხილავენ. ზოგადი წესის თანახმად, სათანადო ფორმით ხელშეკრულების დადებამდე მხარეები არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული უფლებებითა და მოვალეობებით. უფრო მეტიც, წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ინსტიტუტი არღვევს საუკუნეებით შემოწმებულ დიქტომიურ (ორმხრივობის) სისტემას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისა, რომელიც რომაულ სამართალს განეკუთვნება.[2-291-300]

თუ გავაანალიზებთ უცხოურ დოქტრინალურ კვლევებს, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ როგორც კონტინენტურ-ევროპულ, ასევე ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში ნათლად შეინიშნება იმის ტენდენცია,



რომ „წინასახელშეკრულებო ეტაპზე ორივე მხარეს დაეკისროს კეთილსინდისიერი ქცევის მოვალეობა, რომლის დარღვევამაც შეიძლება მიგვიყვანოს არაკეთილსინდისიერი მხარისათვის წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრებამდე.“[3-213] წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ფრენშაიზინგულ ურთიერთობებში წარმოადგენს ინფორმაციის გაუცემლობისათვის წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სპეციალურ სახეობას.

საინტერესოა წინასახელშეკრულებო ეტაპის ანალიზი ფრენშაიზინგულ ურთიერთობებში. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ურთიერთობების არსი გულისხმობს, რომ ფრენშაიზინგის (უფლების მქონე) წარმოადგენს პროფესიონალ მეწარმეს (კომერციული ორგანიზაცია ან ინდემწარმე). *A contrario* ფრენშაიზინგის (მოსარგებლე) არ ფლობს აუცილებელ საქმიან გამოცდილებასა და პროფესიულ დონეს, რაც აიძულებს მას მოახდინოს ამ ნაკლის კომპენსირება ფრენშაიზინგის ხელშეკრულების გაფორმებით. მხარეთაგან თითოეული მიისწრაფვის მაქსიმალური მოგების მიღებისკენ, მაგრამ კონტრაჰენტთა ფაქტობრივი უთანასწორობის გამო, რომელთაგან უფრო გამოცდილი და ძლიერი ყოველთვის ფრენშაიზინგია, ფრენშაიზინგული ურთიერთობების სუსტი მხარე ყოველთვის ფრენშაიზინგის აღმოჩნდება ხოლმე. ამიტომ ფრენშაიზინგული ურთიერთობების რეგულირების პროცესში ჩნდება სწორედ ფრენშაიზინგის (მოსარგებლის) დაცვის სამართლებრივი გარანტიების შექმნის პრობლემა.

ფრენშაიზინგული ურთიერთობების მხარეების ფაქტობრივი უთანასწორობა კრიტიკულ დონეს სწორედ წინასახელშეკრულებო ეტაპზე აღწევს. საქმე ის არის, რომ ამ ეტაპზე ერთმანეთს ხვდება ორი ნეგატიური ფაქტორი: პირველი, როგორც უკვე აღინიშნა, - ეს არის არასაკმარისი საქმიანი გამოცდილება ფრენშაიზინგისა (ანუ მოსარგებლისა), რის შედეგადაც ფრენშაიზინგის მხარეზე აშკარა პოზიციური უპირატესობაა. მეორე ფაქტორი, რომელიც დომინანტურ მნიშვნელობას იძენს, მდგომარეობს იმაში, რომ ფრენშაიზინგული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპისათვის არ არსებობს მკაფიო სამართლებრივი რეგლამენტაცია. როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივი ვაკუუმი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ფრენშაიზინგული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო სტადიაზე და სწორედ აქ ხდება აუცილებელი სპეციალური სამართლებრივი რეგლამენტაცია, რათა თავი აეარიდოთ ფრენშაიზინგის (მოსარგებლის) უფლებათა შევიწროვებას და სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უთანასწორობის პრინციპებიდან გადახვევას. ასე მაგალითად, თუ ჩვენ მოვახდენთ ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დადების პროცესის ჰიპოთეზურ მოდელირებას, სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, გამოდის, რომ ფრენშაიზინგის (მოსარგებლემ) უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დადების შესახებ ისე, რომ იხელმძღვანელოს არც თუ საიმედო და სრული ინფორმაციით ფრენშაიზინგის (უფლებამოსილის) და მისი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ და უნდა დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ ინტუიციასა და იმ მონაცემებს, რომლებსაც თავად ფრენშაიზინგის ჩათვლის საჭიროდ, რომ შეატყობინოს. განა შეუძლია ასეთ სამართლებრივ ვაკუუმი ფრენშაიზინგის (მოსარგებლეს) მიიღოს მოტივირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილება ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით და შესაძლებე-



ღია თუ არა ფრენშიზერის გადასაწყვეტი იყოს ინფორმაციის გახსნისა და წარდგენის აუცილებლობა ფრენშიზინგული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპზე? უარყოფითი პასუხი აშკარაა და სწორედ ამიტომ, აუცილებელია, ეფექტური და ქმედითი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, რომელიც შეძლებს მხარეთა თანასწორი მდგომარეობის უზრუნველყოფას ფრენშიზინგული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპზე.

როგორც სამართლის საერთო სისტემაში, ასევე კონტინენტალურში, ფრენშიზის (მოსარგებლის) ინტერესის დაცვის სამართლებრივი მექანიზმის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს ინფორმაციის გახსნისა და მიწოდების აუცილებელი გაყიდვამდელი პრინციპი, რომელიც მოქმედებს წინასახელშეკრულებო ურთიერთობების სტადიაზე.[4-100;69] ამ პრინციპის არსი, თუ მას სქმატურად წარმოვიდგენთ, იმაში მდგომარეობს, რომ ფრენშიზერს (უფლებამოსილს) იმპერატიულად ეკისრება ვალდებულება, გახსნას და მიაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია პოტენციურ ფრენშიზის (მოსარგებლეს) ფრენშიზინგის ხელშეკრულების დადების მომენტამდე.[5] ამგვარად, ფრენშიზერის უშუალო მოვალეობა მდგომარეობს ინფორმაციის გახსნის დოკუმენტის წარდგენაში.

ვიდრე საბოლოოდ ვუპასუხებდეთ კითხვას, ესაჭიროება თუ არა ქართულ სამართლებრივ სისტემას ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი, ინფორმაციის გახსნისა და გადაცემის აუცილებელი გაყიდვამდელი პრინციპი წინასახელშეკრულებო სტადიაზე, აუცილებელია გამოვიკვლიოთ მისი სამართლებრივი ბუნება, რადგან ასეთი კვლევა დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რამდენად ორგანულად ჩაეწერება ჩვენს სამართლებრივ სისტემაში საკვლევი უცხოური კონსტრუქცია.

წინასახელშეკრულებო ეტაპი საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩვეულებრივად რეგლამენტირებულია ფრენშიზინგის შესახებ არსებული სპეციალური კანონმდებლობით (ინფორმაციის გახსნისა და მიწოდების აუცილებელი გაყიდვამდელი პრინციპის პირდაპირი მიმავრებით ფრენშიზინგული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპზე).[6] რომელშიც იმპერატიულად დადგენილია ფრენშიზერის ვალდებულება, გახსნას და მიაწოდოს ინფორმაცია ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადების მომენტამდე. ეს ვალდებულება ამოდის იმ ფაქტიდან, რომ პოტენციური ფრენშიზი (და ეს თავისი სამართლებრივი ბუნებით იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედებაა) ჯერ კიდევ სახელშეკრულებო სამართალურთიერთობებში შესვლის მომენტამდე მეორე მხარესთან უკვე დაკავშირებულია უფლებებითა და ვალდებულებებით და აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ განსაკუთრებული წინასახელშეკრულებო ფრენშიზინგული სამართალურთიერთობების წარმოქმნაზე, ამასთან, განსახილველი სამართალურთიერთობა ატარებს ცალმხრივ - ვალდებულებით ხასიათს: პოტენციური ფრენშიზის უფლება, მიიღოს ინფორმაცია, შესაბამისად მოითხოვს ფრენშიზერის ვალდებულებას, გახსნას და მიაწოდოს ინფორმაცია.

ამგვარად, წინასახელშეკრულებო ფრენშიზინგული სამართალურთიერთობების შინაარსი გულისხმობს პოტენციური ფრენშიზერის ვალდებულებას, გახსნას და მიაწოდოს ინფორმაცია. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის მექანიზმი (ზოგიერთ



უცხოურ ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში ჩადებულია დარგთაშორისი პასუხისმგებლობის მექანიზმი, რომელიც შეიცავს როგორც კერძო სამართლებრივი, ასევე საჯარო-სამართლებრივი ხასიათის ნორმებს).[7] (საფრანგეთი, იტალია)

წინასახელშეკრულებო ფრენშაიზინგული სამართალურთიერთობების მიზანს წარმოადგენს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დადება, თუმცა წინასახელშეკრულებო სამართალურთიერთობა არსებობს ”განცალკევებით” თვით ფრენშაიზინგის ხელშეკრულებისგან, მისი აღმოცენება წინასწარ არის განსაზღვრული პოტენციური ფრენშაიზის მიმართვის ფაქტით და შემდგომში ხელშეკრულების დადება ან არდადება ვერ მოახდენს გავლენას წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, ანუ მხარეებმა შემდგომში რომც არ გააფორმონ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, თუ ამ დროს ადგილი ჰქონდა ინფორმაციული ვალდებულების დარღვევას პოტენციური ფრენშაიზერის მხრიდან, პასუხისმგებლობის დადგენილი მექანიზმი იმპერატიულად მოქმედებს. წინასახელშეკრულებო ფრენშაიზინგული სამართალურთიერთობის არსებობის ვადა განისაზღვრება ორი ფაქტორით: პოტენციური ფრენშაიზერის საინფორმაციო ვალდებულების არსებობის ვადითა და, აგრეთვე, პოტენციური ფრენშაიზის მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის რეჟიმის დაცვის ვადით (რომელიც მხარეების შეთანხმებით დგინდება), ამ ვადების გასვლისას ან ვალდებულების შესრულებისას წინასახელშეკრულებო სამართალურთიერთობა წყდება.

აუცილებელია, ფრენშაიზერის (უფლებამოსილის) საინფორმაციო ვალდებულების უფრო დეტალური ანალიზი. ეს ვალდებულება რეალიზდება ინფორმაციის გახსნის შესახებ დოკუმენტის წარდგენით. თავისი სამართლებრივი ბუნებით დოკუმენტი ინფორმაციის გახსნაზე დიდ მსგავსებას ავლენს ოფერტასთან. მიზანშეწონილია, მოვახდინოთ ოფერტის განსაზღვრა და მისი აუცილებელი ელემენტები. შევადაროთ ის დოკუმენტს ინფორმაციის გახსნაზე: თავისი სამართლებრივი ბუნებით ოფერტი წარმოადგენს მხარის ნების გამოხატვას ხელშეკრულების დადებაზე, ეს არის აღიარებული, ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ გაკეთებული შეთავაზება, რომელიც საკმარისად გარკვეულად გამოხატავს შეთავაზების გამკეთებელი პირის განზრახვებს. ამ წინადადებით იგი თვლის, რომ ხელშეკრულება დადო ადრესატთან, რომელმაც მიიღო წინადადება. ოფერტში განისაზღვრება ხელშეკრულების არსებითი პირობები [1-მ.329]. მოცემული განმარტებიდან გამომდინარეობს ის, რომ ოფერტა უნდა იყოს საკმაოდ გარკვეული და გამოხატავდეს ოფერენტის სურვილს, აქცეპტის შემთხვევაში გააფორმოს ხელშეკრულება. ინფორმაციის გახსნის დოკუმენტის არსის ანალიზისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ოფერტის ისეთი ნიშანი, როგორიცაა ”გარკვეულობა”, უდავოდ ახასიათებს დოკუმენტსაც ინფორმაციის გახსნაზე. უფრო მეტიც, ფრენშაიზინგის შესახებ სპეციალური კანონმდებლობა ჩვეულებრივად ადგენს არა მხოლოდ ზოგად მოთხოვნას, რომ ფრენშაიზერმა გახსნას და მიაწოდოს ინფორმაცია ფრენშაიზს, არამედ საუბარია ინფორმაციის დეტალურ და ამომწურავ ჩამონათვალზე, რომელიც ექვემდებარება გახსნას, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობის ჩათვლით.



უდავოა, რომ, როდესაც ფრენშიაზერი პოტენციურ ფრენშიაზს გადასცემს დოკუმენტს ინფორმაციის გახსნის შესახებ, ამით ის გამოხატავს თავის ნებას ფრენშიაზინგის ხელშეკრულების დადებაზე, უფრო მეტიც, ფრენშიაზინგული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივი რეგლამენტაციის ყველა არსებულ თანამედროვე მოდელში, ინფორმაციის გახსნის დოკუმენტის შინაარსში აუცილებლად იდება თვით ხელშეკრულების ტექსტი, ხოლო ოფერტის დოქტრინალური განსაზღვრება დიდწილად ემთხვევა სსკ-ის მუხლ 329-ის კომენტარში მოცემულ განსაზღვრებას: ”ოფერტი არის ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების შეთავაზება, ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარისაგან მის მიღებას“, და რომელიც გულისხმობს კანონით დადგენილ სამართლებრივ შედეგებს, როგორც მისთვის, ვისგანაც ის მომდინარეობს (ოფერენტი), ასევე ადრესატისთვის (აქცეპტანტი)”. [8-196] ოფერტის ინდივიდუალური ნიშნები დოქტრინალური ინტერპრეტაციით ფართოვდება: პირველი ნიშანი - ოფერტის გარკვეულობა - მისგან ადრესატმა უნდა გააკეთოს სწორი დასკვნა ოფერენტის ნებასთან დაკავშირებით; მეორე - ოფერტის მიმართულობა - ანუ, ის უნდა გამოხატავდეს იმ პირის სურვილს, რომელიც გამოდის შეთავაზებით და უნდა თვლიდეს, რომ დადო ხელშეკრულება გარიგებაში მითითებული პირობებით ადრესატთან ამ უკანასკნელის მიერ შეთავაზების მიღების შემთხვევაში. მესამე - ოფერტის შინაარსი - ოფერტა უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების არსებით პირობებს; და მეოთხე - ოფერტის ადრესატი [8-196-197] (უნდა ჩანდეს, ვის მიმართ არის გაკეთებული ოფერტა).

ინფორმაციის გახსნაზე დოკუმენტის ანალიზისას შეიძლება დავასკვნათ, რომ მას ახასიათებს ოფერტის ოთხივე მაინდივიდუალიზებული ნიშანი: გარკვეულობა, მიმართულობა და შინაარსი, რაც უკვე ითქვა; რაც შეეხება ადრესატს, ინფორმაციის გახსნის შესახებ დოკუმენტი ყოველთვის მიმართულია პოტენციური ფრენშიაზისკენ.

აქედან გამომდინარე, ინფორმაციის გახსნის დოკუმენტს ახასიათებს ”კლასიკური ოფერტის” ყველა ნიშანი, თუმცა ინფორმაციის გახსნის დოკუმენტის შინაარსი ფრენშიაზინგული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივი რეგლამენტაციის ყველა მოდელში რეგულირდება ფრენშიაზინგის შესახებ სპეციალური კანონმდებლობით (ანუ ასეთი ოფერტის შინაარსი იმპერატიული ნორმებით არის განსაზღვრული). ამიტომ შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: ინფორმაციის გახსნის დოკუმენტი თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს ოფერტას, მაგრამ ”განსაკუთრებული სახის ოფერტას” – ”ოფერტას იმპერატიული საწყისით”.

ამგვარად, ინფორმაციის გახსნისა და მიწოდების გაყიდვამდელი აუცილებელი პრინციპი ფრენშიაზინგული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპზე აბსოლუტურად ჯდება ხელშეკრულების დადების კლასიკურ კონცეფციაში ოფერტის შინაარსის მიმართ უმნიშვნელო დაზუსტებების მიხედვით. ეს შესაძლებლობას გვაძლევს, დადებითი პასუხი გავცეთ კითხვას, საკვლევი სამართლებრივი კონსტრუქციის სესხების შესაძლებლობაზე, მითუმეტეს, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს მოქმედი კანონმდებლობის კარდინალური რეფორმირების აუცილებლობა.



ლიტერატურა
Literature
Литература

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.თბილისი.2010.
2. Zweigen Kotz.Introduction to Comparative Law,Vol.II(T.Weir trans.2ed 1987).
3. Кучер А.Н. Теория и практика преддоговорного этапа :юридический аспект. М. Статут, 2005.
4. 1)Развитие концепции правового регулирования франчайзинговых отношений зарубежный опыт // Вестн. Моск. Ун- та. Сер. 11, Право. 2007. №6.
2) Модельный закон УНИДРУА о раскрытии информации по договору франчайзинга // Законодательство. 2008 .№2 .
5. სპეციალური კანონმდებლობა ფრენშიზინგის შესახებ, რომელიც არეგულირებს ფრენშიზინგულ ურთიერთობებში წინასახელშეკრულებო ეტაპს და ითვალისწინებს ფრენშიზინგის ვალდებულებას ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის გახსნის შესახებ, უკვე არსებობს ბევრ ქვეყანაში, სახელდობრ, ა.შ.შ, ავსტრალია, ბელგია, რუმინეთი, ესპანეთი, იაპონია, საფრანგეთი, მექსიკა, იტალია და სხვა.
6. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა ფრენშიზინგის შესახებ,რომელიც არეგულირებს წინასახელშეკრულებო ეტაპს:Италия : Norme per l'affiliazione della disciplina commerciale del 21 aprile 2004 (It); Франция : Loi №89-1008 du 31 decembre 1989,dite „ LOi Doubin”,Decret №91-337 4 avril 1991,Arrete du 21 fevrier 1991(fr); Испания : La Ley 7/1996 de 15 dt enero de Ordenacion del Comercio Minorista ,Real Decreto 2485/1998 (Es) Бельгия :Loi relative a l' information precontactuelle le carde d' accords de partenariat commercial du 19decembre 2005 (Fr) //Wet betreffende de precontractuele informatie bij commerciele samenwerkings overeen komsten-19 desember 2005(Du).
7. დარგთაშორისი პასუხისმგებლობის მექანიზმი წინასახელშეკრულებო ეტაპზე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საფრანგეთში და იტალიაში.
8. Брагинский М. И., Витрианский В.В. Договорное право .Книга первая: Общие положения. 2-е изд., испр. М. Статут, 1999.



რ ე ზ ი უ მ ე

**წინასახელშეკრულებო ეტაპის ზოგადი თეორიული მოდელი
ფრენშაიზინგულ შრტიერთობებში**

თამილა ხურციძე

სტატიაში „წინასახელშეკრულებო ეტაპის ზოგადი თეორიული მოდელი ფრენშაიზინგულ შრტიერთობებში“ წარმოდგენილია ფრენშაიზინგის ხელშეკრულების წინასახელშეკრულებო ეტაპის ანალიზი, ყურადღებაა გამახვილებული წინასახელშეკრულებო ეტაპზე ფრენშაიზის სამართლებრივი გარანტიების არარსებობაზე. მოცემულია ფრენშაიზის სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ინფორმაციის გახსნისა და მიწოდების გაყიდვამდელი პრინციპის სახით, განხილულია ამ პრინციპის სამართლებრივი ბუნება იმისათვის, რომ გავაანალიზოთ რამდენად ორგანულად ჩაეწერება ეს პრინციპი ჩვენს სამართლებრივ სისტემაში.

S U M M A R Y

**PRE- AGREEMENT COMMON THEORETICAL MODEL
IN A FRANCHISE BUSINESS**

TAMILA KHURTSIDZE

Article under the title of "Common theoretical model of Pre-contract agreements in a franchise business" represents analysis techniques concerning pre-contract stage and scarcity of Franchisee Legislative Guarantees. The key in franchise business is the legislative instrument in shape of presale information. Disclosure and provision principles on the initial stage of Pre-Contract Agreement and crucial point around this issue how acceptable it is for local legislative system.

Р Е З Ю М Е

**ОБЩАЯ ТЕОРЕТИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ ПРЕДДОГОВОРНОГО ЭТАПА
В ФРЕНЧАЙЗИНГОВЫХ ОТНОШЕНИЯХ**

ТАМИЛА ХУРЦИДЗЕ

В статье анализируется преддоговорный этап в френчайзинговых отношениях, обращается внимание на отсутствие правовых гарантий френчайзинга на преддоговорном этапе, рассматривается инструмент правового механизма защиты интересов френчайзинга, принцип обязательного предпродажного раскрытия и предоставления информации, действующий на стадии преддоговорных отношений, а также характеризуется правовая природа этого принципа для того, чтобы проанализировать насколько органично впишется в грузинскую правовую систему эта зарубежная конструкция.



MAXIMUM LEVEL OF DIFFERENT AGE JUDOKA'S PHYSICAL DEVELOPMENT AFTER A YEAR OF SYSTEMATIC TRAINING

GIORGI ZUBITASHVILI

**PHD STUDENT IN SPORT SCIENCES AT THE SCHOOL OF GRADUATE STUDIES,
ILIA STATE UNIVERSITY**

Researches indicate that the optimal age for starting judo is between 9 - 10 years of age. Before this age, learning judo techniques is not an aim for itself, and it should serve the basic needs of developing general physical abilities for kids [10]. In this period, the child's psycho-physical development is going on actively and the process of his personality and the formation is not finished.

If not to take into consideration preliminarily a teenager's body real possibilities for the chosen type of sport, for which the success requires existence of particular physical skill optimal level, some small success is possible on the background of long and hard training, but high sports results can hardly be achieved in such cases.

Achievement of the desired result may be also hindered in the case when a sportsman's body function does not match the training process exercise complexity. Even identical training process affects differently not only the different data holders, but also two sportsmen with equal but physical abilities. Considering that judokas differ from each other by sex, age, weight, length of training, physical data and training level [4] – in conditions of a standard load their body functional response and recovery process is going on in different ways [5]. Therefore, in the case of the same load, exercise coefficient of efficiency for one trainee may be the best, good for second and the negative for the third one.

Because of these problems, the issue is set forward: how to plan the training-learning classes from the very first day, taking into consideration sportsmen's age, training level, certain bio motor abilities, sex and other data [1], closely linked with the factor of individual possibilities.

The aim of our study was to determine maximum level of different age judokas' bio motor abilities (strength of hand grip and strength of trunk) and functional possibilities (lung vital capacity).

The methods applied in the research were the following: analysis of literature, pedagogical observation (testing of physical and functional abilities) and statistical analysis (Microsoft Excel).

The research was conducted in 2009-2010 on training Georgian judokas and divided into following age groups: I (8-10 year.), II (11-13 year.), III (14-16 year.) and IV (17-20 year.). In order to solve the problem with regard of age aspect, 75 male judokas were selected by randomization, which composed the aforementioned age groups: 20 judokas in each group made the first three groups and 15 judokas in the fourth one.

The obtained results are based on 2009-2010 test results are presented in first, second and third tables, where the four best results obtained during one year in strength of hand grip,



strength of trunk and lung vital capacity increase in kilograms and litres are given for each age group. The difference between I (2009) and II (2010) test data of the persons under experiment was expressed in percentage. The average arithmetic datum for each table is calculated for each age group and given in the right graph.

Table 1

Strength of hand grip (kg.)														
The four best results→		1			2			3			4			AVERAGE %
2009 (I) and 2010 (II) results→		I	II	%	I	II	%	I	II	%	I	II	%	
age groups	I (8-10)	13	19	46.2	10	14	40	10	14	40	12	16	33.3	39.9
	II (11-13)	22	30	36.4	24	32	33.3	19	25	31.6	19	24	26.3	31.9
	III (14-16)	34	43	26.5	36	44	22.2	34	41	20.6	38	44	15.8	21.3
	IV (17-20)	38	41	7.9	41	44	7.3	56	60	7.1	32	34	6.3	7.2

Table 2

Strength of trunk (kg.)														
The four best results→		1			2			3			4			AVERAGE %
2009 (I) and 2010 (II) results→		I	II	%	I	II	%	I	II	%	I	II	%	
age groups	I (8-10)	48	70	45.8	43	61	41.9	46	64	39.1	54	75	38.9	41.4
	II (11-13)	92	125	35.9	54	72	33.3	68	90	32.4	103	135	31.1	33.2
	III (14-16)	72	90	25	134	164	22.4	130	159	22.3	111	135	21.6	22.8
	IV (17-20)	112	124	10.7	177	195	10.2	234	254	8.5	98	106	8.2	9.4

Table 3

Lung vital capacity (litres.)														
The four best results→		1			2			3			4			AVERAGE %
2009 (I) and 2010 (II) results→		I	II	%	I	II	%	I	II	%	I	II	%	
age groups	I (8-10)	1.1	1.7	54.5	1.2	1.8	50	1.4	1.9	35.7	1.9	2.5	31.6	43
	II (11-13)	1.7	2.3	35.3	2	2.7	35	2	2.7	35	2.9	3.9	34.5	35
	III (14-16)	2.2	2.8	27.3	2.8	3.5	25	3.2	4	25	2.7	3.3	22.2	24.9
	IV (17-20)	3.7	4.3	16.2	3.8	4.3	13.2	4.6	5.2	13	4	4.5	12.5	13.7



Based on the obtained results we made up a figure1.




Figure 1

Hand grip Strength, trunk strength and lung vital capacity maximum growth rates in average for each group.

Our results did not match the data, obtained by D. Chitashvili (2005) with different research method, in highly qualified judokas where increase of trunk strength was determined not at the different training year as we did, but during a particular training day, before the exertion and thereafter. According to the results of this research, strength of trunk increased in average by 30 kg.

What is special, our data in each age groups by certain regulation is related with the results recorded in to other age groups.

Method of selection of judokas with better sports data (prospective) and obtained results acquires the importance of informational datum for a judo coach, by which maximum rates of physical ability and functional development during a year in judokas of different age and abilities may be defined preliminarily and determine level of his current physical and functional development.

Results of the research may be used in practice, if the level of result improvement of a certain age judoka during a year is compared with results obtained by us corresponding statistical datum (data) and weaknesses of his physical and functional characteristics are defined. Reasoning from the analysis of the obtained data, it becomes possible to give a recommendation to a coach, to correction of which physical and functional data he should focus on, taking into account a judoka's age and athletic abilities.



ლიტერატურა
Literature
Литература

1. Banovic, I. (2001). Possible judo performance prediction based on certain motor abilities and technical knowledge (skills) assessment. *Kinesiology (Zagreb)*, 33(2), 191-206.
2. Leyk, D., Gorges, W., Ridder, D. et al. (2007). Hand-grip strength of young men, women and highly trained female athletes. *European Journal of Applied Physiology*, 99 (4), 415-421.
3. Pedro, J. (2001). *Judo Techniques & Tactics*. United State: Human Kinetics.
4. Волков Л.В. (1998). *Спортивная подготовка детей и подростков*. Wiesz. Kijów.
5. ჩიტაშვილი, დ. (2005). *კარდიო-რესპირატორული და კუნთოვანი სისტემების ფუნქციონირება ფიზიკური დატვირთვების დროს*. თბილისი: მეცნიერება.
6. დ. ჩიტაშვილი, ე. კორინთელი, გ. ზუბიტაშვილი, ნ. ბერიანიძე, (2010). სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ფიზიკური თვისებებისა და ფუნქციური მაჩვენებლების კორელაციის საკითხები. *ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა*, 4(59), 85-88.
7. დ. ჩიტაშვილი, გ. ზუბიტაშვილი, ე. კორინთელი, (2010). ბავშვთა სპორტული პროფორიენტაციის კრიტერიუმები. *საქართველოს მენიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ბიომედიცინის სერია)*, 36 (5-6), 373-380.
8. გ. ზუბიტაშვილი, (2010). საწვრთნო პროცესის რეგულირება. *საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 11, 167-172.
9. გ. ზუბიტაშვილი, დ. ჩიტაშვილი, (2011). ძიუდოს სპორტული ოპტიმიზაციის საკითხები. *ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა*, 3, 57-60.
10. <http://www.budokan.org.il/Pages/articleEng-general-whykids.html>



S U M M A R Y

MAXIMUM LEVEL OF DIFFERENT AGE JUDOKA'S PHYSICAL DEVELOPMENT AFTER A YEAR OF SYSTEMATIC TRAINING

GIORGI ZUBITASHVILI

The scientific work refers to most pressing problems, such as perspective judoka's selection by evaluating their maximal level of bio motor abilities and functional systems.

In the work, for development of training process, the data of all age sportsmen is studied complexly, taking into account bio-motor (strength of hand grip and trunk) and functional abilities (lung vital capacity).

რ ე ზ ი უ მ ე

სხვადასხვა ასაკის ძიუდოისტთა ფიზიკური განვითარების მაქსიმალური დონე ერთწლიანი სისტემატური მარჯიშის შემდეგ

გიორგი ზუბიტაშვილი

სტატია ეხება ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორც არის პერსპექტიულ ძიუდოისტთა შერჩევა მათი ფიზიკური თვისებებისა და ფუნქციური მონაცემების მაქსიმალური ზღვარის გამოვლენის მიხედვით.

თემაში საწვრთნო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შედეგები გაანალიზებულია კომპლექსურად, ყველა ასაკის სპორტსმენის ფიზიკური თვისებისა (ხელის ძალა და წელის ძალა) და ფუნქციური მონაცემის (ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა) გათვალისწინებით.

Р Е З Ю М Е

МАКСИМАЛЬНЫЙ УРОВЕНЬ ФИЗИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ДЗЮДОИСТОВ РАЗНЫХ ВОЗРАСТОВ ПОСЛЕ ГОДИЧНЫХ СИСТЕМАТИЧЕСКИХ ТРЕНИРОВОК

ГИОРГИ ЗУБИТАШВИЛИ

Научная работа затрагивает весьма актуальную проблему, каковой является выбор перспективных дзюдоистов исходя из проявления ими максимально предельных физических качеств и функциональных данных.

В работе, для развития учебного процесса, результаты проанализированы комплексно, для спортсменов разных возрастов, с учетом био-двигательных (прочность сцепления руки и туловище) и функциональных возможностей (жизненная емкость легких).



სითხის ნაკადის ბავლენა სწორი წიბოს ეფექტურობაზე

გიორგი ბურჯალიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის დოქტორანტი

ოთარ ფურცელაძე


ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ზედაპირული თბომცველი აპარატების თბოტექნიკური მახასიათებლები ბევრად დადამოკიდებულია გაწიბოვებული ზედაპირის ეფექტურობაზე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია წიბოს ზედაპირზე სითხისა და მასის ცვლის კოეფიციენტებზე, წიბოს მასალაზე, მის ფორმასა და გეომეტრიულ ზომებზე. წიბოს ზედაპირზე სითხის ორგანიზებული ნაკადის შემთხვევაში ამ ფაქტორებს ემატებათ სითხის ხარჯი, მისი საწყისი პარამეტრები და ნაკადის მიმართულება. აქტუალურია ჰაერსა და გაწიბოვებულ ზედაპირს შორის სითხისა და მასის ცვლის მექანიზმის შესწავლა წიბოს ზედაპირზე ტემპერატურის განაწილების გამოკვლევის საშუალებით სითხის ორგანიზებული ნაკადის სხვადასხვა მიმართულებით, ხარჯისა და საწყისი პარამეტრების შემთხვევაში.

ნაშრომში /1/ განხილულია შემთხვევა, როცა სითხის საწყისი ტემპერატურა ტოლია წიბოს ფუძის ტემპერატურისა და წიბოს ნებისმიერ წერტილში მისი ზედაპირის და სითხის ტემპერატურები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. პრაქტიკისათვის უფრო მნიშვნელოვანია შემთხვევა, როცა სითხის საწყისი ტემპერატურა და წიბოს ფუძის ტემპერატურა სხვადასხვაა და სითხის ტემპერატურა განსხვავდება წიბოს ზედაპირის ტემპერატურისაგან. ამ დროს საჭირო ხდება განხილულ იქნას ორი ვარიანტი: პირველი - როცა წიბოს სისქეში სითხის კონდუქციური ნაკადის მიმართულება ემთხვევა სითხის ნაკადის მიმართულებას და მეორე - როცა ამ ნაკადების მიმართულებები ურთიერთსაწინააღმდეგოა. აღნიშნული ვარიანტების პროცესის მოდელი და კოორდინატთა სისტემა მოცემულია ნახაზზე 1.

ვერტიკალურად განლაგებული სწორი წიბოს ფუძიდან ზემო ნაწილში შემოდის სითხის ორგანიზებული ნაკადი საწყისი ტემპერატურით $T_{\text{ბ}}$, ხარჯით G , სითბოტევადობით C_{pb} . სითხის ნაკადი წიბოს ფუძეზე ღებულობს ტემპერატურას $T_{\text{ბ}(0)}$ და ამ ტემპერატურით იწყებს მოძრაობას წიბოს ქვემო ნაწილზე. წიბოს ფუძის ტემპერატურაა $T_{\text{ფ}}$, სისქე- δ , კვეთის ფართი- f , კვეთის პერიმეტრი- u , სიმაღლე- ℓ , თბოგამტარობის კოეფიციენტი- λ . დაშვებულია, რომ ჰაერის ტემპერატურა $T_{\text{ა}}$, თბოცვლის კოეფიციენტი წიბოს ზედაპირსა და სითხეს შორის $\alpha_{\text{ა}}$, თბოცვლის კოეფიციენტი სითხესა და ჰაერს შორის $\alpha_{\text{ჰ}}$ - მუდმივია.

წიბოს ზემო ნაწილს dx ელემენტისათვის გვექნება შემდეგი თბური განტოლებები:



$$\alpha_v u (\theta_v - \theta_b) dx + C_{pb} G \frac{d\theta_b}{dx} dx = \alpha_3 U \theta_b dx \quad (1)$$

$$\lambda t \frac{d^2 \theta_v}{dx^2} dx = \alpha_v U (\theta_v - \theta_b) dx \quad (2)$$

შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები: $a_2 = \frac{\alpha_v U}{C_{pb} G}$; $a_3 = \frac{\alpha_3 U}{C_{pb} G}$;

$$a_1 = a_2 + a_3; \quad m \sqrt{\frac{\alpha_v U}{\lambda t}}; \quad \theta_v = T_v - T_3; \quad \theta_b = T_b - T_3;$$

დავუშვათ, რომ სხვაობა $\theta_v - \theta_b$ იცვლება შემდეგი ექსპონენციალური კანონით:

$$\theta_v - \theta_b = [\theta_{v0} - \theta_{b(0)}] \exp(-K_1 X) \quad (3)$$

რომელშიც უცნობი სიდიდე K_1 , მოითხოვს ცალკე გამოკვლევას, მაშინ (1) და (2) მიიღებენ სახეს:

$$\frac{d\theta_b}{dx} - a_3 \theta_b = -a_2 [\theta_{v0} - \theta_{b(0)}] \exp(-K_1 X) \quad (4)$$

$$\frac{d^2 \theta_v}{dx^2} = m^2 [\theta_{v0} - \theta_{b(0)}] \exp(-K_1 X) \quad (5)$$

(4)-ს ინტეგრირებით მივიღებთ:

$$\theta_b = [\theta_{v0} - \theta_{b(0)}] \frac{a_2}{a_3 + K_1} \exp(-K_1 X) + C_1 \exp(-a_3 x) \quad (6)$$



როცა $X = \ell$, $\theta_b = \theta_{b_0}$

$$C_1 = \theta_{b_0} \exp(-a_3 \ell) - [\theta_{\varphi_0} - \theta_{b_0}] \frac{a_2}{a_3 + k_1} \exp[-(a_3 + k_1)\ell]$$

$$\theta_b = \theta_{b_0} \exp[-a_3(\ell - x)] + [\theta_{\varphi_0} - \theta_{b_0}] \frac{a_2}{a_3 + k_1} \{ \exp(-k_1 x) - \exp[-a_3(\ell - x) - k_1 \ell] \} \quad (7)$$

სითხის ტემპერატურა წიბოს ფუძეზე გამოითვლება პირობიდან:

როცა $X = 0$, $\theta_b = \theta_{b_0}$ და

$$\theta_{b_0} = \theta_{b_0} \frac{(a_3 + k_1) \exp(-a_3 \ell)}{a_1 + k_1 - a_2 \exp[-(a_3 + k_1)\ell]} + \theta_{\varphi_0} \frac{a_2 \{1 - \exp[-(a_3 + k_1)\ell]\}}{a_1 + k_1 - a_2 \exp[-(a_3 + k_1)\ell]} \quad (8)$$

(8)-ს შეტანით (7)-ში საბოლოოდ მივიღებთ:

$$\theta_b = \theta_{b_0} \exp[-a_3(\ell - x)] + [\theta_{\varphi_0} - \theta_{b_0} \exp(-a_3 \ell)] \frac{a_2 [\exp(-k_1 x) - \exp[-a_3(\ell - x) - k_1 \ell]]}{a_1 + k_1 - a_2} \quad (9)$$

$$\theta_{\varphi} = \theta_b + [\theta_{\varphi_0} - \theta_{b_0}] \exp(-k_1 x) = \theta_{b_0} \exp[-a_3(\ell - x)] +$$

$$+ [\theta_{\varphi_0} - \theta_{b_0} \exp(-a_3 \ell)] \frac{(a_1 + k_1 [\exp(-k_1 x) - a_2 \exp[-a_3(\ell - x) - k_1 \ell]])}{a_1 + k_1 - a_2 \exp[-(a_3 + k_1)\ell]} \quad (10)$$

წიბოს ეფექტურობის კოეფიციენტი ტოლი იქნება:

$$\eta_{\varphi} = \frac{\theta_{b_0}}{\theta_{\varphi_0}} \frac{1 - \exp(-a_3 \ell)}{a_3 \ell} + \frac{\theta_{\varphi_0} - \theta_{b_0} \exp(-a_3 \ell)}{\theta_{\varphi_0}} \times \frac{a_2}{a_1 + k_1 - a_2 \exp[-(a_3 + k_1)\ell]} \left\{ \frac{1 - \exp(-k_1 \ell)}{k_1 \ell} - \frac{\exp(-k_1 \ell) [1 - \exp(-a_3 \ell)]}{a_3 \ell} \right\} \quad (11)$$

ამ ფორმულებში შემავალი უცნობი სიდიდის k_1 -ის საპოვნელად, ბალანსური დიფერენციალური განტოლებებიდან რიგი მათემატიკური გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$k_1^2 + a_2 k_1 - m^2 = -m^2 \frac{k_1 \ell}{\exp(k_1 \ell) - 1} \quad (12)$$

რომლის ამოხსნა შესაძლებელია ეგმ-ის საშუალებით.

წიბოს სიმაღლის გაზრდით (12) განტოლების მარჯვენა წევრი მის-წრაფვის ნულისაკენ და მაღალი წიბოების შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ:

$$k_1 = -\frac{a_2}{2} + \sqrt{\left(\frac{a_2}{2}\right)^2 + m^2} \quad (13)$$

სწორი წიბოს ქვემო ნაწილის dx ელემენტისათვის თბური ბალანსის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$\frac{d\theta_b}{dx} + a_3 \theta_b = a_2 [\theta_{\varphi_0} - \theta_{b_0}] \exp(-k_2 x) \quad (14)$$

რომლის ინტეგრირებით მივიღებთ:



$$\theta_b = [\theta_{\varphi_0} - \theta_{b(0)}] \frac{a_2}{a_3 - k_2} \exp(-k_2 x) + C_2 \exp(-a_3 x) \quad (15)$$

როცა $X=0$, $\theta_b = \theta_{b(0)}$ და $C_2 = \theta_{b(0)} - [\theta_{\varphi_0} - \theta_{b(0)}] \frac{a_2}{a_3 - k_2}$

საბოლოოდ მივიღებთ:

$$\theta_b = \theta_{b(0)} \exp(-a_3 x) + [\theta_{\varphi_0} - \theta_{b(0)}] \frac{a_2}{k_2 - a_3} [\exp(-a_3 x) - \exp(-k_2 x)] \quad (16)$$

$$\theta_{\varphi} = \theta_{b(0)} \exp(-a_3 x) + [\theta_{\varphi_0} - \theta_{b(0)}] \frac{a_2}{k_2 - a_3} [\exp(-a_3 x) - \exp(-k_2 x)] + \quad (17)$$

$$+ [\theta_{\varphi_0} - \theta_{b(0)}] \exp(-k_2 x)$$

წიბოს ეფექტურობის კოეფიციენტი:

$$\eta_{\varphi} = \frac{\theta_{b \text{ საშ}}}{\theta_{\varphi_0}} = \frac{\theta_{b(0)}}{\theta_{\varphi_0}} \frac{1 - \exp(-a_3 \ell)}{a_3 \ell} + \frac{\theta_{\varphi_0} - \theta_{b(0)}}{\theta_{\varphi_0}} \frac{a_2}{(k_2 - a_3) \ell} \left[\frac{1 - \exp(-a_3 \ell)}{a_3 \ell} - \frac{1 - \exp(-k_2 \ell)}{k_2 \ell} \right] \quad (18)$$

ამ ფორმულაში შემავალი სიდიდე $\theta_{b(0)}$ განისაზღვრება (8) ფორმულის საშუალებით, ხოლო k_2 -ის გამოსათვლელად მიღებული გვაქვს გამოსახულება

$$k_2^2 - a_2 k_2 - m^2 = -m^2 \frac{k_2 \ell}{\exp(k_2 \ell) - 1} \quad (19)$$

რომელიც ამოიხსნება ეგმ-ის საშუალებით. მაღალი წიბოების შემთხვევაში შეიძლება დაუშვათ:

$$k_2 = \frac{a_2}{2} + \sqrt{\left(\frac{a_2}{2}\right)^2 + m^2} \quad (20)$$

k_1 და k_2 -ს გამოთვლის მეთოდიკა მოყვანილია ნაშრომში /2/.

ნახაზზე 2, სადაც კოორდინატა $X=0$ პირობითად მიღებულია როგორც ზემო და ქვემო წიბოების გამყოფი ფუძე, დატანილია (9), (10), (16), (17) ფორმულებით გამოთვლილი 10 სმ სიმაღლის მქონე წიბოების ზედაპირის და სითხის ტემპერატურების განაწილების მრუდები. აქვე დატანილია იმავე ზედაპირებზე სითხის ტემპერატურის განაწილების მრუდი, როცა წიბოები გამორთულია, ე.ი. როცა თბოცვლა მიმდინარეობს სითხის ნაკადსა და ჰაერს შორის. ტემპერატურის ეს განაწილება გამოთვლილია ცნობილი ფორმულით:

$$\theta_b = \theta_{b_0} \exp\left(-\frac{\alpha_3 u}{C_{pb} G} x\right) \quad (21)$$

ასევე დატანილია წიბოს ზედაპირზე ტემპერატურის განაწილება სითხის ნაკადის გარეშე:


$$\theta_{\varphi} = \theta_{\varphi_0} \exp\left(-\sqrt{\frac{\alpha_3 u}{\lambda f}} x\right) \quad (22)$$

როგორც გრაფიკიდან ჩანს, სითხის ნაკადის შემთხვევაში წიბოს ზედაპირის საშუალო ტემპერატურა გაცილებით მაღალია, ვიდრე სითხის ნაკადის გარეშე. ეს ტემპერატურა ასევე მეტია სითხის ნაკადის საშუალო ტემპერატურაზე გამორთული წიბოების დროს.




რეალურ პირობებში სწორი წიბოს ზემო და ქვემო ნაწილები ერთად მუშაობენ. ამიტომ წიბოს ეფექტურობის კოეფიციენტი უნდა განვიხილოთ როგორც წიბოს ზემო და ქვემო ნაწილების ეფექტურობათა საშუალო სიდიდე. ნახაზზე 3 მოყვანილია სითხის ნაკადიანი წიბოს ეფექტურობის კოეფიციენტის დამოკიდებულება წიბოს სიმაღლეზე, „მშრალი“ წიბოს შემთხვევაში (მრუდი1), როცა სითხის საწყისი ტემპერატურა ტოლია წიბოს ფუძის ტემპერატურისა (მრუდი 2) და „ადიაბატური“ რეჟიმის დროს (მრუდები 3) კონტაქტის სხვადასხვა ფართის პირობებში. როგორც გრაფიკიდან ჩანს „ადიაბატურ“ რეჟიმში სითხესა და წიბოს შორის კონტაქტის ზედაპირის გაზრდით იზრდება წიბოს ეფექტურობის კოეფიციენტი. ამიტომ, სასურველია წიბოს ზედაპირზე შეიქმნას კაპილარული სტრუქტურა, რაც წიბოს ეფექტურობის ამაღლებასთან ერთად ხელს შეუწყობს სითხის ნაკადის თანაბარ განაწილებას წიბოს მთელ ზედაპირზე.

„ადიაბატური“ პროცესის განხორციელებისას წიბოს ეფექტურობის კოეფიციენტი ნაკლებია, ვიდრე თერმულად დამუშავებული წყლით მორწყვის პირობებში, როცა წყლის საწყისი ტემპერატურა ტოლია წიბოს ფუძის, ანუ მილებში გამავალი წყლის ტემპერატურისა, მაგრამ იგი სჭარბობს „მშრალი“ წიბოს ეფექტურობის კოეფიციენტს. გაწიბოვებულ ზედაპირებზე სითხის ნაკადის ორგანიზებით, „ადიაბატურ“ რეჟიმშიც, შესაძლებელია წიბოს ეფექტურობის ოპტიმალური მნიშვნელობის, $\eta_p \geq 85$, შენარჩუნება საკმაოდ მაღალი წიბოების შემთხვევაში ($h = 0,02 \div 0,03$ მ); რაც საგრძნობლად ამცირებს მილების ხარჯს იმ აპარატებთან შედარებით, სადაც წიბოს სიმაღლედ ჩვეულებრივად მიღებულია $h = 0,005 \div 0,01$ მ და იძლევა მეტალის მნიშვნელოვან ეკონომიას.



ნახ.2



სახ.3

ლიტერატურა
Literature
Литература

1. О.Г. Пурцеладзе, А.С. Мусеридзе. Эффективность ребристых поверхностей орошаемых теплообменников систем кондиционирования воздуха. Научные труды ГПИ "Водоснабжение и теплоснабжение", №4 (214), 1979г. с.37-41.
2. О.Г. Пурцеладзе, Г.В. Урушадзе. Исследование эффективности ребристой поверхности отопительно-вентиляционных теплообменников с учетом изменения температуры воздуха. Научные труды ГПИ, сб. "Водоснабжение и теплоснабжение", №1 (217), 1984г. с.44-50.



რ ე ზ ი უ მ ე

სითხის ნაკადის გავლენა სწორი წიბოს ეფექტურობაზე

გიორგი ბურჯალიანი, ოთარ ფურცელაძე

განხილულია შემთხვევა, როცა სითხის ნაკადი მოძრაობს სწორი წიბოს ფუძის პერპენდიკულარულად. სითხის საწყისი ტემპერატურა და წიბოს ფუძის ტემპერატურა სხვადასხვაა და სითხის ტემპერატურა განსხვავდება წიბოს ზედაპირის ტემპერატურისაგან. მიღებულია ფორმულები სითხის და წიბოს ზედაპირზე ტემპერატურული ველის განსასაზღვრავად. მიღებულია აგრეთვე სწორი წიბოს ეფექტურობის კოეფიციენტის გამოსათვლელი ფორმულა სითხის ორგანიზებული ნაკადის სხვადასხვა მიმართულების, ხარჯისა და საწყისი პარამეტრების შემთხვევაში.

S U M M A R Y

LIQUID FLOW INFLUENCE ON A STRAIGHT RIB EFFICIENCY

GIORGI BURJALIANI, OTAR PURTSELADZE

A case is considered when the liquid flows perpendicular to the rib base. The initial temperature of liquid and temperature of rib base differ. Liquid temperature differs from the temperature of rib surface. The formulas for determination of liquid and rib surface temperature fields are obtained. The formula for determination of the efficiency coefficient of a straight rib at different direction rates and initial parameters of the organized liquid flow is also obtained.

Р Е З Ю М Е

ВЛИЯНИЕ ПОТОКА ЖИДКОСТИ НА ЭФФЕКТИВНОСТЬ ПРЯМОГО РЕБРА

ГИОРГИ БУРДЖАЛИАНИ, ОТАР ПУРЦЕЛАДЗЕ

Рассмотрен случай, когда поток жидкости движется перпендикулярно основанию ребра. Начальная температура жидкости и температура основания ребра различны. Температура жидкости отличается от температуры поверхности ребра.

Получены формулы для определения полей температур и поверхности ребра. Получена также формула для определения коэффициента эффективности прямого ребра при различных направлениях, расхода и начальных параметров организованного потока жидкости.



**ფსენილისებრ რკინაზე სპილენძის ცემენტაცია კაზრეთის
(საქართველო, ბოლნისის რ-ნი) ქალკოპირიტული მადნის
კარიერის ჩამდინარე წყლიდან**

ნაირა ბიბაური

ქიმიის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი

რუსუღან ბიბაური

ქიმიის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რ. აბლაძის არაორბანული ქიმიისა და ელემენტოქიმიის ინსტიტუტის
უზროსი მენეჯერ-თანამშრომელი

იზაბელ ბიუაშვილი

ქიმიის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი

საქართველოს კაზრეთის სპილენძის მადანი ძირითადად ქალკოპირიტის (CuFeS_2) შემცველია. გარდა ამისა მის შემადგენლობაში აშკარად დაიმზირება რკინის კოლჩედანი ანუ პირიტი (FeS_2), სვალერიტი, პალენიტი და სხვა. სპილენძის მასიური წილი კონცენტრატში მერყეობს 15-20%-ის, ფარგლებში. საქართველოდან ამ ელემენტის კონცენტრატი გადის მხოლოდ ექსპორტის სახით – ყოველგვარი ქიმიურ-ტექნოლოგიური გარდაქმნების გარეშე.


კაზრეთში აღნიშნული მადნის მოპოვება-გამდიდრება დღემდე მიმდინარეობს ღია კარიერული წესით. ამ დროისათვის წარმოქმნილია 200-900 მ. იამეტრისა და დაახლოებით 100 მ. სიღრმის კარიერი (კონუსური ჩადრმაგება), წვეროთი დაბლა, რომლის კალთებიდან პერმანენტულად ჩამოედინება სპილენძის (Cu^{2+}) შემცველი წყლები. ამას ემატება წვიმისა და თოვლის დნობით მიღებული წყლები, რომლებიც გამუდმებით რეცხავენ კარიერის ფერდებს. ასეთნაირად ხდება გამოტუტვა სპილენძისა და რკინის. იმის გამო, რომ კარიერს გადაბრუნებული კონუსის ფორმა აქვს, ხდება კარიერის ფსკერის დაფარვა ნაკრები წყლით. ეს უკანასკნელი იქაჩება ტუმბოებით მაღლა ისეთი მანძილით, რომ მოხვდეს ღია გრუნტზე (ნაშალ შედარებით ფუჭ ქანებზე). კარიერული წყლის მთელი მასა და ასევე მიწისქვეშა წყლებიც “500 მ-ის დაცილებით გამოდის მიწის ზედაპირზე ხევში და გუბდება რკინა-ბეტონის კედლით, რომელსაც „დამბას“ ეძახიან. დამბიდან ეს წყალი ორი მილის საშუალებით მიეწოდება ქარხანას ფლოტაციისათვის[1].



ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა წლის თითქმის ყველა დროში 4-ჯერ კარიერულ წყალში სპილენძის და რკინის შემცველობა:

Cu – 0,8 გ/ლ. Fe – 1,27 გ/ლ. ჩვენი გაზომვებით წყლის დებიტია – 180 მ³ სთ. ფლოტაციამდე წყალს საწარმოო ასუფთავებს სპილენძისაგან „რკინის ფხვნილით“ თანახმად შემდეგი ტოლობისა: $Fe + CuSO_4 \rightarrow Cu + FeSO_4$

ვინაიდან სინამდვილეში სპილენძი გახსნილია წყალში კრისტალჰიდრატის სახით და აღნიშნული ცემენტაციის შედეგად კრისტალჰიდრატი მიიღება, ტოლობის სახით გამოვსახავთ ასე:



როგორ ჩნდება წყალში შაბიამანი ან როგორ ხდება ქალკობირიტის გარდაქმნა სპირლენძის (II) სულფატად კარიერზე მიმდინარე ქიმიური პროცესების შედეგად – ეს ცალკე კვლევის საგანია. სპილენძის აღმდგენელი (Fe) „ფხვნილისებრი რკინის“ სახით, შეტივნარებულია თხევად ფაზაში ისეთნაირად, რომ რამდენჯერმე გაიზომოს ალბათობა სპილენძის იონების (Cu^{2+}) დაჯახების რკინის ფხვნილთან [2]. შედეგად რკინა იჟანგება, ხოლო სპილენძი (II) აღდგება. იმ შემთხვევაში თუ რკინის ფხვნილი ხანგრძლივად შეიფრქვევა კარიერულ წყალში, მაშინ იგი მთლიანად შეიჭმება – გარდაიქმნება რკინის აჯასპად, ხოლო პირიქით მცირე რაოდენობით შეფრქვევისას კი Fe დაიფარება რეგენერირებული სპილენძის ფენით. რის შედეგადაც სპილენძშემცველი რკინის მარცვლები მიიღება. ანუ სპილენძის კონცენტრატი. სპილენძის შემცველობა კონცენტრატში საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს. შახელდობრ 55-85%-მდე. ხდება კონცენტრატის გოგირდმუავაში გახსნა და შემდგომი ელექტროლიზი, რათა მიღებული კონცენტრატი გავასუფთაოდ რკინისაგან. გარდა აღნიშნულისა რკინის ფხვნილით სპილენძის ცემენტაციას ის ნაკლიც გააჩნია, რომ არ ხდება სპილენძის მაქსიმალური რეგენერირება (არ აღემატება 95%). ყველივე ეს გამოწვეულია ცემენტაციის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი შემცირებით, რაც სისტემაში გამდინარე წყლის ახალი ჭავლის მოძალებით არის განპირობებული. განხილული ტექნოლოგიის ნაკლი ისიც არის, რომ იხარჯება 2-ჯერ მეტი რკინა, ვიდრე ზემოთ მოტანილი რეაქციის სტექიომეტრია მიანიშნებს. ჩვენი გათვლებით 1 ტ. სპილენძის საწარმოებლად იხარჯება 760\$, ხოლო მიზნობრივი პროდუქტი ინდივიდუალურ მდგომარეობაში მაინც არ მიიღება.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების კვლევის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო რკინის ფხვნილის ხარისხმა. ვიზუალურად იგი მსხვილდისპერსული მასაა. შავი-მონაცრისფერო, აშკარად გაიმტვერება და არ ჰგავს „რკინის ნაქლიბს“, რომელსაც აღმდგენელად იყენებენ, თუნდაც ანილინის წარმოებისას.

ამ მიზნით შევეცადეთ გამოგვეკვლია აღმდგენელის ქიმიური შემადგენლობა.

რკინის საერთო რაოდენობრივი განსაზღვრით გაირკვა, რომ Fe – 92%-ს შეადგენდა. C – 4,85-ს და ასევე შეიცავდა რკინის სხვა დაჟანგულ ფორმებსაც. განისაზღვრა Fe^{2+} და Fe^{3+} . გაირკვა, რომ Fe^{2+} – 7,51%-ს. Fe^{3+} – 1,03%-ს [3],[4].

საკვლევი „რკინის ფხვნილის“ ქიმიური შედგენილობა ასე გამოისახება:



Fe (O)	–	83,37%
Fe O	–	9,66%
Fe ₂ O ₃	–	1,48%
C	–	4,45%
<hr/>		
სულ	–	98,36%

დანარჩენი 1,64% არის სხვადასხვა მინარევი ელემენტები.

ამრიგად, ჩვენი კვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ კაზრეთის ქალკოპირიტული მადნის ჩამდინარე წყლიდან ქარხნულ პირობებში სპილენძის აღდგენა – ცემენტაციისათვის გამოყენებული „რკინის ფხვნილი“ არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ნივთიერებას. ასევე ცემენტაციის დროის შეზღუდულობის გამო არც აღდგენილი სპილენძია ქიმიურად სუფთა. – შედეგად მიიღება „სპილენძის კონცენტრატი“, სადაც სპილენძის მასური წილი მერყეობს 55 – 85%-ის ფარგლებში [5], [6].

ექსპერიმენტული ნაწილი: ანალიზით დადგენილ იქნა, რომ აღმდგენელად გამოყენებული რკინა შეიცავდა 92,21 რკინას და 4,85% ნახშირბადს. რადგან ამ ორი ელემენტის საერთო შემცველობა არ შეადგენდა 100%-ს ($92,21+4,85=97,06$), შევეცადეთ – დაგვედგინა ნიმუშში Fe^{+2} და Fe^{+3} -ის მასური წილები. დასახული მიზნის მისაღწევად საათის მინაზე ვწონდით (სასწორის მგრძობიარობა – 0,0001 გ) საანალიზო ნივთიერებას 1,0 გ-მდე, გადაგვკონდა მიხეხილსაცობიან ერლენმეიერის კოლბაში და ვრეცხავდით დისტილირებული წყლით (15 – 15 მლ, 3-ჯერ) მინარევი ნახშირის სრული მოცილების მიზნით. სისტემიდან უკანასკნელი ულუფა თხევადი ფაზის მოცილების შემდეგ დარჩენილ შავ მყარ მასას დავამატეთ 20 მლ წყალი და რამდენიმე წვეთი კონცენტრირებული გოგირდმჟავა ($d = 1,84$), რის შედეგადაც კოლბის შიგთავსის pH აღმოჩნდა 2 – 3 კოლბას დაუვცეთ საცობი და დროდადრო ვანჯღრით. 2 სთ-ის შემდეგ კოლბის შიგთავსი გაეფილტრეთ №3 შოტის ფილტრში, კარგად ჩაერეცხეთ 0,1 N გოგირდმჟავას ხსნარით. გაერთიანებული ფილტრატი მოვათავსეთ 100,0 მლ-იან საზომ კოლბაში და შევავსეთ დისტილირებული წყლით ჭდემდე.

ორვალენტიან რკინას ალიქვოტში ვსაზღვრავდით პერმანგანატომეტრული ხერხით [4], რაც შეესაბამება რეაქციას:



ხოლო სამვალენტიან რკინას – კომპლექსონომეტრულად [6], – მიიღება ხელატური კომპლექსი, სადაც კომპლექსწარმომქმნელისა და ლიგანდის მოლური თანაფარდობაა 1 : 1.

გაირკვა, რომ წონაკი შეიცავდა 7,51% ორვალენტიან რკინას, ხოლო სამვალენტიანი რკინა აღმოჩნდა მხოლოდ 1,03% (საშუალოდ).



ლიტერატურა
Literature
Литература

1. რცხილაძე ვ. „მეტალურგია“, 2006 წ. 85-100 გვ.
2. Меремуков М.А. Процессы жидкостной экстракции в цветной металлургии – М.: Металлургия – 1985 г. 222 с.
3. Полеес М.Э. Душечкина И.Н. Аналитическая химия, - М. высшая школа, 1990 г. 288 с.
4. Шарло Г. Методы аналитической химии. Количественный анализ неорганических соединений. Перевод с французского. М.- Л.: Химия, 1985 г. С 618-619.
5. Perez Cid B, Lavilla I. Anal Chim Acta 431:209 (2001).
6. Compos E., Barahona E. Anal Chim Acta 369-235 (1998).

რეზიუმე

ფხვნილისებრ რკინაზე სპილენძის ცემენტაცია კაზრეთის (საქართველო, ბოლნისის რ-ნი) ქალკოპირიტული მადნის კარიერის ჩამდინარე წყლიდან

ნაირა ბიბაური, რუსუღან ბიბაური, იზაბელ ბიუაშვილი

კვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ მადნის ჩამდინარე წყლიდან სპილენძის აღსადგენად გამოყენებული რკინის ფხვნილი უნდა წარმოადგენდეს ინდივიდუალურ ნივთიერებას, რათა მიღებულ იქნას მაღალი ხარისხის სპილენძი. გამოყენებული რკინის ფხვნილი კაზრეთის ქალკოპირიტული მადნის ჩამდინარე წყლიდან სპილენძის აღდგენა – ცემენტაციისათვის არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ნივთიერებას. Fe^{2+} - 7,51%-ს. Fe^{3+} - 1,03%. შედეგად მიიღება სპილენძის კონცენტრატი სადაც სპილენძის მასური წილი მერყეობს 55-85%-მდე.



S U M M A R Y

COPPER CEMENTATION ON POWDERED IRON FROM INDUSTRIAL WATERS/EFFLUENTS OF A CHALCOPYRITE MINE IN KAZRETI (BOLNISI DISTRICT, GEORGIA)

NAIRA GIGAURI, RUSUDAN GIGAURI, ISABELLA GIUASHVILI

The study results have found that powdered iron used for reduction of copper from mine waters/effluents should represent an individual/parent substance in order that high-grade copper be produced.

The powdered iron used for reduction-cementation of copper from industrial waters of the chalcopyrite ore mine does not represent an individual/parent substance: Fe^{2+} -7.51%, Fe^{3+} -1.03%. As a result, the copper has been obtained where the copper content varies between 55 to 85%.

Р Е З Ю М Е

ЦЕМЕНТАЦИЯ МЕДИ НА ЖЕЛЕЗНОМ ПОРОШКЕ ИЗ ПРОМЫШЛЕННЫХ/СТОЧНЫХ ВОД КАРЬЕРА ХАЛЬКОПИРИТНОЙ РУДЫ В КАЗРЕТИ (БОЛНИССКИЙ РАЙОН, ГРУЗИЯ)

НАИРА ГИГАУРИ, РУСУДАН ГИГАУРИ, ИЗABELЛА ГИУАШВИЛИ

Результатами исследования установлено, что железный порошок, используемый для восстановления меди из рудничной промышленной воды, должен являть собой индивидуальное\исходное вещество, с тем чтобы обеспечить получение высокосортной меди.

Железный порошок, использованный для восстановления-цементации меди из промышленных вод халькопиритного рудника в Казрети, не является исходным веществом: Fe^{2+} -7.51%, Fe^{3+} -1.03%. В результате получен медный концентрат, где содержание меди варьирует в пределах 55-85%-ов.



თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრის წმიდა სახარება

ლია სიხარულიძე

ბანსაპუტრებულად ფასეულ ხელნაწერთა მხატვარ-რესტავრატორი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1987 წლიდან საძირკველი ჩაეყარა თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარს. პარალელურად ამ ტაძრისათვის იქმნებოდა დიდი ზომის წმიდა სახარება, რომელიც იწერებოდა, იკაზმებოდა, იმოსებოდა და იტყდებოდა 2004 წლის 23 ნოემბრამდე.

საპატრიარქოს სპეციალური შეკვეთით, სახარების გადასაწერად და მოსახატად დამზადდა და მაღალხარისხოვნად დამუშავდა დიდი რაოდენობის ხბოს



ტყავი, რომელიც დაიჭრა ზომაზე 88X67სმ. მხატვრებისა და გადამწერების ურთიერთშეთანხმებით მოიხატა და გადაიწერა ეტრატის ცალ-ცალკე ფურცლები.

მამა ტარიელ სიკინჭალა-შვილმა („ჯვარის მამის“ ტაძრის მოძღვარი) 2003 წლის დასაწყისში სახარება ჩემს სახელოსნოში მოაბრძანა, რათა შემესრულებინა შემდეგი სამუშაოები, კერძოდ: ფერწერულად მომეხატა ეტრატის რამდენიმე ფურცელი, ამეკინძა სახარება შუა საუკუნეების მეთოდით, გამემზადებინა ხის ტყავგადაკრული ყდა და აკინძული სახარება ამ ყდაში შემემოსა.

სახარება რომ აკინძულიყო, ჩატარდა სხვადასხვა მოსამზადებელი სამუშაო:

1. ცალ-ცალკე ფურცლებისაგან ტექსტის დასალაგებლად დაგვეხმარა „ჯვარის მამის“ ტაძრის მრევლი, (პროფესიით ექიმი) დავით კვერნაძე.

გადაბმისას ფურცლები იწნებოდა დიდ წნეხში, ზოგი თავსდებოდა სიმძიმეების ქვეშ. თითოეული ფურცლის წონა განისაზღვრებოდა მისი ხარისხის მიხედვით, ზოგი ტყავი სქელი იყო, ზოგი თხელი და ელასტიური.





სახარება რომ აკინძულიყო, საჭირო გახდა ცალ-ცალკე ფურცლების გადაბმა დაჭრილი ტყავის გრძელი ვიწრო ნაჭრებით. ტყავის ფურცლების გადასაბმელად საჭირო იყო სპეციალური წებო, რომელიც დამზადდა ბეწვგაცლილი და ცხიმგაცლილი ცხოველური ტყავისაგან. ამ წებოს მისაღებად საჭირო იყო მისი ხარშვა 75 საათის განმავლობაში. ასეთი წებოს გამოყენება შეიძლება მხოლოდ თბილ მდგომარეობაში.



2. გადაბმული ტყავის ფურცლებისაგან შეიქმნა რვეულები, რომლებიც დახარისხდა და მომზადდა ასაკინძად. თითო რვეული შედგებოდა ოთხი ფურცლისაგან.

3. სახარების გადაბმული რვეულების ასაკინძად საჭირო გახდა დიდი ზომის დაზგა (1,30X75სმ-ზე), რომელიც დაამზადეს ხელმარჯვე ოსტატებმა მერაბ მესაშიშვილმა და კახაბერ კოროშინაძემ.

4. სახარების შესაკერად, სპეციალურ ასაკინძ დაზგაზე დაიჭიმა 1,8სმ სისქის 8 ცალი თოკი და კიდევზე ორი ე.წ. „კაპტალი“, ანუ 12 ფერისაგან დაგრეხილი 1,5სმ სისქის თასმა, რომლებზეც უნდა აკინძულიყო სახარების რვეულები. ეს ფერადი „კაპტალები“





წარმოადგენენ აკინძვის სიმყარისა და სილამაზის ერთ-ერთ მოაგარ დეტალს.

5. სახარების აკინძვის კონსტრუქციულ სისტემაში დაცული იყო X-XII საუკუნეების ქართული ორიგინალური კერვის მეთოდი, რომელიც ხორციელდებოდა შუა საუკუნეების ბიზან-



ტიურ ხელნაწერთა შექმნის ტექნიკით. კინძვის პროცესში გამოყენებული იყო „სამკუთხედად ჩახერხვის მეთოდი“ – ჯაჭვური შემოკერვით. ტყავის რგეულების ყუა ჩახერხა თოკების რაოდენობის მიხედვით. ასეთი კერვის მეთოდი უზრუნველყოფს ხელნაწერის იოლად გადაშლას და ყუა დიდად არ მადლდება. სახარება აიკინდა ორ „კაპტალზე“ და რვა თოკზე.





6. სახარების ყდისათვის გამოყენებული იყო ხის (2სმ. სისქის) მასალა, რომლის ორივე ფრთა სათანადოდ დამუშავდა: ყუასთან კიდევბში და შიგნითა კუთხეებში გაუკეთდა ნაჩვრეტები თოკების გასაყრელად. შემდგომი ეტაპი იყო სახარების დაზვიდან მოხსნა, სიმაგრისა და სიმყარისათვის მისი თოკების და ორი კაპტალის ხის ორივე ყდაში ჩამონტაჟება. ამისათვის წინასწარ დამ-



ზადდა 20 ნაჩვრეტი. სახარების აწვევა-გადაადგილებაში დიდ დახმარებას მიწევდა „ჯვარის მამის“ მონაზონი ლია მიქიანი, ჩემი შვილი ვაჟა ბარამიძე და მისი მეგობარი კახაბერ კოროშინაძე.

7. ხის ყდაში ჩამაგრებულ სახარებას სჭირდებოდა ტყავით შემოსვა. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ (თარგის აზომვა, ტყავის გამოჭრა და ზოგან მისი გათხელება) საბოლოოდ სახარება შეიმოსა სქელ, რბილ, შავ ქრომის ტყავში.

ჩემს სახელოსნოში ერთი წლის განმავლობაში ხალხმრავლობა იყო, ყველას სურდა მცირედით მაინც მიეღო მონაწილეობა და გაეწია დახმარება სახარების შექმნაში: „ჯვარის მამის“ ტაძრის მონა-



ზონი დედა ანა; „წმ. ნიკოლოზის“ ტაძრის მრევლი თამარ იმნაძე; ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები: ეთერ ქავთარაძე, ნანა თარგამაძე, ცისანა ბიბილეიშვილი და სხვ.; „ჯვარის მამის“ ტაძრის მონაზონი ლია მიქიანი, რომელიც ყველაფერში ძალიან მეხმარებოდა.

მან ამ სახარებისათვის მოჭედა ვერცხლის ყდის დიდი ნაწილი. უბედნიერესი იყო, რომ სახარების შექმნისას ყველა საქმეში აქტიურად მონაწილეობდა.





2006 წელს იგი ტრაგიკულად დაიღუპა.

ტექსტის გადაწერაზე მუშაობდა სამი გადამწერი: მიტროპოლიტი დავით მახარაძე, რაფაელ გოგიტიძე და თამარ თეთრაშვილი, რომლებმაც ნუსხური და ასომთავრული დამწერლობით შეამკეს სახარების გვერდები. არაჩვეულებრივად და შერწყმულად ჩააქსოვეს ტექსტი მხატვრობაში, რომელზეც მუშაობდა 22 მხატვარი. სახარება აიკინძა, ჩაისვა ტყავგადაკრულ ხის ყდაში. ტყავი დამუშავდა სპეციალური საცხით. დადგა მისი გადაბრძანების დრო საპატრიარქოსთან არსებულ სპეციალურ სამეცნიერო ქიმიურ ლაბორატორიაში, სადაც უნდა ჩატარებულიყო მოჭედილი ვერცხლის ყდის მოოქროვება და შემდგომ სახარებაზე მორგება.

ამ ყველაფრის ორგანიზატორი იყო მამა ტარიელი. სახარების ზომებიდან გამომდინარე იგი საპატრიარქოში ჩემი სახელსწილიდან სატვირთო მანქანით გადააბრძანეს. ღია მიქიანი აქაც აქტიურად მონაწილეობდა.

საპატრიარქოს ქიმიურ ლაბორატორიაში დავდიოდით რამდენიმე დღე. აქ მამა ტარიელი მუშაობდა და ხელმძღვანელობდა სახარების ვერცხლის ყდაში ჩასმას. ვეხმარებოდით: ღია მიქიანი, მამა ტარიელის ქალიშვილები ნინო და ქეთევან სიკინჭალაშვილები, ღია სიხარულიძე, კახაბერ კოროშინაძე, ვაჟა ბარამიძე, ალექსანდრე ერქვანია, საპატრიარქოს ლაბორატორიის თანამშრომელი ლითონმცოდნე გიორგი ანთიძე, მოოქროვების სპეციალისტი ზეინაბ შიოლაშვილი (კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი).

ჩვენი იქ მუშაობის პერიოდში მოდიოდნენ სიონის ტაძრის მგალობლები და გალობდნენ. ეს იყო არაჩვეულებრივი განცდა.

პატრიარქი ყოველ დღე ჩამობრძანდებოდა ჩვენთან ლაბორატორიაში და დიდი ცნობიმიყოფარეობით და კმაყოფილებით აკვირდებოდა ყოველდღიურ ჩვენს საქმიანობას. ისიც კი აღნიშნა: „ეს რა ძველი წესით აუკინძიაო!“.

სახარებაზე მუშაობის ბოლო ეტაპი ჩატარდა საპატრიარქოში, სადაც ყდის რვა საკეტის ორმაგი თასმა რომ არ გაწეულიყო, ღორის სქელი და უხეში ტყავისაგან დავამზადე. ტყავის თასმებისათვის ვერცხლის ბუნიკები ღია მიქიანის მიერ ქართული ორნამენტით მოიჭედა, რომელიც მამა ტარიელმა ჩაამონტაჟა ქვედა ყდის კიდეზე. ხოლო ზედა ყდის კიდეზე საკეტებისათვის ჩაამაგრა მრგვალი მოოქროვილი ვერცხლის ჩამოსაცმელი ბალთის თავები.



ლიტერატურა
Literature
Литература

1. Белая И. „Клей для реставрации пергамента“. Сборник материалов по сохранности книжных фондов. Научно-реставрац. отдел при центр. научн. библиотеки. М. 1987г.
2. Либлик М. „Каптал“ в средневековых рукописях. Тарту, 1976г., научн. библ. университета.
3. სიხარულიძე ლ. „კაპტალის მნიშვნელობა ხელნაწერთა შექმნის ტექნიკაში“. გელათის მეცნ. აკად. №10, თბ. 2004წ.

რეზიუმე

**თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრის
წმიდა სახარება**

ლია სიხარულიძე

სტატიის მიზანი არის გავაცნოთ მკითხველს თუ როგორ იქმნებოდა თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრის წმიდა სახარება პარალელურად სამების ტაძართან ერთად. როგორ აიკინძა ეს უნიკალური ხელნაწერი და რამდენი სპეციალისტი მონაწილეობდა მის შექმნაში.

SUMMARY

**HOLLY GOSPEL OF TBILISI PATRIARCHATE SACRED
TRINITY TEMPLE**

LIA SIKHARULIDZE

The goal of this article is to make our readers learn, how the Hilly Gospel of Tbilisi Patriarchate Trinity Temple was created, together with Trinity Temple; How this unique handwriting was bound and how many specialists used to participate in its creation.

РЕЗЮМЕ

**СВЯТОЕ ЕВАНГЕЛИЕ ПАТРИАРШЕГО ХРАМА
ТБИЛИССКОЙ ПРЕЧИСТОЙ ТРОИЦЫ**

ЛИА СИХАРУЛИДЗЕ

Целью статьи является ознакомить читателя с тем, как создавалось огромное Евангелие параллельно с Храмом Великой Троицы города Тбилиси. Как была переплетена эта уникальная рукопись и сколько специалистов работали над её созданием.